

რუსუდან ჭუბაბრია

ყვითელი
ფოთლები

თბილისი
2019

© რუსუდან ჭუბაზია, 2019

გამომცემლობა „ნეკერი“, 2019

ISBN 978-9941-479-44-1

სარჩევი

ლექსები.....	9
ჩემს ბავშვობას – ბაკურიანს.....	11
ყველამ გაიხსენოს თავისი ზამთრის ბაკურიანი.....	12
ნუ ეძებ ჩემში რაღაც იდუმალს.....	13
ქალაქის ნავეები.....	14
„ლატვიანი“ ცა.....	15
შემოდგომა.....	16
წვიმა.....	17
შემოდი.....	18
განწყობილება.....	18
შენ ჩემს გარეშე ისწავლე ფრენა.....	20
ჩემს უსაყვარლეს ადამიანს – სოფო კერესელიძეს, თავყვანისცემითა და უდიდესი მოწიწებით.....	21
სახალწლო განწყობილება (ტყეშელაშვილების და დათუნაშვილების მშვენიერ ქართულ ოჯახში).....	22
გესმის? ზარები რეკავენ სადღ.....	24
ჭრიალებს თოვლი და ცხვირს მიყინავს სიცივის სუნთქვა.....	25
ჩემი საოცარი თამრიკო ბოკუჩავას ხსოვნას.....	26
ხელმოცარული მხედართმთავრის დღიურიდან.....	28
გაცრეცილ ცაზე იღვიძებს სხივი.....	29
შენ კესანებით დამიხუნძმლე გულის კარები.....	30
შემომაცეხე იის ფურცლები.....	30
სახუმარო.....	31
ლექსად წაკითხული ზღაპარი.....	32
ნუთუ.....	33
სახუმარო (დავეში ქვემოთ).....	34
დიდი საცერით ჩემს ფიქრებს ვცხრილავ.....	34
ჩემში ხევსურმა იხუვლა.....	36
ტობიჰანა.....	37
ისევ ჩაგიტყდა შუბლი წარბებთან.....	38
გაზაფხულია, მალე ვარდისფრად ჩამოთოვს ვიცი.....	39
ხევსურულ მოტივებზე.....	40
შენი სიცილით თვრებოდა ღამე.....	41
მე შენი სუნთქვა მეჭირა ხელში.....	42
თეთრი ეკლესიები.....	43

დილა.....	44
შუბლს იგრძობდა დაღლილი ზეცა ვეება პეშვით.....	45
„მე და ღამე“.....	46
ზეცას ვკოცნიდი დახალულ მკერდზე.....	48
ჩუქურთმებიან ძველ კარებს შეეხსნი.....	49
მწვანედ დაათოვს.....	50
ჩემს ელისო წიკლაურს.....	51
სოსოს (სახუმარო 1).....	53
სოსოს (სახუმარო 2).....	54
გთხოვ, ამიშენე პატარა სახლი.....	55
მადლობელი ვარ.....	57
ლურჯი ნაკვები.....	58
ღამე ცეკვავდა სანთლების ცეცხლში.....	59
გვირილები.....	61
მე არ ვიცოდი, თურმე გკარგავდი.....	62
მე დავიბადე განთიადისას.....	63
ბროწეულები დამწიფდნენ ბაღში.....	64
ჩემს საყვარელ ხათევან იოსელიანს.....	65
მე შენი სუნთქვა აღარ მწვავს კეფას.....	66
გამოდი.....	68
ხელში ჩამერღვა აკინძული ასხმა მძივების.....	69
ნისლი აქანებს სახლებს.....	70
მოთხრობები.....	71
სამყურა.....	73
მიყვარს არა... ის.....	82
რაო, ძია ვანო?.....	94
ჩანახატი (დღიურიდან ამოვარდნილი ფურცელი).....	110
თოვლი მომენატრა (დღიურიდან ამოვარდნილი ფურცელი).....	113
თარგმანები.....	117
ანა ახმატოვა.....	119
მსურს, წლის ყველაზე შავზნელ დღეებსაც.....	119
სულს ამომართმევ ხმელი ბალახის თხელი ღეროთი.....	120
განშორება.....	121
საღამო ყვითელ შუქად ჩამდნარა.....	122
ისიც არ ვიცი, გემებო უნდა?.....	123

ნუთუ ცხოვრების კალაპოტმა მხარი იცვალა?.....	124
იქ ჩემი ლანდი შემორჩა თითქოს.....	125
ზოგი ალერსით დაბინდულ მზერას უჩუმრად ეტრფის.....	126
დამშვიდობებას ჩვენ ვერ ვახერხებთ.....	127
ველტი ვარდებთან გარინდებას ერთადერთ ბაღში.....	128
მარინა ცვეტაევა.....	129
შეცდომა.....	129
ჩემს დიდ ქალაქში დამდგარა ღამე.....	131
თქვენ უცაბედად გვერდს რომ ჩაუვლით.....	132
მარია პეტროვიხი.....	133
გთხოვ, შესახვედრად გამიხმე სადმე.....	133
სხვენზე აძვერი შენ თვითონ მარტო.....	136
იოსებ ბროდსკი.....	138
წერილი კედელს.....	138
ნაწყვეტი პოემიდან „მსვლელობა“.....	141
ალექსანდრე ბლოკი.....	143
წლები გავიდა, მაგრამ შენ ისევ ისეთად დარჩი.....	143
სერგეი ესენინი.....	144
სადამომ თურმე მოირთხა ფეხი.....	144
დღე დაქანცული ღამისკენ იწევს.....	145
ბელა ახმადულინა.....	146
ზღაპარი წვიმის შესახებ.....	146
ყველაფერი ჯერ წინა გაქვს.....	152
ომარ ხაიამი.....	155
ნუ შეუშფოთებ სხვას სულს სიავით.....	155
ვერონიკა ტუმნოვა.....	157
სახლში ბინდი დგას და რალაც შფოთი.....	157
ვლადიმერ ნაბოკოვი.....	159
შემოდგომა.....	159

ანდრეი დემენტიევი	160
როგორ უაზროდ ვცხოვრობთ ხანდახან.....	160
ვადიმ მურატხანოვი	161
შორს წვეთებისგან დაცემის დროს რომ სკდებიან ჩუმად.....	161
იური კაზარინი	162
უფალი ზოგჯერ დაივანებს ვაშლში მატლივით.....	162
ბორის რიჟი	163
არ მიმატოვო...შუალამისას	163
დავიდ სამოილოვი	165
მოდის, წავიდეთ ქალაქში ისევ.....	165
რა გზას ვეწიო.....	167
მათ არ ელიან, მოდიან თვითონ.....	168
ედუარდ ასადოვი	170
სიყვარულს როდი სჩვევია გაყრა.....	170
შუალამეა და ვარსკვლავებმა დახუნძლეს ზეცა.....	171
ო, რამდენია, ვისთანაც ღამის გათევას ელტვი.....	173
ვლადიმირ პოლიტაევი	177
ზეცა მიწიდან იწყება თურმე.....	177
ლარისა რუბალსკაია	179
რიგი ბედნიერებისთვის.....	179

შესავალი

ცხოვრება სასწაულებითაა სავსე. მე ამ მხრივ უცნაურად განებივრებული ადამიანი აღმოვჩნდი, თან ბევრი რამით. ერთ-ერთი კი დაახლოებით 50 წლის ასაკში წერის დაწყება იყო. ეს მუხტი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მომაგონა ბავშვობაში წაკითხული ზღაპარი, ფაფა რომ დუღდა ქოთანში, დუღდა, დუღდა, გადმოდინდა და ავსებდა ქუჩებს, მოედინებოდა უსასრულო ნაკადად.

ასე მოხდა ჩემს ცხოვრებაშიც. ემოცია, როგორც ყაისნალი ამოსდებს ხოლმე თავის ბასრ პირს ჩემი სულის ქსოვილს და ამოქაჩავს... ამ „ამოწეწილი“ თვალის ჩაბრუნებას კი მხოლოდ ლექსის ან მოთხრობის დაწერით ვახერხებ. ეს პროცესი საოცრად დიდ სიამოვნებას მგვრის და სულიერ სიმშვიდეს მანიჭებს.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს მკითხველებს, რომელთა დიდი დამსახურებაა ამ ემოციის ფერადოვნება-სიმრავლე თუ წერის სურვილის გაუნელებლობა.

დიდი მადლობა ჩემს მეგობრებს, რომელთაც არა მხოლოდ ჩემი წინა სამი წიგნის ხელახლა გამოცემის, არამედ ამ მეოთხე კრებულის („ყვითელი ფოთლების“) დაბეჭდვის ფინანსური მხარეც მთლიანად თავის თავზე აიღეს: მარინა და შორენა პეტრიაშვილებს, თემო იაშვილს, ლალი ზეიკიძეს, ანი დათუნაშვილს, დათო ტყემელაშვილს, ნატალია ნეფარიძეს, ლაშა ჯაიანს, ნათია ცომიას, დათო ჭელიძეს, ლენა და თიკაჩო ვლადის.

ლექსები

ჩემს ბავშვობას – ბაკურიანს

კვლავ შევეფარე ბავშვობის კალთას,
და ახლა ვცდილობ თავიდან ათვლას
იმ საოცარი ლაალი დღეების,
მომყოლივით რომ მაკრია გარსად.
ნისლს ჩავუწვები მსუყე კალთაში,
ნაძვის წიწვების მოვიქსოვ საბანს,
ფიჭვის ხორკლიან მერქნის ბალიში
ჩემი ბავშვობის მიაგებობს ამბავს!
ლიანდაგების სუნი მომწვდება,
კუკუშკას ძახილს ავედევნები,
ვაგონზე შემხტარს, მშფოთვარე მზეერას
და გვირილები ფეხისწვერებზე
აიწევინა ფრთხილი ჩურჩულით
და მზის სინათლით გაუმაძღარი
არსად დარჩება კუთხე-კუნჭული...
ღრუბლები ცაზე შექმნიან ჭიდილს,
ქარის ძახილზე აირევიან,
და ძოწისფერი ციცქნა მარწყვები
მძივის მარცვლებად ჩაიბნევიან.
წერეწოები დახალულ ქუდებს
მორცხვად სახეზე აიფარებენ,
აწოწილ ფეხზე, რომ არ მოვწყვიტო
ჩემს ხელს არაფრით გაიკარებენ.
აგურისფერი ციყვები სხარტად
ტოტიდან ტოტზე, როგორც შურდული
დანავარდობენ და დაფრინავენ
უმსუბუქესად, როგორც ბუმბული.
და მზე მინდორზე გაბნეულ ზვინებს
აშრობს და ხალავს ვით ყავის მარცვლებს,
და გადამსკდარი მიწის სურნელი
მატორტმანებს და სიცოცხლით მავსებს.

კვლავ გავეხვევი ნისლის საბანში,
ცრემლში გალუმპულ სევდას ჩავუდებ,
და სამუდამოდ აჭედილ სახლებს
ურდულებს დავხსნი, ფანჯრებს დავუდებ.
რიკულებიან აივნებიდან
სხვების ავაფრენ ოცნებებს ათასს,
და თვალს შევავლებ ჩემს უკვდავ კობტას,
ოქროს ვარსკვლავი თავზე რომ ადგას

ყველამ გაიხსენოს თავისი ბაკურიანი ზამთარში

ზამთარი მოდის და ცა გაცრეცილ ქოლგას იფარებს,
რთული დრო უდგათ ერთად ჩამომსხდარ ციციქნა ბელურებს.
სველ ხარიხაზე აბურძგნულებს, გულდაბერილებს
თბილი ოთახის მღვრიე შუშიდან სევდით შევყურებ.
ფეჩი გუგუნებს და ცეცხლი ცეკვავს ფიცრულ კედელზე,
ნელი თუხთუხი დაუწყია მძიმე ჩაიდანს,
თავმოხუფული ჟოლოს მურაბა ძველ განჯინაში
დიდხანს დგომას და გარეთ ყურებას ვედარ აიტანს.
კვამლის ენები აცა-ბაცად ხაზავენ ზოლებს,
და მთვრალი კაცის ტაატით უხმოდ ელტვიან ზეცას,
ჯაჭვგაწოლილი ცივი არაყი, პირთამდე სავსე
გონებას ბინდავს, დროის დერეფანს ბეჯითად კეტავს.
ბადის საწოლებს გადრეკია წელი ძირამდე
და ძველ გასაღებს ჩასცვენია თურმე კბილები,
გიტარის ხმაზე სული უმწეოდ ფარფატს რომ იწყებს,
ასე მგონია, რომ სიყვარულით გადავირევი.
ცივ აივანზე გაყინულ ონკანს ლოლოს ჩამოვხსნი,
და რძის კასრიდან აზა ყველის თავს ფრთხილად ამოქნის.
და უცნაური ჩაბუდდება სულში შეგრძნება
არარსებული სამყაროს და მიწის სამოთხის.
ბინდი მოგორავს, მთელი აღმართი მოაქვს მკლავებით,
თხილამურები ხის ღობის გასწვრივ მწკრივში დგებიან,

და ზამთრის მოსვლას ღირსეული თავშეკავებით
გასული წლიდან მოთმინებით ელოდებიან.
მღვრიე მინაში ძველი ნათურა ობლად ანთია,
თოვლის ჭრიალი სულში გედვრება თბილი დარდივით,
კართან ვილაცა დაიფერთხავს მძიმე ბათინკებს,
და თბილ ოთახში შეაბიჯებს დარდიმანდივით.
ნამძვები მძიმედ დაჰყურებენ ნაქარგ მაქმანებს.
თოვლი კი მოდის ფანტელეზად, თითქოს ფთილეზად.
ციცქნა ბელურა, გათოშილი, ღრმა თოვლში ჩარჩა,
როგორც ყოველთვის, უჭირისუფლოდ, დაუტირებლად
ძველი სიმღერა ისევ დაარწევს დაღლილ სხეულებს,
და სულს კოჟრიანს შვებას მოჰგვრის უწინდებურად,
და გაგვახსენებს იმ სიყმაწვილეს და სისპეტაკეს,
ჩვენს ერთად ყოფნას და არყოფნას ტანს რომ ებურა.
ჯერ კი თუნუქის ძველი ფეჩი გუგუნებს ტკბილად,
ცეცხლის ენები ფიცრულ კედელზე უვლიან დავლურს,
ექვსსიმიანი გიტარის ხმაზე ქანაობს სული,
და მომავალზე, არც ხვალინდელზეც ფიქრიც კი არ სურს.

ნუ ეძებ ჩემში ნურას იდუმალს, არა მქონია
ახლა რომ გითხრა.... გამიჩნდება... არა მგონია,
გამოცანად მე ვეღარ ვიქცევი, არც მითხოვია
ხშირად ღიმილს მგვრის მთლა აწეწილი ეს ისტორია...
მერე რა, თუკი ზოგჯერ დაგცინი ცელქი ბავშვივით,
ამ სიცილს მიღმა უნდა დაღანდო კიაფი ცრემლის,
მორჩილების და ცრემლი ტკივილის ყველაფრის გამო,
რასაც ვერც ახლა და ვერც ვერასდროს ვერავინ შეცვლის!
ბოშა ქალივით უდარდელად მივარდევე ქუჩას,
და ქვედაბოლოს ხშირ ნაოჭებში ვმალავ საფიქრალს,
და ხელისგულის დასერილი წვრილი ხაზებით
ვცდილობ მომავლის და ბედისწერის სწორად წაკითხვას.

მზის მხურვალეობას ოსტატურად ვიპარავ ურცხვად,
და მონდომებით ვიპირქვავებ გულის უბეში,
ვცდილობ ცხოვრების შევეჭიდო შავბნელ იალქნებს,
თუ ვერაგულად გამიგორა სულში დუ-ბეში.
ნუ ეძებ ჩემში ნურას იდუმალს... ხელისგულივით
გადაშლილია ჩემი ცხოვრების ყველა ფურცელი,
ვერც ქარიშხალი, ვერც თავსხმა წვიმა ვერაფერს ავნებს
ჩემს ამ კრებულში სულ ყველაფერი რჩება უცვლელი.

ქალაქის ნავები

ნუთუ ისევე ჩაირღვევა გულის ნაკერი
ისევე ჩაქრება ამდენი თრთოლვით ცისკენ ნამზერი,
დატრიალდება ნაცრისფერი ფიქრის ნამქერი
და თვალს მოსწყდება ცივი ცრემლი, ისე... არ ფერი
ხელებს დავეუშვებ გაციებულს, ოდეს მხურვალეს,
მზე უდიერად დააგორეს, ვერ მოუარეს,
სულს გააგრილებს უკურნებლად ფიქრი მწუხარე,
რწმენას დაფერფლილს დაიტირებს ზეცა მქუხარე.
ხრიოკ შარაგზას შევუდგები ისე... უმიზნოდ,
უტიფარ აზრებს დაუნდობლად ხაფანგს დავეუგებ,
და, რაც მოედო სულს გაფითრებულს მძიმე ჟანგივით,
ჩემს ხორცთან ერთად ამოვმანთავ, ანდერძს ავუგებ.
ნურაფერს იტყვი, ხელისგული ნელა ცივდება,
სიცარიელე ალმაცერი მზერით მახელებს,
ქალაქის ნავებს სათითაოდ ვუშვებ ტალღებში,
და გულიდან ვშლი ერთდროს სანუკვარ, წმინდა წარწერებს.
ნუთუ ისევე ჩაირღვევა გულის ნაკერი,
ფრთებს შემოიგლეჯს სიმღერა. ერთ დროს შვებით ნამღერი,
სევდის მეზადურს, თვის მძიმე ბადეს შორს რომ გასტყორცნის,
შეუცნობ ფსკერზე მარტოდმარტო ნებით ჩავეყვები.

„ლატვიანი“ ცა

უცნაურია, რაც ქვეყნად ხდება,
თუ მხოლოდ ჩემთან გაიხსნა ზეცა
და უცნაური სიბნელის მიღმა
ვიღაც თითქოსდა იხსნიდა ნიღაბს,
ამ გაურკვეველად გადახსნილ ცაში,
ვეძებდი ვარსკვლავს ანთებულს რწმენით,
ანდა ანგელოზს ფრენისგან დაღლილს,
ან შემთვრალ მთვარეს, ამღვრეულ მზერით,
მაგრამ ამაოდ, გარღვეულ ცაში
იდგა სიბნელე არაფრის მთქმელი,
ამ მოლოდინმა დამთრგუნა თითქოს
უცებ მეხივით მოულოდნელი
გაისმა გრგვინვა და სიჰმა ქვებმა
იწყეს გრიალით ცვენა ზეციდან,
დაკაწრულ ხელებს ვიწვდიდი ცისკენ
სიცოცხლე ჩემი ბეწვზე ეკიდა.
უცებ ღრუბელი დაცურდა ქვემოთ
და ფეხქვეშ მიწა გამომაცალა,
და სიპი ქვების მოხეთქილ ნაკადს
ცის უფსკრულიდან დაცლა აცალა,
დადუმდა ზეცა, სული მოითქვა,
და გუგუნს მოჰყვა, როგორც კრატერი,
სწრაფად მივადგი მალალი კიბე,
დაუფიქრებლად ცამდე ავძვერი.
და რუდუნებით ჩავაგვირისტე,
სწრაფად შევკერე ზეცა გამსკდარი,
და ახლა რაღაც აღარ მადარდებს
რა გველოდება – დარი? ავდარი?
ჩემი ცა ხშირად ლურჯი ფერია,
ფიქრიანია, სავსე ღრუბლებით,
ლამით ვარსკვლავებს კაშკაში გააქვთ,
ხშირად ვერ ვძლები მათი ყურებით!
გამოგორდება ხანდახან მთვარე,
ცნობისწადილი შეიპყრობს რადგან
პირველად ნახა, თავისი ნებით
რომ ცისთვის ვინმეს დაერთყას „ლატკა“.

შემოდგომა

ხმელი ფოთლების მწვავს სინანული,
და ოხშივარი მზისგან ჩაღვრილი,
ზაფხული უკვე, ვიცი, დასრულდა!
და თოლიების მესმის ძახილი.
ქვიშის სიცივე მიჯდება სულში,
და წყლის ვერცხლისფერს დავყვები მზერით,
სული თითქოსდა ჩემს სხეულს ტოვებს,
და ნება-ნება მიიწევს ზევით.
წყლის ცივ ზედაპირს აკოცებს ზეცა,
და ჰორიზონტთან ცა რომ ილევა,
საკინძეს ფრთხილად ჩაიხსნის კრძალვით
მხურვალე მკერდის გასაგრილებლად.
იდგება ზეცა წელამდის წყალში.
ვნებააღვსილი, სველი მკლავებით,
და თვალს მომტაცებს ღრუბლადქცეული
ნათება მკრთალი ძუძუსთავების.
შემდეგ კი ნელა ამოვა წყლიდან,
და სველ კენჭებზე თამამად ივლის,
ხავერდს, ღამით რომ მოირგებს ტანზე,
მთვარის დიდრონი ებნევა ღილი.
შემოდგომაა, კიბეზე მჯდარი...
ხმელი ფოთლებით სავსე მაქვს კალთა,
და ამ შრიალის გრძნეული ენა
თავზას ამირევს მართლადამართლა!
შემოდგომაა... და ფერად ფოთლებს
მუჭებში ვიქცევ და ქარში ვფანტავ...
მზის მცხუნვარება, ფერფლად ქცეული,
უჩინარდება უხმოდ და ზანტად.
შემოდგომაა... და სველ ქვიშაზე
თეთრი თოლია დაღლილ ფრთებს კეცავს
და ვერცხლისფერი წყლის ზედაპირი
უცხოოდ ამღვრეულს ირეკლავს ზეცას.

წვიმა

ნულარ იწვიმებ ჩემს ციციქნა ბაღში,
ნულარ დამაყრი ასეთ მსხვილ წვეთებს,
თორემ გუბეში დილით რომ მხვდება,
ჩაყრილ ვარსკვლავებს და ღრუბლებს ვეძებ!
ნულარ იწვიმებ ჩემს ციციქნა ბაღში,
ირიბად მოსულ ნაკადს გავყვები,
და კარგად ვიცი ჩემი ამბავი,
სადმე უკვალოდ ჩავიკარგები.
ნულარ იწვიმებ ჩემს ციციქნა ბაღში,
ზურგით დაგხვდები, ჩამოსცხებ როცა,
დარაბებს მჭიდროდ დავეცევა ბრაზით
და ოთხივ კუთხით გზას დაგილოცავ!
ბებოს დაქარგულ ფარდაებს დავხსნი,
გაცრეცილ პირებს ფრთხილად დავკემსავ
და ნავთის ლამფის მთრთოლვარე შუქზე,
ძველ კიდობანში ფიქრებს ჩავკეცავ.
შეწყდი... გეყოფა.. ხმაურით მოთქმა,
ყურს არ ვათხოვებ ნაცნობ არიებს,
ნუ შეებმები ხნიერ ზამბახებს,
და ნუ დამიფრთხობ ჭიამაიებს!
ნურც კრამიტებზე დაიდებ ბინას,
იქ ჩემი კატა გაწვება დილით,
და შენს სევდიან ჩამოღვრილ ზეცას
ფრთხილად დაყნოსავს ნოტიო ცხვირით.
ჯანდაბას, დამხვდეს გუბეში დილით
ცა ნაცრისფერი, არაფრის მთქმელი,
თვითონ მოვუვლი, დაღამებისას
ვარსკვლავებს ჩავყრი ჩემივე ხელით!
დაღლილ ზამბახებს წამოვაყენებ.
ჩუმიად მოვუხმობ ჭიამაიებს
და წვიმისაგან სველ ყვითელ კაბებს
ორთქლზე გავუშრობ მზისფერ ბაიებს.
რადაც... სიბრაზემ გადამიარა...
და ვგრძნობ, თანდათან ვხდები თანახმა...
თუ გსურს, ჯანდაბას! იწვიმე,
მაგრამ გახსოვდეს, ჩემი ბაღის გადაღმა!

შემოდი!

თოვლში დატოვე კვალი ციცქნა ტერფების,
შემოდი სულში, გასაფრენად ვერ გაგიმეტებ,
პატარა ფრთები მიაფიცხე გულის ფორიაქს,
უხმოდ რომ პენტავს ოცნებებს და დაღლილ იმედებს.

შემოდი!


ფრთხილად, ნუ დაგაფრთხობს შავი კედლები,
როგორც გჩვევია, აუყევი დახვეულ კიბეს,
მარაოსავით რომ იშლება საპნის ქაფივით
ძველი თალიდან ჩასაფრენად ქვემოთ რომ გიწვევს.

შემოდი!

ლაღად, გულუბრყვილოდ, როგორც გჩვევია,
სხივი მოჰფინე გადაყვლეფილ ბებერ ქონგურებს,
და ძველ სარკეში, ლაქებად რომ შეაშრა ცრემლი.
დალანდავ გამქრალ თაობათა ნაცნობ კონტურებს.

შემოდი!

ვიცი, დრო ცოტა გაქვს, სხვაგან გელიან.
აშალე გუნდი ყორნებივით შავი ეჭვების.
ჩაშლილ ფიქალზე, ვით არშია, დატოვე შენი
თეთრი ფრთების და ციცქნა ტერფების ანაბეჭდები.



პატარა ანგელოზი,
მხატვარი
ნინო ჭაკვეტაძე

განწყობილება

ცა, დაპენტილი ღრუბლის ფთილებად
ზანტად ჩამჯდარი კომშის ყვავილი...
გადათელილი წვიმით ბალახი,
არ დალეული ბოთლში არაყი...
ნაფეხურები სველ აივანზე,
თბილ ხელისგულზე გამსკდარი წვეთი,
ჭორფლები ასე ლალად დაყრილი
და ჩუმი ცრემლი, წვიმას რომ ერთვის.
ფუნჯები თიხის მძიმე ქოთანში
და მოჭიქული ზიგზაგის როკვა.
მინავლებული ცეცხლის პირისპირ.
გრძნობების აშლა, შეხლა და მოკვლა....
წვიმის ნავარდი შიშველი ფეხით,
თავმიცემული ბზრიალი კართან,
თავდარწმუნება, რომ მასზე უკეთ
გლოვა არ იცის არავინ არსად!
დაჭერობანა სარეცხის თოკზე,
პირდაფჩენილი უკბილო მილი.
წყლის ნიაღვარი, ცით მოხეთქილი,
მის ცივ მარღვებში თქრიალით ივლის...
ცას აწვდენილი სახე გახსნილი,
სიხარულისგან ჭორფლებს რომ კარგავს.
და აღტაცება მთლად ძირგამძვრალი.
ამ ასაკში რომ არაფერს არ ჰგავს.
დე, ასკინკილით იხტუნოს წვიმამ!
ყური მივუგდოთ დიდ თეთრ ნიჟარებს...
თუკი წვიმაში გადაშლილ ქოლგას,
გვერდს ავუვლით და არ დავიფარებთ,
კი გავცივდებით, მაგრამ ცოტა ხნით.
უარი ვუთხრათ სურდოს და ხველას!
კიბის მოაჯირს სრიალით ჩავყვეთ.
თუკი „მუხრუჭმა“ ვერ გაგვაჩერა...
რა დაგვრჩენია? სველ ფილაქანზე

ფეხი მოვირთხათ, უწინდებურად
და ნუ მივიჩნევთ, რომ მარტო დავრჩით.
მივიწყებულნი... რაღაც ეულად...
ვიდრე ჯერ კიდევ სიცილი გვართობს.
და თვალის ღარში ცრემლი ბრჭყვიალებს
არ დაიჯეროთ სიბერის მოსვლა,
დროშებს ჯერ კიდევ ავაფრიალებთ!

* * *

შენ ჩემს გარეშე ისწავლე ფრენა
და მიხარია ზეცას რომ სწვდები,
თავბრუდამხვევი სილურჯე გზიბლავს,
მერცხლების ქროლვა, ცას ანასხლეტი.
შენ ჩემს გარეშე ისწავლე ფრენა,
ცა გაგწოლია ფრთებქვეშ ფერებად,
შენს სულს გაცრეცილს პერგამენტივით
უკვე ვერავინ ვერ მოერევა.
ლაღად შეხვდები მაყვლისფერ ღრუბლებს,
მოხეტიალე მღვრიე დაისებს,
რომ არ მოგაკლდეს საფრენად სივრცე,
ზეცა თანდათან მაღლა აიწევს....
ჩემს ხელებს შერჩა რაღაც... ნაცნობი...
შენი სხეულის მიმქრალი სითბო,
და შენი მზერის ჩაკლული სხივი,
უმისამართოდ მომწყდარი თითქოს...
შენ ჩემს გარეშე ისწავლე ფრენა!
დე, დალოცვილი იყავ უფლისგან,
ხელისგულები შემოგაშველე.
და აგაფრინე ჩემი გულიდან.

ჩემს უსაყვარლეს ადამიანს – სოფო კერესელიძეს
თაყვანისცემითა და უდიდესი მოწიწებით

* * *

თეთრი კლავიში შენს ხელქვეშ თრთოდა,
და მზერა გქონდა ცისკენ აწვდილი,
შენი ფიქრები ასეთი შორი
მიუწვდომელი და არ ადვილი...
ეს შეწყალების უცხო უნარი,
სულის სიკეთე ძირგავარდნილი.
ან სიყვარული შენ რომ შეგეძლო
განსაცვიფრებლად სუფთა, ნამდვილი!
მახსოვს კლავიშებს ეფერებოდი,
ჟღერდა დიეზი... სადღაც ბემოლი,
და ვგრძნობდი სულში როგორ კვდებოდა
ფრთებდალეწილი შავი დემონი.
მე კი ვიჯექი სკამზე შენს გვერდით
შენს გრძნეულ ღიმილს თავს ვაფარებდი,
და ჩემი სულის მღვრიე ზარდახმას
ჯერ არნახული შვევით ვაღებდი.
შენ კი უკრავდი და ცრემლს ჩაკირულს
როგორც კრისტალებს, ისე ფანტავდი
და კლავიშების მსუბუქი თრთოლვით
ჩემს დარდს ცრიდი და ზეცად ატანდი.
და მეც ჯინივით ვისწავლე ფრენა,
თეთრი კლავიში შენს ხელქვეშ თრთოდა,
ლამპრის გარეშე დარჩენა უკვე
არც მადარდებდა, არც მეშინოდა!
მაგრამ ბოლო დროს გამიჩნდა აზრი.
ზოგჯერ ქარი ჰქრის, წვიმა... ავდარი,
მაინც იქნება, თავდაცვის მიზნით,
მომამებნინო ჩემი ლამპარი?

საახალწლო განწყობილება
(საახალწლო შეხვედრის შთაბეჭდილება
ტყეშელაშვილ-დათუნაშვილების მშვენიერ ქართულ ოჯახში)

ცამ ჩაიმუხლა ხეთა ვარჯებთან,
და გაიბლანდა გამხმარ რტოებში,
მთვარე გაგორდა იისფერ მთებთან,
რადაც დიდებულ სიმარტოვეში.
ცაზე გაფანტულ მაყვლისფერ ღრუბლებს
ვიღაც თითქოსდა უჩინარ ხელით
ვით გამშრალ სარეცხს ნელ-ნელა ხსნიდა,
აუღელვებლად და რუდუნებით.
მთვარე კი, როგორც შემთვრალი კაცი,
ზეცის ბილიკებს ზანტად მისდევდა,
და ჩამუქებულ თაღზე მოქცევას
სულ არ ჩქარობდა, თან ფეხს ითრევდა.
მთვარე ბორგავდა მთვრალი კაცივით,
თითქოს კიბეზე ფეხი სხლტოდა,
ცის კიდობანზე უკვე ასული
კვლავ მთის მკლავებში აღმოჩნდებოდა.
გარკვევით მახსოვს, ანთებულ მთვარეს
სევდა ეყარა მღვრიე ხალეზად.
მაგრამ ვიღაცა მის ოქროს დისკოს
მონეტასავით აპრიალებდა.
და ვარსკვლავებით ჭედავდა ზეცას
პაწაწკინტელა ვერცხლის ჩაქუჩით,
და მძიმე ფარდად ეკიდა ღამე
მილიონობით ციცქნა კაუჭით.
მთვარე იწევდა მალლა და მალლა,
და ღამე თითქოს ყალყზე დგებოდა,
სულ მეშინოდა, უთქმელობისგან
გული საცაა გაუსკდებოდა.
მთვარის შემყურე თვრებოდა ღამე,
ბავშვობის ზღაპრებს ცრემლით ყვებოდა,

მის მონათხრობზე მთელ დედამიწას
ნეტარი ფიქრით ეძინებოდა
მერე კი თოვდა ათასგვარ ფერად,
ყინვა ხატავდა ზღაპრულ მაქმანებს,
რადაც უთეთრესს და უნატიფესს
ბებო ქარგავდა მახსოვს, მაგვარებს.
დგებოდა შობა და ნაძვის ხეზე
ბზინავდა წვიმა ლურჯი, ყვითელი,
და სულის კარზე შემომჯდარიყო
ჩვენი ბავშობის „ლურჯი ფრინველი“.
დეკაბრისტი კი დიდრონ ქოთანში
წითელ ყვავილებს მძიმედ არწევდა,
და თითქოს სახლში ვარდისფრად თოვდა
და ღამე იდგა დაშლილ ფარდებთან.
ვჭკრეტდი გოზინაყს, ირიბად ათლილს,
სანთლის შუქზე რომ ყვითლად ბზინავდა,
და მოგონებით სავსე მარხილი
სადღაც შორებულ ცაზე ფრინავდა.
ღვინო ელავდა ლამაზ დოქებში
ჩაბერეს ბუკებს ანგელოზებმა
და სანთლის ალზე ნელი ბზრიალი
იწყეს პატარა ოქროს ქოლგებმა.
ვეება მთვარე ცაზე ეკიდა
და ჩრდილი მძიმედ წვებოდა გზაზე.
ღამე კი თავის ჩამოქნილ თითებს
ათამაშებდა ცის დაირაზე.
მაცვლისფერ ღრუბლებს უკვე ეძინათ
დიდ გალიაში ეძინა ჯგისი
და ახალი წლის მოსვლას ველოდით
როგორც გვჩვევია – რიგით და წესით.

* * *

გესმის? ზარები რეკავენ სადღაც
თითქოს გაფრენილ უხმობენ მერცხლებს,
მზე გაწოლილა ჩამქრალ ქედებთან.
უსიყვარულოდ, როგორც ჩანს, ვერ ძლებს.
მომცრო ტალღები ეხლება ნაპირს,
სული ისვენებს და მარტოვდება,
და სიბნელში ვიღაცის ხელი
შავ ცას ვარსკვლავებს აყრის ხორკლებად.
ვიხსენებ ჩემთვის... უკან ბევრია...
წინ რამდენია, არავინ უწყის,
რაც უნდა მოხდეს და მანამ იყო,
მადლობელი ვარ უძიროდ უფლის.
ზარები რეკენ და მათი ჩრდილი
მუქ ენძელებად ჰკიდია ცაზე,
და როგორც ღილი, ამწყდარი ბგერა
აღებს სულეთის ფარულ დარბაზებს.
დასრიალდება ზეციდან მთვარე,
და ფეხშიშველა გაირბენს წყალზე,
და ამ სიშიშვლის ყვითელი ელვა
მიწას სულს უკრავს და ვნებით ავსებს.
თბილი კენჭების აისხამს მძივებს,
ნიჟარებისგან დაცლის ამფორებს,
და ზედაპირზე ალიცილიცებულს
სვეტად გაწოლილ ნათელს დატოვებს,
შემეფეთება ვით ბავშვობაში
ფიქრი ჯიუტი და უმართავი,
სამრეკვლოს თავზე უწინდებურად
დაეკიდება მძიმედ ვარსკვლავი...
და აღსარებით მოვქანცავ ღამეს,
გულწრფელად ვეტყვი, რაც მაგონდება,
მაშინ კი ზეცას წასკდება ცრემლი
და ვარკვლავებად აიხორკლება.

* * *

ჭრიალებს თოვლი და ცხვირს მიყინავს სიცივის სუნთქვა
და ამ სითეთრეს უსასრულოს ფიფქივით ვერწყმი,
ცას დამაფრთხოვლად გალურჯებულს ნდობით ვიხურავ,
და შვებით ვწვები თოვლზე დაფენილ ნაძვების გვერდით!
ძველი მარხილი მისრიალებს დატკეპნილ თოვლზე,
ფლოქვების ცემა სიზმრის სამყაროს კარიბჭეს უმტვრევს,
ზანზალაკები წკრიალებენ, კაწრავენ ჰაერს,
ღობესთან მდგარი გოგო-ბიჭები გვიშენენ გუნდებს.
ცხენი ფრუტუნებს, დათოვლილ ბალახს ხალისით წიწკნის,
ძველი სახლები აცა-ბაცად ჩნდებიან კვამლში,
სრულიად ვკარგავ დროის შეგრძნებას და მეჩვენება
თითქოს ვარ კიდევ, თითქოს არცა ვარ... არ ვიცი, რა მჭირს...
წყლიან ქილებში ჩაუყრიათ ფიჭვის კევები,
და ძველ ბაზარში თაფლის ქილაში ჩამხრჩვალა ფიჭა.
დიდი ხურმები თოვლის სითეთრეს იხდენენ ტანზე,
ფეხქვეშ შეფარვით და ალერსით ჭრიალებს მიწა.
ნაკელის სუნი მიმაცილებს ნაცნობ აღმართზე,
ხის მოქარგული აივნები სავსეა თოვლით,
ახლა ავივლი, ვეღარ ავირბენ ნაცნობ კიბეებს,
შობის დამე კი კვლავ ძველებური სილაღით მოდის.
ციცქნა სანთელი ატირდება გულმოსაკლავად,
მე ჩემს ხელისგულს შევაგებებ მდულარე ცრემლებს,
და ჩვენ ორივე გავიხსენებთ სანუკვარ სურვილს,
ოდესღაც ნანატრს, მაგრამ არასდროს ახდენილს დღემდე.
თოვლი წამოვა და ითოვებს, ალბათ დილაამდე
და ეს სითეთრე მიაძინებს ჩემს ყველა ნატვრას,
აბურძენულ ჩიტებს ჩაუკარგავთ საკენკი თოვლში
ვისაც ოცნების ძალა არ შესწევს, ნეტავი, რა ჰქნას?
დიდი ხურმები თოვლის სითეთრეს ირგებენ ტანზე,
დატკეპნილ თოვზე მისრიალებს მარხილი ძველი,
საკვამურები ჩუმად ბოლავენ, ტაატ-ტაატით
შობა ხომ დადგა... მალე მოგვივა ახალი წელიც.



ჩემი საოცარი თამრიკო ბოკუჩავას ხსოვნას

შენ უცნაურად წახვედი ჩემგან
მე ახლა შორს ვარ... სადღაც ცის გაღმა,
და ციცქნა სანთელს, ჩემთან რომ ფეთქვს
ვზივარ და ჩუმად ვუდიმი ახლა,
შენი თვალები აწყდება კედლებს,
და ხმა გაირბენს შიშველი ფეხით,
და კვლავ მოვრბივარ შენს შესახვედრად.
დიდი ხალისით და კისრისტეხით.
გარეთ გვირილის მოსულა თოვლი
ქუჩა თეთრია, სული კი მღვრიე
ჩვენს ბავშვობაში ჩარჩენილ დღეებს

ნეტავ იცოდე, რამდენ ხანს ვდიე.
სულ მათეებდი, მუდამ მიკვირდა
აქორილ ტალღებს როგორ უძლებდი?
მე დღესაც მახსოვს ქვის ფილაქანზე
ზარივით რეკდნენ შენი ქუსლები.
და გვირილებით დათოვლილ ქუჩას
მივუყვებოდით განმარტოებით
და როგორც ადრე, დიდი ხნის წინათ,
ღრმა ნაფეხურებს თოვლში ვტოვებდით.
სანაპიროზე ჩაყინულ ცრემლებს
სულიდან ვიღებ და იქვე ვფანტავ,
ვხედავ კენჭებად გადაქცეულნი,
ფერებს იცვლიან მშვიდად და ზანტად.
მზე ჯერ კარგახანს არ გამოჩნდება,
და ფერად ცრემლებს მუქში ვიგროვებ,
და შენთვის მომაქვს, რომ კვლავ იცინო
და დაგარწმუნო – შენთვის ვიპოვე!
გაფრენილ თვალებს დავეძებ ისევ,
ვიცი, აქა ხარ, წასულხარ არსად...
მჯერა, ყოველ დღე კარებს გააღებ
განთიადის და ღრუბლების მსგავსად.

* * *

ხელმოცარული მხედართმთავრის დღიურიდან

მორებზე სძინავთ დადლილ თოლიებს
და ბასრ ნისკარტებს ფრთებში მალავენ,
წყალში შეცურა შეშლილმა ზეცამ,
და თვალი მოსჭრა ბებერ დარაბებს.
ჩემს ერთი ციდა ბედნიერებას,
სულს რომ უტოკებს ჩამქრალ დაღალეებს,
ხელისგულებში ალერსით ვიმწყვევ
და გულამომჯდარს ვალაპარაკებ..
შუბლზე გაირღვა სევდის ნაკერი,
ცრემლის წყალწყალა მძივი ავაგე,
ბრძოლის ველიდან მშვიდად გავდივარ,
დიდი ამბავი, ომი წავაგე!
ყველა მახვილი, მზეში ლაპლაპა,
ქარქაშში მძიმედ, მაგრამ ჩავაგე!
ვერ გამოვდექი ფეხმარდ რაინდად,
ვერ გავუმკლავდი ბედის ქარაფებს.
მორებზე სძინავთ მშიერ თოლიებს,
ჩამტყდარ იმედებს ძილში მალავენ,
მეც შემოვჯდები ნესტიან მორზე
გუნდში მიმიღეთ.... და მინანავთ.

* * *

გაცრეცილ ცაზე იღვიძებს სხივი,
მე ეჭვი მიპყრობს ხეთა შემყურეს,
ქართან საუბარს რომ არ იშლიან,
და აფეთებენ ციცქნა ბელურებს.
გამომშრალ ტოტებს შფოთით არწევენ,
და სხივი წვება, როგორც საშრობზე,
ხმელი ფოთლების ჭრელი დავლური,
მეც მიყოლიებს, მიწას მამორებს.
და სხივი წვეთავს გამშრალ ზეცაზე,
ცრუ ჟანგისფერი ვარჯებზე წვება,
და გაზაფხულის ასე სიმორე
რადაც მამფოთებს და მედარდება.
ღამე ჩაიცვამს რეზინის ბოტებს,
და უდარდელად წყალში გატოპავს,
მერე ჩამოხსნის ზეციდან მთვარეს.
და ცას კირისფრად კარგად გაპოხავს.
დაღარულ ხელში მოხუც ჯადოქარს
ჩავუჩხრიალებს დარჩენილ ხურდას,
მადლობას ვეტყვი სასწაულისთვის
ჩემი ფრთებისთვის და აბდაუბდა
ჩემი ფიქრისთვის, ოცნებებისთვის
ო, რა ლამაზად ვსერავდი ზეცას...
ახლა კი დროა... ფრენით დაღლილი
ფრთებს რუდუნებით ჩანთაში ვკეცავ.
გაცრეცილ ცაზე იღვიძებს სხივი
და მოწანწკარებს ვით წვეთი სისხლის,
იდინოს, ვიცი, გააპობს ზეცას
გაზაფხულამდე ჯიუტად ივლის.

* * *

შენ კესანებით დამიხუნძმლე გულის კარიბჭე
და ჩუმი ცრემლით მოხდენილად შეკარი ბაფთად,
ამ ცისფერ შუქში დამათენდა, როგორც ზღაპარში
ვარდისფერი და ყვითელი რომ გასდევს კანტად...
სულის ფორიას სიტყვა ვერაფრით ჩავაგდებინე,
მაჯას აწყვეტილს ველარ ამოვდე მტკიცე ლაგამი,
ზამთრის სანაცვლოდ გაზაფხული შემოფარფატდა
მოულოდნელი, მთლად შეუცნობი და უმართავი.
შენ კესანებით დამიხუნძმლე გულის კარები,
სულში კი ცისფრად მოციმციმე უტყვი ნისლია,
ხელისცეცებით მივუყვები უცხო ლაბირინთს,
რადგან ამ შუქის დავიწყება არ შემძლია.

შემომაგებე იის ფურცლები

შემომაგებე იის ფურცლები, მუქში ჩაყრილი,
თმაში ბაფთებად ჩამიწენი ღრუბლის ქულები,
გადავეშვები თავმოწყვეტით რძისფერ უფსკრულში
მზის ხელისგულზე ნეტარებით გავიტრუნები.
ხმა გაბზარული, ვით ქუხილი, გაირბენს ცაზე,
და დამაფეთებს ვით რიჟრაჟზე აშლილ ბელურებს,
მე სათითაოდ ჩამოვკრიფავ დაღლილ ვარსკვლავებს,
დაბინდებამდე გულით ვატარებ და ვუერთგულებ!
დავეკიდები ცისარტყელას და საქანელა
შვიდგზის შვიდფერი ნელი ტაატით ცისკენ წამიღებს,
ზეცის სიღრმიდან გადმოვხედავ ნაცნობ სამყაროს
ჩემი ცხოვრების დავიფერთხავ შემხმარ თარიღებს...
და როცა წვიმა იის ფურცლებად ჩამოიქცევა,
გამწკრივდებიან ბელურები ძველ გუმბათებთან
სამრეკლოები მძიმე ზარების ატეხენ. რეკვას,
ღამე კი დინჯად ჩაიმუხლავს ჩახსნილ ფარდებთან.

გულს ამოვიცლი, ციციქნა მნათობად დავკიდებ ცაზე,
გამთბარ ვარსკვლავებს დავუბრუნებ ზეცას უვნებლივ
და ვალმოხდილი, ნეტარი და გულამოცლილი
მზის გრძნეულ მკერდზე სამუდამოდ გავიტრუნები.

სახუმარო

სევდიანია ვარდის ფურცელი
და ალეწილი წითელ ლაქებად,
ნუ გაგაბრაზებს ჩემი ხუმრობა
ფარად მიბოძა იქნებ განგებამ,
ნუ გაგაბრაზებს ჩემი სიცილი,
შენი დაცინვა არც მიფიქრია,
და ჩემს ანც მზერას თუ გადააწყდი
არად ჩააგდო, არ შეგიძლია?
ნუ შეგაშფოთებს ჩემი დუმილი,
ამ დროს ბევრი მაქვს შენთვის სათქმელი,
კრიჭას ვიკრავ და ტუჩებსაც ვიკვნეტ,
რომ ჩავკლა სიტყვის კორიანტელი.
თვალეებს, დახუჭულს, ხელს ნუ შეახებ!
მზერას ვამინებ ბასრს და მრისხანეს
თორემ იცოდე, ძილს თუ დამიფრთხოვ,
მეც კი მკლავს შიში – ისე ინანებ!
აღბათ, აჯობებს, რომ გაგაფრთხილო
და მოგცე რჩევა დროულად, სწორი.
როცა ვბობოქრობ, სჯობს ხმა არ გამცე.
თავი მარიდო და დადგე შორით.

ლექსად წაკითხული ზღაპარი

მე ბაობაბზე მოვიწყვე სახლი,
მხვდება ღიმილით მტკივანს და დაღლილს,
და რომ იოლად ავცოცდე ზევით
დაკოჟრილ ტოტებს ჭრიალით დახრის.
მე დავეხვევი მის თბილ ტოტებზე
ვით მახრჩობელა მზის მოლოდინში,
და მალე მისი ზღაპრის იმედით
ყველა საფიქრალს სადმე მოვისვრი,
ის კი მიაშობს ბავშვობის ამბებს,
მეხსიერება დიიიიიდი ნიჭია,
მისი ბავშვობა? ეს როდის იყო...
წარმოდგენაც კი არ შემძლია
მიაშობს ნელა, ხანდახან ჩასთვლემს,
მეც მივყურდები, ფიქრი წამიღებს,
ცა ჩუმად მთვარეს ამოაგორებს
ვარსკვლავთ კიდობანს უხმოდ გამიღებს.
ეჰ, ბაობაბმა ტირილიც იცის...
გული აქვს ჩვილი და დარდით სავსე
რომ შემცივდება, ქერქს ალბობს ცრემლში,
საბნად მახურავს და მათბობს ასე.
ჩვენ ერთად ვხვდებით დაისს, განთიადს,
როდესაც იქ, შორს, წითლად ანთია,
მე კარგად ვიცი, რომ ბაობაბი
ჩემი ცხოვრების დიდი განძია...
მას ესმის ჩემი გულის შრიალი,
იცის მოსმენა, როგორც არავინ,
და ყველა ფიქრი ტვინში გამსხლტარი
დაფარული თუ დაუფარავი.
მე ბაობაბზე მოვიწყვე სახლი,
ვინც ახლოს მოვა, ფიშტოს დავახლი,
მე ვერ გავუყოფ ვერვის ბაობაბს
და ეს სასჯელი იქნება „ახი“!

ნუთუ

ნუთუ ჩამოთოვს ისევე ცისფრად,
და კვლავ მეწვევი ტანჯვად და ფიქრად,
მეწვევი სევდად, მაგრამ იმ სევდად
ჩემთვის სუნთქვად და ხსნის გზად რომ იქცა?
ნუთუ ჩამოთოვს ისევე ტყეში,
ვით ბავშვობაში გაუვალ თოვლად,
და უბილიკოდ, ბილიკზე მდგარი,
გზას შევუდგები შემკრთალი ყოვლად,
ნუთუ გაცრეცილ გულის ჩაქუჩი
ახშიანებს გულის კლავიშებს,
და ეს სითეთრე უკიდევანო
მომაჯადოებს, არსად გამიშვებს.
შებინდებისას მთები უსიტყვოდ
აიშლებიან ცაზე აფრებად,
და უცნაური თავდავიწყებით
იმ გულის ფეთქვა მომენატრება!
დრო მიდის, მძიმედ, თითქოს ფეხს ითრევს
ო... სავალი აქვს.. ნეტავ რამდენი...
კარგად ვიცოდი, სად იდო გული
მაგრამ მას განზრახ არ მივაგენი.

სახუმარო

...დავეშვი ქვემოთ ზეციდან, ეტყობა უფლის ნებითა,
გარიჟრაჟ იყო, მე მგონი, ზეცას მზე წითლად ეკიდა,
ამ წუთისოფლის სიავე რაღაც მეც უნდა მეტვირთა,
თავი დავხარე მორჩილად, მართლა საკუთარ ნებითა.
სიყვარულ კარი შემიღო, ცას ერთგულება შეჰფიცა!
მის მზერას ვგრძნობდი გულითა და არა მარტო კეფითა,
მკლავდა სურვილი მადნობდა, ტრფობით და ნეტარებითა,
ამაყი ვიყავ, არ გავთქვი გულისთქმა არ დიდებითა,
ის თავის გზაზე წავიდა დამსხვრეულ იმედებითა,
თოლ გავაყოლე ჩამქვრალნი, ცრემლით პირსავსე მეტიითა,
რა თავში ვიხლი სიცოცხლეს, არ მეყოლები გვერდითა!

დიდი საცერით ჩემს ფიქრებს ვცხრილავ,
დროა, მივხედო ძველ ზარდახშებსაც,
ვიცი, ბევრ რამეს გაუდის ყავლი
და ამ ტვირთისგან დახსნა მარგებდა.
თითქოს ზეცაში დარეკეს კარზე,
და სიყვარულის გზაგასაყარზე
მაწვიმდა შენი დიდი ცრემლებით
და მივხვდი, მხოლოდ ჩემს მსხვერპლის ფასად
სხვაგვარად, ალბათ ვერ შეველევი
სითბოს გაცრეცილს და ბავშვურ ნდობას,
ზვავივით მძიმე ტალღად რომ მოაქვს.
ამღვრეულ მზერის უცხო ნათების
და ხერხემალი ამ შემართების
ხელში მემსხვრევა, როგორც ფინჯანი
ან ფაიფურის თოჯინა თხელი
და კარს, რომელიც გამოვინხურე,
ისევ შევადებ საკუთარ ხელით.
და სახელური ხელში მატყდება

და ნამსხვრევები მიწაზე ყრია...
კიბეზე მჯდარი, თითოეულ მათგანს
ფრთხილად ვაწებებ, ვაითუ გვიან...
და მზერა ჩუმი, საგრძნობად რუხი
სადღაც რომ მაღავს ლოდინის წუხილს,
მზერა, რომელიც დინჯად დამყვება,
კიდურებს აცლის ძალას თავხედად,
და როგორც მძივის მომსხო მარცვალი
დაგორავს მძიმედ, არის, არც არის...
ლექსი კი ჩიტის თავგამეტებით
და ცაში აჭრის სულისკვეთებით
აწყდება კედლებს, კარებს და შუშებს,
მე მკერდს ვისერავ და სულში ვუშვებ...
სულის თასში კი დახორხლილ ფიქრებს
ბადის ვეება საცერით ვცხრილავ,
და ზედაპირზე დარჩენილ ლოდებს
როგორც ლამაზად გამომწვარ ფილას
გულის უბეში სინაზით ვაწყობ,
მე კარგად ვიცი, რისთვის და რატომ.
ეს ჩემი სულის წმინდა ტვირთია
რომლის გარეშეც არ შემოიძლია.
ლექსი კი სულის ზეცაში დაჰჭრის,
მას მაინც შერჩეს სილაღე აფრის.

ჩემში ხევსურმა იხუვლა

გული რად ჩამოგლვენთია,
ზეცა მზეს ბრაწავს მჭადივით,
დღე გაგითენდა, ახალ დღეს,
უნდა მიაგო პატივი!
ცას არწივები გაჰკვირან,
მთები ნისლებში ცურავენ,
გულს უმალ გადაგეყრება,
დარდი შეგყრია თუ რამე...
მეც გადმოვდგები ბანზე და
დავჭყვივლებ ვაჟებს მშიშარებს,
დავაწიოკებ, ჩემი ზნე
ვაი, რომ ვერ მოვიშალე...
ისევ ჩავიწნავ დალალებს,
ყორნისფერს, დავცემ წელამდე,
პაჭიჭებს ფეხზე მოვირგებ,
ბებოს ნაქსოვებს, ფერადებს
გავგულისდები ამაყად
დავწვდები თიხის ხელადებს,
გზაზე გადექი, მერიდე,
საცა არ უნდა მხედავდე!

ტობიჰანა

სიჩუმე სუნთქავს და მზე ტაატით ზეცისკენ იწევს,
შიშველ ვარჯებში ეხლართება მკრთალი სხივები,
რუხი ციყვები ერთურთს დასდევენ კოჭამდე თოვლში,
და მზის ალერსში ყელამდე ვდგავარ და ვიძირები...
აშლილი სული ბუხართან თითქოს გუბდება ჩუმად,
და გაოცებით თვალს ადევენებს ბორგვას ნაკვერჩხლის,
მხესუმზირები ბზრიალებენ გაშლილ სუფრაზე,
სადღაც შორიდან ჩიტის ჭახჭახი ლოცვად ჩამესმის,
გრძელი ვარჯები ფრთხილად წვებიან მზზვინვარე მზეში,
რუხი ჩრდილები გასაოცარ ზღაპრებს ყვებიან,
ფინჯანში ყავა ცას ირეკლავს და ცრემლს იკავეს,
გაშლილ სუფრასთან მეგობრები მელოდებიან!
რა სიჩუმეა... თითქოს ფიქრების ჩურჩულიც ისმის,
და ვგრძნობ, სამყარო მთელი დიდებით შემოდის, მავსებს,
ტობიჰანაში დილა დამდგარა... დილა მშვიდობის!
ღმერთო! გმადლობ და ნეტავი დიდხანს გაგრძელდეს ასე!

* * *

ისევ ჩაგიტყდა შუბლი წარბებთან
ისევ იძინებ უძილო მზერით
და სადღაც ცაში, მივარდნილ გზაზე
მე შენი ხელი მიჭირავს ხელით.
შენს გულის ფსკერზე მუხლი მოვირთხი,
თავს სხვა დარდები მაყრია ოხრად,
ჩემი ბრალია ეს ყრუ ტკივილიც,
ჩემი ბრალია, ასე თუ მოხდა.
არ მაპატიო ეს სითავხედე,
ბავშვივით ლალი თამაში ჩემი
შენც იცი, თვითონ გამანებივრე,
და ოცნებების ავზიდე მთები.
ჩვენ ვითამაშეთ სუფთა ხელებით,
ბავშვური ნდობით და გულით წრფელით,
სადაც არ უნდა აღმოვჩნდე, მინდა
ჩემი გეჭიროს შემკრთალი ხელი.

* * *

გაზაფხულია, მალე ვარდისფრად ჩამოთოვს ვიცი,
და ძილ-ბურანში ელვა დაუვლის გამომშრალ ტოტებს,
წკაპა-წკუპს ატებს დარაბაზე მომწყდარი წვიმა,
გადმოძვრება და სველი ფეხებით შემოაბოტებს.
წვიმა ირიბად დაეშვება ციდან მიწაზე,
და მობრძანებას გაზაფხულის ქუხილით მამცნობს,
მაგიდის ქვეშ კი დამრგვალდება ბოხორა კატა...
ამეგლისება, რომ არ დავტოვო ოთახში მარტო.
საკვამურები იბოლებენ კიდევ ცოტა ხანს,
სველ ფილაქანზე მზის ანცი სხივი დაჰკრავს პუანტებს,
ვიწრო ქუჩაზე დაიხსნება ყველა სარკმელი,
სხივი გასხლტება და გადარეულ ცეკვას უმატებს.
მე ყველა ვარსკვლავს დაუბრუნებ ხავერდის ზეცას,
მადლობას ვეტყვი, რომ ასე დიდხანს მაცალა კიდევ...
გულის ხაროდან ამოვგრაგნი გადაღლილ ფიქრებს,
და გასაშრობად დიდი სარკებით მზეზე გავკვიდებ.
გაზაფხულია, მალე ვარდისფრად ჩამოთოვს, ვიცი,
ტყის ენძელების იისფერ ალყის ტყვე ვარ, მორჩილი.
ამ სილამაზის თუ სიყმაწვილის დავრჩი ტრფიალი
უკან სავალი, ვიცი, ყოველი გზა მაქვს მოჭრილი.
და ამ მშვენებას სინაზით ვუმზერ, ვთბები, ვბრუვდები,
ხელისგულებში ალერსით ვიმწყვდევ ციციქნა ენძელას,
და მათი თვალით, ცრემლდამშრალით, ვუმზერ გაზაფხულს,
ამ ზღაპარს ვინც ვერ შეეგება, აღარ ეწერა.

ხევსურულ მოტივებზე

სწორფერმა მიმტრო, მიგანა
და მომიხურა კარები,
გულს დაამჩნია ბზარები,
ძირამდე ნაიარევი.
თვალის ნათელმა იხუვლა,
ცრემლი მდის უხვად, ღვარებით,
ზეცას გავჭრილვარ, ცის თაღზე-
ღრუბლებზე დავიარები.
კიდევ ჩავიწნავ ნაწნავებს,
დარდს გაფანტავენ ქარები,
თმებს თავთუხისფრად ვაღელვებ,
მზის ასულს დავედარები.
ნეტაი ერთი... განმშორდი?
მამსვლია მაგისთანები,
დარდს თავს არ შევაჭმევენებ,
ქვეშ არას დავეტანები!
შეგრისხავს გუდანის ჯვარი,
ცრემლი გმდულრავდეს მწარენი,
მეხმა რომ დაგცეს, დაგშაშხოს,
ახლოს არ გაგეკარები!

* * *

შენი სიცილით თვრებოდა ღამე
და მეც ვთვრებოდი ღამესთან ერთად,
ციცინათელებს ვისვამდი მკერდზე
მათი ციმციმი სიცოცხლეს მძენდა...
თვრებოდა ღამე, ვთვრებოდი მე და
ცრემლებს იწმენდდა ჩამქვრალი ზეცა,
და ორივენი ერთად ვტიროდით,
რა გვატირებდა ამდენი ნეტა...
ის თავის დარდის კინძავდა ამბებს,
ჭკვარტლიან ხელით წყვეტდა ვარსკვლავებს,
დღემდე იმ ღამის იდუმალეზა
და გარინდება მთანგავს, მაწვალეზს,
შემომიგორა ბილიკზე მთვარე,
მეც ღამეს გრძნეულს მივენდე უმალ,
თვალთ ვეძებდი ანთებულ სარკმელს,
ღამის წყვდიადის სანუკვარ სტუმარს.
ციცინათელებს გზაში ვფანტავდი,
როგორც უსახურ შუშის ნატეხებს,
ჭრიჭინებმა კი ჩემს დანახვაზე
რალაც უაზრო შფოთი ატეხეს....
ფანჯარა ენთო დიდი, ვეება,
და ულამაზეს სინათლეს ღვრიდა
გაოგნებული ვიდექი შორით
კარს ვერ ვაღებდი ძალიან დიდხანს.
კარს არ ვაღებდი! რადგან ვუფრთხოდით
მზესავით დიდი იყო სარკმელი,
ვერ დავუშვებდი, რომ ჩამქვრალიყო
სულის წყვდიადში მისი ნათელი.

* * *

მე შენი სუნთქვა მეჭირა ხელში
და შენს გულს ხელით ვაცლიდი ნაცარს,
ის იყო თბილი, როგორც მიწა
არის ყოველთვის სექტემბრის ბოლოს...
ის იყო თბილი და მშობლიური,
როგორც ალერსი, ადრე განცდილი,
და არ ნიშნავდა ჩემთვის არაფერს
მიწიდან ცამდე უგზო მანძილი.
რადგან ის იყო უკვე ნაფრენი,
რადგან ის იყო უკვე ნამდვილი
და ვედრებისგან ყოვლად უსიტყვოდ
ხმადაგლეჯილი და... გარდაცვლილი.
მე შენი სუნთქვა მეჭირა ხელით,
და მე ამ სუნთქვის გუშაგად ვდგავარ,
ალბათ, კვლავ დავეწერ უამრავ ლექსებს...
ჯერ კიდევ დიდხანს...
ვიდრემდის... წავალ..

თეთრი ეკლესიები

თეთრ ეკლესიებს ვხედავდი გზაზე,
და ჩუმად რეკდნენ უცხოდ ზარები,
და პირს იკრავდნენ გულში სისხლისგან
უკვე დაცლილი ზასრი ზზარები.
გზა თეთრი იყო და ზეცაც თეთრი,
ძველი სილურჯის არც ჩანდა კვალი,
ხის კენწეროებს ზოგჯერ არწევდა
ყვავების გუნდი ტოტებზე მსხდარი.
ფაეტონების ეჟენები რეკდნენ,
ცხენის ნესტოებს ცეცხლი ეკიდა,
თეთრ გუმბათებზე ზევით აწვდილი
ჯვრები გვიშერდნენ სადღაც ზეციდან...
დახერხილ შემას თოვლი ეყარა,
ეზოში ავად დარბოდა ძაღლი,
და მსხვილი ჯაჭვი დასთრევედა ქვემოთ
სიცივისგან და ყეფისგან დაღლილს,
ბინდი კოცნიდა შეჭირხლულ სარკმელს,
თუნუქის ფერის ბუტბუტს ვისმენდი,
და სიცივისგან გათოშილ ხელებს
უძირო ნდობით ცეცხლს ვაფიცხებდი
ეკლესიები ქვრებოდნენ ბნელში,
მაგრამ სარკმლებში სინათლე ენთო,
და ვიგონებდი რაღაც მომხდარს და
უფრო მოგონილს ოდესღაც... ერთ დროს...
ღამე და ყინვა ქარგავდნენ შუშებს
ღამის წირვის ხმა სწვდებოდა სმენას,
ხან სევდა გულის მიმტვრევდა კარებს,
ხან შვებას მგვრიდა და აღმაფრენას.
თეთრ ეკლესიებს ეძინათ თოვლში,
და ნაღვერდალი ზღაპრებს ყვებოდა.
ძაღლს კი ცხვირჩარგულს დათოვლილ კუდში
აწ არაფერი ედარდებოდა.
თოვდა და თოვდა ღამის ქალაქში,
ხის ღობეებზე წვებოდა ჩრდილი
და ფეხაკრეფით დგებოდა ჟამი
თოვლიან ღამის ნეტარი ძილის.

დილა

კვდებოდა ღამე, უფითრთებოდა ტუჩები მთებთან,
ერთი ვარსკვლავი გაცრეცილ ცაზე ენთო ცრემლივით,
მიწა მოსთქვამდა და გამსკდარი მკერდი უთრთოდა.
ვით სამუდამოდ სამოთხიდან გამოდევნილი.
კვდებოდა ღამე, მაგრამ რიჟრაჟი ხატავდა ზეცას,
და მშრალ ტუჩებთან ვარდისფერი მკრთალად ღვიოდა,
და თეთრ საფეთქლებს უკოცნიდა ნაზი ამბორით
და ღამის სული ბორგავდა და ვერ გადიოდა.
ბალახს წიწკნიდა ფაფარდაყრილი ცხენების რემა,
და მუჭისხელა ყაყაჩოები წვებოდნენ ვნებით,
ყალყზე დგებოდა მთლად უსაბელო შავი ულაყი,
და ჭიხვინებდა დამაყრუებლად და გაგიჟებით...
დილამ ჩანჩქერში გაიგრილა შუშის სხეული,
და ხმელ ბალახზე გასაშრობად ფიქრივით გაწვა,
და გულყვითელა გვირილებთან ჩუმი ბაასით
ზანტად დაიწყო თმებში სხივების სირმების ჩაწვნა.
ფრთებს ისწორებდნენ ჭრელი პეპლები ნამის სარკვეში,
მვირფასი იყო მათთვის სიცოცხლის წუთი ყოველი.
უფალს შესთხოვდნენ, რომ ჯადოსნურად ექცია მათთვის
ღვთისგან რგებული ეს ერთი ციდა წუთისოფელი.
ღამე კვდებოდა თეთრი ტუჩები უთრთოდა მთებთან
თეთრი სუდარა ნისკარტებით მოჰქონდათ ჩიტებს
ღამე უსიტყვოდ გაეხვია, ცის გზას შეუდგა
და ბოლო სუნთქვა შერჩა სახსოვრად დილის თლილ თითებს.

* * *

შუბლს იგრილებდა დაღლილი ზეცა ვეება პეშვით
ჭრელი სარეცხი ქანაობდა თოკებზე მძიმედ,
და წყლის სიღრმეში ჩახატული ძველი ფანჯრები,
კვლავ იტოვებდნენ მზის წინ საკინძის ჩაღეღვის იმედს,
ქალაქი ანცად ლივლივებდა წყლის ზედაპირზე,
და ზიგზაგებად ხითხითებდა ცელქი ბავშვივით,
ძველი ნავეები უპატრონოდ ნაპირთან თვლემდნენ,
უმენავებოდ, უნიჩბებოდ, აფრადამლილნი.
დიდ გალიაში ბებერ თუთიყუშს ეძინა შფოთით,
დამჭკნარი ხელი ყვავილებს რწავდა თიხის ქოთნებში,
და პაპიროსი მხართეზოზე წამოწოლილი
განვლილ ცხოვრებას იხსენებდა სიმარტოვეში.
შორიახლოს კი ძველი ტაძარი უმზერდა ზეცას
და ჩუქურთმიან ქონგურებით თავს იწონებდა,
ჩრდილების სამოსს, მზისგან ნაბოძებს, მეფურ სიდინჯით
ფრთხილად იხდიდა და ფილაქანზე უხმოდ ტოვებდა
შუბლს იგრილებდა საღამოს ზეცა ვეება პეშვით
ჭრელი სარეცხი მუქდებოდა წყალში დნებოდა.
და აცა-ბაცად ჩახატული ძველი ქალაქი,
თან იძინებდა და თან საოცარ ზღაპარს ყვებოდა.

„მე და ღამე”

მე ქუჩა-ქუჩა დავყვები ღამეს,
ღამეს ხელი აქვს მყარი და გრილი,
ფეხშიმველაა, არც ქუდი ხურავს,
გვერდით მოგვყვება ჭადრების ჩრდილი.
პალტოს საყელოს იწევს ყურამდე,
და დიდ ჯიბეში რაღაცას ეძებს
მგონი, იპოვა, თუ ვერ იპოვა
რაღაცას ჩუმად იხუტებს მკერდზე,
– მაჩვენე, რა გაქვს, – ჯიუტად ვუმზერ,
მისი თვალები ცოტათი მაკრთობს,
დიდ ხელისგულებს თამამად მიწვდის
„თვითონ ნახეო” – სიცილით ამბობს.
– მაჩვენე მეთქი! – გრძელ სახელოებს
ჯიუტად ვფერთხავ, ამოდ... ვიცი!
ის კი ხელიდან უცებ მისხლტება
და ისე დაჰქრის, ვით ზღაპრის კვიცი!
ხან მოექცევა ხის კენწეროზე,
ხან თავდაყირა ციდან ეშვება,
ან ცალი ხელით ჰკიდია თოკზე,
მე ვეღარ ვუძლებ, ტვინი მერევა
ვცდილობ, როგორმე მოვიგდო ხელში,
დროგამოშვებით ვუსინჯავ მაჯას,
ის კი სკამიდან სკამებზე ხტება
ბნელში უცნაურ ხვეულებს ხატავს.
გრძელი თითებით ეხება ხეებს,
და სიბნელეში, როგორც სანთლები,
ნაპერწკლებს ყრიან ფოთლები, როგორც
ცეცხლმოდებული ფოლიანტები.
ფართო სახელოს თვითონ იფერთხავს
და ვარსკვლავები ღამაზე კენჭებად
სხლტებიან მიწის ზედაპირიდან,
მათ ღამე ცისკენ მიერეკება.

მე ღამე თავქვემ მზინავ ვარსკვლავებს
შემომიგორებს. კეფასთან ახლოს,
რომ ღრმად მეძინოს და ყოველ ღამე
ფერად-ფერადი სიზმრები ვნახო...
ახლა კი ჩუმად დავყვები ღამეს,
ტრფიალი ზღაპრის საოცარ ფერთა,
და გასაღების ვცდილობ მოძებნას
რომელსაც ღამე ინახავს მკერდთან.

* * *

ზეცას ვკოცნიდი დახალულ მკერდზე,
დაღლილ მკლავებში გორავდა მთვარე,
და გრილ მინდორში მუხლამდე მდგარი
ქარი უსმენდა მიმწუხრის ზარებს.
ძველ კრამიტებზე ეძინათ წვეთებს,
და ღამე იწვა, როგორც ღრუბელი,
და მიწას, მზისგან გაპოხილ მიწას
სიცოცხლის ჰქონდა მძაფრი სურნელი.
ძველ სხვენთან... სადღაც, კნაოდა კატა,
ჭრელ კუდს სიზმარში ათამაშებდა,
ღამის სიმშვიდის იდუმალეზას
რადაც უცნაურ ელფერს მატებდა...
და მარცვალ-მარცვალ ცვიოდა ძაბრში
სიცოცხლე, მძაფრი თავგამეტებით
და ამ ნაკადის ვერც შეჩერებას,
ვერც შენელებას ვერ ვახერხებდი.
შავგულა დიდი ყაყაჩოები
ბალახში იწვნენ დაჭრილ პეპლებად,
მაკრობდა აზრი – ამ სამყაროში
მალე სუნთქვაც კი არ შემეძლება.
ქვიშის საათი ითვლიდა წამებს
და ჩურჩულებდა უხმო ჩურჩულით,
დაღლილ მკლავებში კვდებოდა მთვარე,
გადაქანცული და მოღრუბლული
ქარი მუხლამდე იდგა მინდორში,
ზარები რეკდნენ, სევდით ულევით,
და მიწას, მზისგან გათანგულ მიწას,
მაინც სიცოცხლის ჰქონდა სურნელი.

* * *

ჩუქურთმებიან ძველ კარებს შევხსნი
და ისევ ვივლი ზღაპარში მარტო,
იქ საოცარი ბილიკებია,
და ხიდებია გარდი და გარდმო.
იქ იისფერი თენდება დილა,
მასველებს წვიმა წითელი კენკრის,
და ზამბახების ოქროს სირმები,
სხივად ქცეული ჰორიზონტს ერწყმის.
იქ ლილისფერი დინების გასწვრივ
ზურმუხტისფერი ხტიან ზვირთები,
და ზღვის ფსკერიდან იჭვრიტებიან
მთლა მუშტისფერი მარგალიტები.
და გულაგადახსნილ ღრმა ნიჟარებში,
ძირს რომ დაჰყვება ბასრი კორძები,
სადაფის ნატიფ ფსკერზე წვებიან
შეყვარებული სირინოზები.
იქ კალათებით ყიდიან იმედს,
ღია ბარათებს, ხალისით სავსეს,
ღრუბელი ფრთხილად ეშვება ქვემოთ
ფრენით დაღლილი, ისვენებს ხავსზე.
იქ საოცარი დაისი იცის,
სუნთქვას შეგიკრავს ზეცის ნათება,
სევდის ცრემლი თუ თვალში ჩაგიდგათ,
უმალ იქცევა ციციანათელად!
მე ყოველ ღამე ვაღებ ამ კარებს,
და ფეხაკრეფით მივსდევ ბილიკებს,
რადგანაც მჯერა, ჩემი ზღაპარი
კვლავ ძველებური ნდობით მიმიღებს.

მწვანედ დაათოვს

მწვანედ დაათოვს ცივ „ზამთრის ბაღებს“
ხელით შევწვდები ზეცის სილურჯეს,
გაეცინება უფალს მაღლიდან,
მაინც შემარჩენს ჩვეულ სიურჩეს.
დაიფოთლება ხეთა ვარჯები,
ხელს ალაპყრობენ მხურვალე ლოცვით,
მიწა დასკდება იის სილურჯით,
თავბრუდამხვევი სინაზით მოწვიმს.
და სველ ასფალტზე ჭიაყელების
მთელი კოლონა გაიჭიმება,
ფეხი შემთხვევით რომ არ დავადგა
რჩებიან მხოლოდ უფლის იმედად.
თავშეკავებით ჩავეყვები ქუჩას,
მივესალმები აშლილ სამყურებს,
უსიყვარულოდ განა იქნება?
როცა ასეთი ზეცა დამყურებს.
უფალი ძაფით დაუშვებს ღრუბლებს
და რწევა-რწევით სადღაც წამიღებს,
და ცაში, სადმე ნიჟარებისგან
ქათქათა ციცქნა საყდარს ამიგებს,
და სიხარული იწივლებს მკერდთან,
გული გასკდება ვით ბროწეული,
გამოსხლტებიან სევდის ბელტები
ფრთამალ ჩიტებად გადაქცეული.
იწვიმებს ქვემოთ, როგორ იწვიმებს...
ჩამოიშლება ღრუბლის კალთები,
მე ნება-ნება მოვწყდები ღრუბელს
მიწის ნოტიო ფსკერზე გავწვები.
თავგაბურძღნული ალუბლის ტოტი
ვარდისფერ ცრემლებს ჩუმად ჩამოქნის,
და სევდას ისევ ააწრიალებს

კვლავინდებურად... ყოფნის-არყოფნის...
ობობას ქსელში გაბმულ პეკელას
დღე გაუთენდა, ვაი რომ, თარსი,
და სულ ამაოდ ფრთხიალებს, როცა
არ აქვს გამოხსნის არც ერთი შანსი.
დახალულ ვარჯებს ახრჩობს სიცოცხლე
და აყრის ტანზე ციციქნა ფოთლებად
ჩვენ კარგად ვიცით, რა იყო გუშინ
მაგრამ ის არა – ხვალ რაც მოხდება!
და მეც ხესავით მიწაზე მდგავარ!
და მსხვილ ლაქებად სიცოცხლე მაყრის!
მადლიერებით ვიღებ რაც იყო,
და მოთმინებით – შემყურე ახლის!

ჩემს ელისოს წუკლაურს

ჩამოიცლება გიტარის სევდა
და ლურჯ ტილოზე გაწვება ცრემლად,
ამ ციციქნა ბინის ლურჯ-თეთრ სამყაროს
ისევ ვეწვევი მლოცველად, მხეველად...
მომეგებება ციციქნა ქურუმი
მთის ერთგულებით, თავშეკავებით,
ჭიქის ძირიდან ამომხედავენ
ოქროს ღილივით იის თვალები.
და ლურჯ ტილოზე სისხლისფერ ტიტებს
შუბლი ჩაურგავთ, როგორც მლოცველებს,
შვებას შთაბერავს უსასოდ შთენილთ,
რომელნიც უკვე ასგზის მოცელეს...
ამ სამყაროში სიცოცხლე ფეთქავს,
ციციქნა ქურუმი ღელავს და ტოკავს,
და საუბრისას მარღვიან ხელით
ადარ ასვენებს ჩამოშლილ „ჩოლკას“.

ძველ სავარძელზე მკლავს ჩამოკიდებს,
ხშირი წამწამით დახვეტავს ფიქრებს,
და ნაიარევ გულში ჩანთებულ
საქართველოზე საუბარს იწყებს.
შატილის კენჭებს ხელით გაათბობს..
სულით და ფიქრით მხოლოდ იქ არის,
და ხევსურეთით ნაავადარი
ტკივილით კვნესის შავი ფიქალი.
თეთრი ტორსები ჩაიქროლებენ,
გაგიყოლებენ ლაღი ნათებით,
კვერცხის ზიგზაგებს ფრთხილად აჰყვები
და ღრმა ღარებში ჩაიკარგები.
შემოგანათებს გრძნეული თვალი,
სულით ხორცამდე გაგჭოლავს მზერით,
ამ უჩვეულოდ მძაფრი შუქისგან
თავს ვერ დაიხსნი ვერასდიდებით.
ლამაზ ფინჯნებში ცივდება ყავა.
გუბდება ფიქრი და გარინდება,
ის სიჩუმეა, რომლის შევსებას
აზრი არა აქვს, არც მოგინდება.
რადგან აქ სული პოულობს შევებას,
და არ სჭირდება ახსნა არაფერს,
თეთრი სამრეკლოს ზარები რეკენ,
და უფალს ჩვენთან ალაპარაკებს.
ჩამოიცლება წვეთ-წვეთად სევდა,
მუქ ლურჯ ტილოზე ცრემლად გაწვევა,
და სულის ყოველ უჯრედს გაგითბობთ,
ეს იდუმალი შემონათება!

სოსოს (სახუმარო)

ციცქნა ჩიტი ხარ მოფრთხილე ჩემს დაღლილ მკერდში
გამეტებით რომ ფრთებს არათქუნებ, როგორც არწივი,
ცდილობ, როგორმე ემსგავსო ძლიერ მრისხარე ფრინველს,
ნეტაი ერთი.... შენს არწივობას მართლა არ ვჩივი...
მოეშვი ჯაჯღანს დილიდანვე, გულს ნუ მიწვრილებ,
ნუ გადამაქცევ განრისხებულ ველურ აფრებად,
თორემ ერთ დღესაც ეს მხიარული, მაგრამ თავნება
ხის ანცი ნავი ზღვის ლურჯ ტალღებში ჩაგეკარგება.
ჩემი სიბრაზის ჩასაცხრობად და სამკურნალოდ
ინსტრუქციები? თავზე საყრელი... ბევრზე ბევრია...
ამდენ ჯაჯღანს და უაზრო ბზუილს მინდა გირჩიო
ერთი ფინჯანი ყავა მომართვა, ის გირჩევნია.
ჩავიკარგები ზღვის ლურჯ სიღრმეში, მერე მეძებე
და რიფებს შორის ჩემთვის სასურველ ნიშას მოვძებნი,
დიდ თეთრ ზვიგენებს თავს მე არასდროს შევაჭმევინებ,
სირინოზებთან ვიმეგობრებ ასი პროცენტით..
მექნება დიიდი ვარდისფერი თლილი ნიჟარა,
შიგ კი სადაფი სხივებს გასტყორცნის ათინათებად,
შევეგებები მზის ამოსვლას წყლის ზედაპირზე,
როს გარიჟრაჟი წყვდიადიდან დაიბადება.
და ზღვის ვარსკვლავებს მიმოვფანტავ ოქროს ქვიშაზე,
მივუალერსებ ვით გულყვითელა ლამაზ გვირილებს,
ნიჟარებიდან მარგალიტებს გადმოვაგორებ,
მათი შეხებით დავიამებს სულის ტკივილებს,
მარჯნის რიფებზე შემოვჯდები საღამოობით,
დაღლილ ტალღების გრძნეულ ზღაპრებში ჩავიძირები,
ზღვის თეთრი ქაფი უმალ მომარგებს ლამაზ მანქეტებს,
მკერდს დამცვივდება დიდრონმარცვალა მარჯნის მძივები...
მგონი, ოცნებამ გამიტაცა, ან ძილმა მძლია,
ჯაჯღანი რაღაც აღარსად ისმის, ნეტავ რა ხდება?
ციცქნა ბელურას, არწივის გულით, ჩასძინებია
ღვთის მაღლით, ვფიქრობ, ისევ ბელურად ყოფნას მთანხმდება.

სოსოს (სახუმარო)

შენა ხარ ჩემი გულის საცხოზი,
შენა ხარ ჩემი პალიასტომი,
შენა ხარ ჩემი სიმშვიდის ყურე,
რას იზამ, თუკი ხშირხშირად ვურევ...
შენა ხარ ლადი და ერთობ მკაცრი,
თან მომხიზვლელი... ისეთი “Адский”,
შენა ხარ ჩემი სიმტკიცის ზლუდე,
შენი სიდიხჯის კი უნდა მშურდეს!
მე რას შევბედავ ჩემს ბატონს – არწივს,
მთების მწვერვალზე და ცაში აჭრილს,
შენს ღონიერ ფრთას თავს შევაფარებ,
როდესაც მცივა, მათოვს და მაწვიმს...
შენი თვალების ბრიალი მნუსხავს,
შენი გოროზი მზერა მახელებს,
დიდბუნევენობა, ხელგაშლილობა
მუდამ რომ აბნევს მომსვლელ-მნახველებს!
შენი მონა ვარ, ჩუმი მხევალი,
შენს ბასრ კლანჭებთან ვკენკავ ნამცეცებს,
ვაიიიი, თუ რამე არ მოგეწონა,
თუკი ბუმბული ავად აწეწე...
მაშინ მოვიწყენ, თვალცრემლიანი,
ზეცას ავყურებ შენს მოლოდინში
და თითებს ვიმტვრევ, რა გავაკეთო,
რომ შენ მიიღო ჩემი ბოდიში!
შენა ხარ ბუდე მყარი და თბილი,
გუშინ ჩამიგდე ცისფერი მძივი,
შემომირიგდი? დიდება უფალს!
დამცხრაღა რისხვა, სხვას აღარ ვჩივი!

* * *

გთხოვ, ამიშენე პატარა სახლი!
ყური მიუგდე ჩემს სულის ძახილს,
მე ყოველ დილით გამოვალ ზღურბლზე
და ულამაზეს მაგიდას გავშლი..
გთხოვ, ამიშენე პატარა სახლი,
სადმე ჩავარჭობ ძველისძველ ბოდებს,
ჩვენს შორის დარჩეს, მაგრამ ჰამაკი
მინდა ტყისპირას, სადმე რომ მქონდეს.
ეზოში დავრგავ ხასხასა ბალახს
და ფეხშიშველა ვიხტუნებ ცვარზე
და ნამკვს ვერცხლისფრად მბზინავ წიწვებით,
ჩავრგავ სულ ახლოს, გზის გასაყარზე!
დიდი ქილებით მინდა მურაბა,
ჟოლოს და ლეღვის, ძველ განჯინაში,
და, როცა მგზავრი მომიკაკუნებს
აღარ შემრცხვება სტუმრის წინაშე.
შებინდებისას, ცა რომ დაიწევს,
ნისლის დავკიდებ გაცრეცილ ფარდებს
რომ ფანჯარაში, როგორც იმედი,
შვების მომგვრელი სინათლე ჩანდეს.
და აბაჟურის დიდრონი ჩრდილი
ხის მაგიდაზე გაწვება თავად,
და ღრმა ჭიქაში დაბზრიალდება
სურნელოვანი რძიანი ყავა!
ქოთნებში ჩავრგავ ლამაზ ყვავილებს
იებს, ენძელეებს, ციცქნა ბაიებს
და გრძელ ღეროზე აცოცებულებს
გავედევენები ჭიამაიებს!
სახლში მედგება დიდი მაგიდა,
მძიმე სკამებით, გაურანდავი,
და გული შვებით ისე გასკდება,
როგორც მინდორში ხორბლის თავთავი.
ჩამოვარიგებ კიბეზე ქოთნებს

და დიდ თოკებზე სარეცხს გაკვიდებ,
და მზის სურნელს რომ ბოლომდე შესვამს,
მოწულ კალათში მშვიდად ჩავიდებ!
მამ პირობებზე ხანგრძლივად ვწერე,
ამ შთამბეჭდავი საუბრის მერე
მინდა აგიხსნათ ერთი ნიუანსი,
აწ მომივიდა უცბად ჭკუაში,
შეგატყობინოთ ჩემი ვალთა,
გვაქვს ერთი მცირე ანომალთა –
ვერცხლისფერ ნამდვთან როცა ჩაივლით,
შემოეხლებით ძველ ხის აივანს,
ჭუჭყიან ფეხებს და, რაც გჭირდებათ,
მდინარის წყალში თვითონ დაიბანთ.
ჩამოვარიგებ ბევრ თიხის ჭურჭელს,
მოჭიქულ თასებს, ლამაზ ამფორებს
ბედნიერების მსუყე შეგრძნება
ვფიქრობ, რომ დიდხანს აღარ დაგტოვებთ.
ილაპლაპებენ ციცქნა სანთლები,
მთვარე ჩახედავს გულსავსე ჯამებს
და ის დუმილიც, ღამეს რომ მოაქვს,
უეჭველია, ამიხსნის რამეს.
სამილე ტომრებს ეზოში გავშლით,
დილით ციყვები გაიღვიძებენ
და ფულუროში საგულდაგულოდ
დამალულ თხილებს დაგირიგებენ.
ვერცხლისფერ ნამდვთან როცა ჩაივლით,
ლილილო სიზმრებს ჩამოღვრის ცრემლად,
და ხელისგულებს თუ შეაგებებთ
დაგაწვიმს ლურჯად, იისფრად, თეთრად.
გთხოვ, ამიშენე პატარა სახლი!
და მე სამყაროს სევდისგან დავცლი,
და დამჭირდება ოცი სიცოცხლე,
იქნებ ცხრამეტი, ან იქნებ... არცკი.

მადლობელი ვარ

იმ ლურსმნისათვის, ჩემს სულს რომ ასე თამამად ვკიდებ,
იმ კიბისათვის, ასე ნაზად რომ ავყავარ ცისკენ,
იმ ფრთებისათვის, ქვემოთ არასდროს რომ არ ეშვება,
იმ სუნთქვისათვის, სულს რომ ატოკებს ლამაზ ეჭვნებად.
იმ ნატვრისათვის, რომელს ახდენა არ უწერია,
ოცნებისათვის, მთელი ცხოვრება რომ უფრენია,
განთიადისთვის, თვალის გახელა რომ მიხარია,
იმ მსხვერპლისათვის, რაც უყოყმანოდ მიმიტანია.
ამბორისათვის, სული ფარფატით თან რომ მიჰყვება,
იმ მზერისთვის, ცეცხლი ფარული სულ რომ იქნება,
იმ გრძნობისათვის, დაფარულისთვის, მაგრამ ნაღდისთვის,
სულში უეცრად გახეთქილი ძველი ნაღმისთვის,
სიყვარულისთვის, სიცოცხლეს უცბად რომ აქცევს ზღაპრად,
იმ შუქისათვის, მოულოდნელად გზაზე რომ ჩაქრა,
ხელისგულისთვის, რომელიც მუდამ მეიმედება,
შეხვედრისთვის, გული მცისვე რომ გაგიჩერდება,
ღიმილისათვის, დილას უეცრად შვებად რომ გიქცევს,
ხელის აქნევით რომ გაეცლები ამღვრეულ ფიქრებს,
იმ სილურჯისთვის, ცაში რომ ბუდობს და ვერ იჯერებ,
ღრუბლების წვერით ხანდახან ვითომ თავს რომ იბერებს,
თავსხმა წვიმისთვის მთლად უქოლგოდ წყალში რბენისთვის,
უფრთოდ და ფრთებით დიდ მანძილზე გადაფრენისთვის,
მადლობელი ვარ!!!

ლურჯი ნავები

ლურჯ ნავებს სძინავთ იისფერ წყალში
და ოქროს სხივი დარბის მგიდეზე,
ის, რაც არ მითქვამს, უთქმელად რჩება
რაზე ვამბობ და... კვლავ იგივეზე...
სიტყვა ვერაფერს გახდება ახლა,
ღვთიურის უნდა გჯეროდეს, გწამდეს,
თეთრი ენძელა, ქცეული პეპლად
ნელი ფარფატით ააღწევს ცამდე!
ლურჯი ნავები კრთებიან ძილში
და ოქროს სხივმაც ჩათვლიმა ფსკერზე..
შენ არ იდარდო, ძილი ნებისა...
და ნუ იფიქრებ აწ... ნურაფერზე.



ღამე ცეკვავდა სანთლების ცეცხლში,
გიტარის რიტმი სხვა სუნთქვას გვძენდა,
იყო სიცოცხლის მძაფრი წყურვილი,
და დიდი ქოლგა ქვეშ გვიფარებდა.
დროის ჩარჩოებს დაელოთ პირი,
სული ტოვებდა დაქანცულ სხეულს,
შვების ნაკადი კვამლივით მკრთალი
მხდიდა მონუსხულს და გაცეხულს
ჩვენ ვერ ვხედავდით უკვე ერთმანეთს,
მაგრამ გვხედავდა თვალი, გრძნეული,
და ღამეს ჩვენთან მოერთხა ფეხი
და ჩანდა ერთობ ჩაფიქრებული...
იყო ნათია, იყო თინიკო,
იყო ელისო, დათო და ანი,
და წუთში იდო მთელი ცხოვრება
და არა მხოლოდ სამოცი წაში.
შავად აწვდილი კენწეროები
აყურადებდნენ მიმწუხრის ზარებს,
სანთლების ცეცხლი, სიბნელით მთვრალი.
ეკიდებოდა ელისოს თვალებს.
და პიონები თვლემდნენ ბალახში,
ცრემლში კრთებოდა ძველი ამბავი...
და მაგიდაზე ცვიოდა ფიქრი –
გულწრფელი, ყოვლად გაურანდავი...
ქართულ-ინგლისურს ქარგავდა თინა,
სიმებს მდუმარედ ებრძოდა დათო...
და სიბნელეში კითხვის ნიშნები
ეკიდა უხვად... რისთვის და რატომ?
ნათიას გული დარბოდა, ხტოდა
და ეხლებოდა თევშებს და ჭიქებს,
და ანის მშვიდი თავშეკავება
ვით მატყლის ფთილებს, პენტავდა ფიქრებს.
ბედნიერება გვათოვდა უხვად
ზეცაში თითქოს ოცნებას ცრიდნენ,
და ამ უცნაურ ფრენის შეგრძნებას

მსურდა ედინა კიდევ და კიდევ...
ფეხის თითებით აქრობდა ღამე
დაღვნილი სანთლებს ფრთხილად ფრთების,
ცეკვით დაღლილი ვეება ლოდზე
წვებოდა ღალად და ნეტარებით.
ჭრიჭინები კი ჭრიჭინობლობდნენ
და იაუნანას ამბობდნენ რიდიტ,
უძირო თასებს ბედნიერების
ძირამდე, მაინც ბოლომდე ვცლიდით.
ჩვენ ვიძინებდით ღამესთან ერთად
და ყაისნალი ფიქრებს ხლართავდა,
და ეს სამყარო, ასე ნაცნობი,
თავის თავს ჰგავდა, თანაც არც ჰგავდა.
ჩამქრალ სანთლებთან ეძინა ღამეს,
მთვარე ზეცაში ღამეს ათევდა...
განთიადი კი მთების გადაღმა
კელაპტრებს დგამდა... დილას ანთებდა...

გვირილები

როცა გზად ღობეს გადავეყრები,
და გვირილების ფორიაქს ვუსმენ,
სისხლში დგაფუნებს სიცოცხლის ჟინი
და ნეტარებით მეღვრება გულზე,
ამომხედავენ მორცხვი ალერსით,
და ციცქნა მზეებს შემომამყრიან,
და ღობის მიღმა გამოჩრილ თავებს.
ჩემს ხელისგულზე ჩუმიად დახრიან.
თეთრი ფურცლებით დაათოვს ბალახს.
ეს გვირილების ცრემლია, სუფთა,
და საიდუმლოს დიდხანს ნატარებს
წამჩურჩულებენ ხალისით ყურთან.
თუ ცის სილურჯემ დაკარგა ფერი
მზიან გვირილებს არაფრად აგდებთ,
ნიშნავს – სიბერე შემოგეპარათ...
თქვენი ნებაა... გინდათ? და გყავდეთ!



* * *

მე არ ვიცოდი.... თურმე გკარგავდი
თვალს მიბრმავებდა ბრჭყვიალი თოვლის,
და ლურჯი ზეცა მიხმობდა ზემოთ
უკიდებანო... მომცველი ყოვლის.
მიყვარდი ძლიერ, ალბათ, მიყვარდი...
იმ სიყვარულით, ზეცას რომ წვდება
რომელიც არის მუდამ პირველი!
რადგან არასდროს არ მეორდება
თურმე ჩემს თავთან ვცრუობდი ურცხვად,
ვფიქრობდი – ასე არ შეიძლება!
და ფეხქვეშ თოვლზე ნაძვების წყება
ზანტად წვებოდა დალილ ჩრდილებად.
და მზე ყვითელი, სავსე და მწველი,
კოხტა გორასთან ვნებით ტოკავდა
და დინჯი კვამლი საკვამურების
ზეცის სილურჯეს მორცხვად ლოკავდა.
და ლოლოები, როგორც სანთლები
სახურავებზე ეკიდნენ თავქვე
და გამჭვირვალე სიელვარეში
ზამთრის ყვებოდნენ არნახულ ამბებს.
დამწვარი შეშის სუნი მთენთავდა,
გადაჭრილ მორზე სურნელი თოვლის
და სიყვარული, იმ სიყმაწვილის
ცხოვრებაში რომ თქემივით მოდის.
მე არ ვიცოდი, რომ შენც მკარგავდი...
ვით ღრუბლის ფთილას... ისე... იოლადა
და როგორც ზღაპარს სჩვევია თურმე
მართლაც იყო და არა იყო რა....

მე დავიბადე განთიადისას

მე დავიბადე განთიადისას,
ცისკრის ვასკვლავმა შუბლზე მაკოცა,
და უფლის ცრემლმა, ცვარად მოსულმა
მინანავა და ჩუმად დამლოცა.
მე დავიბადე განთიადისას,
მზემ ცხრავე ღილი ჩაიხსნა როცა,
უფალმა ფრთხილად ჩამიდგა გული
და მწუხრად ყოფნის ნება არ მომცა!!!
ახტაჯანობა მიბოძა ფარად,
მაქცია ფიფქად, წვიმად და ქარად,
და ჩამოაბა ზეცას თოკები,
და ასე ჩუმად განმარტოებით
საქანელაზე შემომასკუპა,
ნეტარებაა, თქმაც კი არ უნდა,
ხოდა ვეხლები ზეცის სილურჯეს,
თავზე ვეველები ზღვებს და მწვერვალეებს,
დაკიდულ ხიდებს, ლამაზ ქალაქებს,
ოქროს გუმბათებს, მზეზე ელვარეს.
გულებს ვუხეთქავ აფრენილ ჩიტებს
ვალვიძებ ზანტად მთვლემარე კვირტებს
დუმილი ხელებს იფარებს ყურზე,
გონზე არაა, ვრატრატებ იმდენს.
მაგრამ რა ვქნა, თუ მოხეთქილ ნაკადს
გული ვერც უძლებს და ვერსად იტევს?
და უნებურად, მეც რომ არ ველი,
„რაგატკასავით“ გავტყორცნი სიტყვებს.
მგონი, მიზანი მართლაც კარგი მაქვს,
ბავშვობიდანვე მიყვარდა ტირი,
ხოდა ათიდან ათი თუ არა,
ექვსი მკითხველი ნამდვილად ტირის.
მაგრამ ვაი, თუ ეს უმსგავსობა
მერე ძალიან ძვირი დამიჯდეს,

რადიკულიტმა მომკაკვოს იქნებ,
ვაი თუ წნევა აღარ დამიწევს....
არ ვიცი, რა ვქნა, მაგრამ ამჯერად
საქანელაზე მივფრინავ ცისკენ.
მე დავიბადე განთიადისას!
და ყოველ დილით სიცოცხლეს ვიწყებ!

* * *

ბროწეულები დამწიფდნენ ბაღში
ჩემს ფანჯარასთან ჰკიდიან მძიმედ,
და ყოველ დილით, სარკმელს რომ ვაღებ
რადაც სულ სხვაგვარს მჩუქნიან იმედს.
მზის სხივის ამბორს დაუსხლტებიან,
გაიყოლებენ სულს, ქცეულს დარდად,
ხან შემოდგომის ამღვრეულ წვიმას
პირს აგებებენ ბავშვივით... ხარბად.
დამწიფდებიან ბროწეულები,
გადასკდებიან წითელ მარცვლებად,
და შუქი, სუნთქვად გამოტყორცნილი,
გულის ძგიდეზე შვებად დამრჩება
დამწიფდებიან ბროწეულები
ამაყოლებენ მზერას აღმაცერს
და ძოწისფერი შუქი, ვით უწინ
კვლავ ჯადოსნური თრთოლვით დამარწევს.

ჩემს საყვარელ ხათევან იოსელიანს

ემხის ნაპერწკლებს რომ გვაფრქვევ თავზე,
გულყრა რომ მოგვდის შენს დანახვაზე,
ღიმილი, უცებ მიწას რომ დაგცემს,
და სულს უძირო ხალისით ავსებს...
შენი ანცობა და სიყმაწვილე,
კვლავ უშურველად გაგვინაწილე!
შენი ხუმრობა სულში ჩაღვენთილს
უმალ რომ აქრობს სევდის ბაცილებს.
თან დიდი ხარ და თანაც ბავშვი ხარ,
ხან ასკინკილით კლასში დახტიხარ,
ცისფერი სარი. ო, როგორ გშვენის,
ჰაეროვანი, ტალღებად მფენი.
ლამაზ მაჯებზე სამაჯურები,
და თლილ თითებზე წყება ბეჭდების,
მუქი თვალების უცხო ნათება,
შენ არასოდეს არ დაბერდები!
ვიცი, რომ სევდა განუკურნელი,
ბროლის ცრემლივით სულში გკიდია
მრავალ ლამაზ დღეს აგვიფრენ, ვიცი
სხვაგვარად ყოფნა არ შეგიძლია.
იწიკწიკებენ, იქანავენ
შენს საათებზე გოგო-ბიჭები,
მარაოები წელს გადრიკავენ,
კიდევ მრავალჯერ შევიკრიბებით...
და შენს უზადო ხიბლს და ხუმრობას
ჩამოგვირიგებ, როგორც გჩვევია,
და ვიტყვი ისევ, რომ წლოვანება
სული თუ ილხენს, არაფერია.
მაშ, წინ გავწიოთ, ხათევან ჩემო,
ცხოვრება წინ გვაქვს, შეავსე თასი!
სულ ყმაწვილებად ვრჩებით, მგონია,
შენ გაგვატარე ეს მასტერ კლასი!

* * *

მე შენი სუნთქვა აღარ მწვავს კეფას,
და აღარც უკან არ ვიყურები,
კამათლებივით გაგორდნენ გულში
კრიჭაშეკრული საყვედურები.
მწიფე ვაშლები ფეხებთან ყრია
და ნისლი ჩემში შემოდის ზანტად,
და შემოდგომა ქარვისფერ ფარჩას
ოქროცურვილი სირმებით ქარგავს.
მიწა გრილია, როგორც ღალატი,
მინდვრის ყვავილებს სცვივა ფოთლები,
და ამ უცნაურ და ზღაპრულ ბაღში
დღის სინათლესთან ერთად ვორთქლდები,
ვაშლის და ხმელი ფოთლების სუნ
კვლავინდებურად თავბრუს მახვევდა,
და ჩუმი სიო მხარზე მოგდებულ
შალის გრძელ ფოჩებს ფრთხილად არხევდა
მოაბიჯებდა საღამო რიდით,
მთებმა მოირგეს ბინდის აბჯარი
და არათითზე იცრემლებოდა
ვერცხლში ჩამჯდარი ძველი მარჯანი
მუხლებზე მშვიდად ეძინა კატას,
ზოგჯერ კრთებოდა მწვანე ნათება,
თითქოს ვიღაცა ციცქნა ხელებით
ჩემს სულში ლამაზ ლამპრებს ანთებდა.
ბინდი ეხურა სავსე კალათებს,
თან დაუნდობლად თმას მიწეწავდა,
და სულის კართან მომდგარი ეჭვი
უკვე მიმწუხრის ზარებს რეკავდა.

ჩამოშლილ თმებში გზადაკარგული
საყურესავით ეკიდა სევდა...
და ბინდი სულში მოკუნტულ ტკივილს
ვით ძველ ხელთათმანს, ისე არღვევდა,
მე შენი სუნთქვა აღარ მწვავს კეფას
გრილ ხელისგულებს დამეს ვაგებებ,
და ვაშლის სურნელს ვიგუბებ სულში
მიწით გამძღარს და მზეში ნაფერებს.



მხატვარი ევგენი მუკოვინი

გამოდი

გამოდი, ვიდრე ბინდი დამდგარა
კუტკალიების ამტყდარა ჯანყი,
ვიდრე შენს სულში ქარიშხალია
და მარტოობის არ აზის დალი
ვიდრე გაღებულ სარკმელში შევებას
გგვრის თავსხმა წვიმის ლორთქო სურნელი
ვიდრე გჯერა, რომ სიყვარულია
ამქვეყნად მხოლოდ განუკურნელი
გამოდი, ვიდრე სახლში გელიან
და მიწას ზანტად დაჰყურებს მთვარე
გამოდი, ვიდრე შენს მოლოდინში
ვიღაცის მზერა აწყდება კარებს!
ვიდრე ჭურჭელი ხმაურობს მჭახედ
და ხშირად სიზმრებს გიფრთხობს და გაფრთხობს,
ეს იმას ნიშნავს, მზრუნველი ხელი
შენთვის საუზმეს ამზადებს ამ დროს,
ნუ ჩააბრუნებ მოხეთქილ სათქმელს
ერიდე სიტყვას ავსა და მწარეს,
სინანული რომ მოგაკვლევს, ვიცი,
მაგრამ ვინ იცის... იქნება ხვალე?

* * *

ხელში ჩამერღვა აკინძული ასხმა მძივების
და ხშირ ბალახში ფიქრებით გაიბნა, გასხლტა,
თურმე ამოდ დავეძებდი მიწის ხნულებში
და ასაკრეფად ვუმარჯვებდი სარაფნის კალთას...
მზემ ჩამომხედა, გაშლილ კალთაში ჩამიდო თავი,
ჩემს დარდს პეშვები შეაგება დიდი და მწველი,
ცრემლის ბილიკებს ააყოლა მცხუნვარე მზერა,
ფრთხილი ამბორით ამიხორკლა უმძივო ყელი...
დამინანავა: „არ იდარდო“, – მითხრა ღიმილით.
„მძივის მარცვლები იქცევიან ლამაზ ყლორტებად,
სულის ტკივილი მისთვისაა, სუნთქვა რომ შესძლო,
რა მოხდა, თუკი ნაწიბურად შეგიხორცდება“.
ღიღილოებმა, ვარდისფრებმა, სული განაბეს,
ცას თოვლისფერმა მიაშურა გრძელფეხა წერომ,
კვლავ სიყვარულმა დამათოვა, ამჯერად ცისფრად,
მის გარეშე ხომ ვერასდროს შევძლებ, ლექსები ვწერო.

* * *

ნისლი აქანებს სახლებს,
და კვამლი სწვდება ზეცას,
შენი სიგრილე მართობს,
ფიქრი დარაბებს კეტავს...
ზეცა ჩამოდის დაბმა,
ვასკვლავებს აყრის მიწას,
ძილი მაცთურად მიხმობს,
და მეც მივყვები იმწამს.
და ანგელოზი ძილის
ფერად სიზმრებს რომ მაფრქვევს.
გასაღებების ასხმით
ცხრაკლიტულს უხმოდ ადებს.
და მე ვერევი სივრცეს
ატმისფერს, ცისფერს, მზისფერს...
უფლის ბრიალა ცრემლი
მალლიდან ფრთხილად მიმზერს.
ნისლი აქანებს სახლებს,
შენი სიცივე მშველის...
და მშვიდად ვწყდები მიწას,
ლაღად მივიწევ ზევით!

მოთხრობები

სამყურა

გვიანი ოქტომბერი იდგა, წვიმდა... წვიმდა კი არა, ჟინჟღავდა. ისეთი ამინდი იყო, სულიც კი რომ გისველდება. გამვლელები ნაცრისფერი სახეებით, საყელოაწეულები სწრაფი ნაბიჯებით მიარღვევდნენ ქუჩას, გადარბოდნენ და გამორბოდნენ ქოლგები, თითქოს მათაც არეოდათ გზა-კვალი, ლამფიონების და მანქანის ფარების შუქები ზიგზაგებად ეფინებოდა სველ ასფალტს და ბავშვობის მოგონებას აცოცხლებდა, თუმც ისეთი შორეული ჩანდა ახლა ეს ყველაფერი, ის ლაღი და უზრუნველი დრო, მაგრამ რაღაცნაირად მაინც გამათბო ამ ტალღამ.

პატარა მაღაზიასთან შევდექი და ყავა მოვითხოვე.

ფაშფაშა ქალმა თანაგრძნობით გამიღიმა და მუყაოს ჭიქას დასწვდა.

– რბით?

– არა, შავი...ერთი კოვზი შაქარი, თუ შეიძლება

– არაა გულისთვის კარგი...

გამეღიმა:

– ასე ვარ... ცუდად მიჩვეული!

ფულის ამოსაღებად ჩანთაში ჩავძვერი. მიყვარდა დიდი ჩანთები, მაგრამ ვერასდროს ვერაფერს ვპოულობდი. მეც ვწვალობდი და სხვასაც გულს ვუწვრილებდი. ვიდრე ფულს ვეძებდი, რაღაც მოშავო ლაქა ფეხებთან ამეტუზა. პატარა შავი ძაღლი იყო, თმაგაპუწული, სრულიად სველი და ძალიან სასაცილო. გვერდზე ყურის ფორმის თეთრი ლაქა დაჰყვებოდა.

„სამყურა“ – გამიელვა თავში და გამეცინა.

– თქვენია? – ვიკითხე მორიდებულად.

– რა? – გაიკვირვა ქალმა.

– პატარა ძაღლი...

ქალმა სარკმლიდან თავი გამოყო...

– უი, არა... იქ რომ რაღაც კვლევითი ინსტიტუტია, იმათ ჰყავთ... სად მაქვს მაგის ან დრო, ან თავი... ერთი ასაკოვანი ქალია... თანამშრომელი... ის პატრონობს და ესეც სულ ელოდება ხოლმე...

– ამ წვიმაში? – გავიკვირვე მე

– ყოველთვის... ძაღლებმა ხომ იცით... სხვანაირი ერთგულება იციან... იმ ინსტიტუტის ეზოში პატარა ხის სახლიც დაუდგეს, რამდენადაც ვიცი...

ძაღლმა ჩემი სველი ფეხსაცმელი ყურადღებით დაყნოსა, მერე სველი კუდი აიპრიხა და შავი გაპუწული ბეწვის მიღმიდან ინტერესით სავსე მზერა მომაპყრო. გავუღიმე, მაგრამ ხერხემალთან სიცივემ ჩამირბინა. ცალ თვალზე ლიბრი ჰქონდა გადაკრული და ამ სითეთრიდან რუხი ცა ამომყურებდა. თვალი ავარიდე, მაგრამ მოსაფერებლად მაინც გავიწვდინე ხელი. ძაღლმა შემომყეფა და თამაშით გახტა გვერდზე, შემდეგ ორი ფეხით ისკუპა და კუდი ამითამაშა...

– რა დიდ გულზეა, – გამეცინა...

– ხელს მაინც ნუ მოკიდებ... რა იცი, – მითხრა ყავის გამყიდველმა, ეგ კი არა და... უფროსებიც კი ვეღარ იკეთებენ აცრებს, ზოგს ფული არ აქვს, ზოგს დრო... ცოფი არ ჰქონდეს... სიფრთხილეს თავი არ სტკივავ, ხომ გაგიგონია... მოდი, გაგიცივდა ყავა...

მადლობა გადავუხადე და ძაღლის მზერას ისევ ავარიდე თვალი. ის კი ჯიუტად შემომყურებდა და უკანა ფეხით არხეინად იფხანდა მარცხენა ყურს.

ჯიბეები მოვიქექე. ყავის ჭიქა მიწაზე დავდგი, ჯიბეში სასწაულეებრივად შოკოლადის კანფეტი აღმომაჩნდა. ქალაღი შემოვაცალე და ცხვირწინ დავუდე. ფრთხილად მიუახლოვდა, დაყნოსა, გალოკა და მოულოდნელად კუდამომუებული გვერდით გახტა. მანქანამ შემოუხვია და საბურავით შოკოლადის კანფეტიც გაგლისა და ჩემი ყავაც თან მიაყოლა.

„Каждое доброе дело наказыемо“ – გამიელვა თავში. გამეცინა, ძაღლი კუდჩამოგდებული იჯდა და შემომყურებდა.

– არაუშავს, ხდება ხოლმე, – გავუღიმე და ხელები გავშალე. იმანაც თითქოს გამიგო, თავი გადახარა და კუდი ააქიცინა. მერე უცებ დაიძაბა.... ყურები დაცქვითა და თავქუდმოგლეჯილი აუყვა აღმართს. თვალი გავაყოლე. ძაღლობზე, კიბის თავში სათვალთან ქალი იდგა, ქოლგა გუბეში ეგდო, ზურგჩანთის

მსგავსი აზგა მხარზე ეკიდა და ხელგაშლილი, ოდნავ მუხლებში მოხრილი შეჰხაროდა მისკენ ისარივით გაფრენილ ძაღლს. ძაღლი კი მის ირგვლივ ხტოდა და საოცარ მალაყებს აკეთებდა.

– გამომართვი, – ყავის გამყიდველის ხმამ გამომაფხიზლა, ახალ ჭიქას მაწვდიდა.

– გმადლობ, – მივუგე ცოტა დაბნეულმა და კვლავ ჩანთას ჩავწვდი.

– კაი ახლა.... გამომართვი.... ასეც კი არ წავმხდარვართ, – მითხრა ქალმა.

– დიდი მადლობა...

– ლილი მქვია...

– ირინა.... რა უცნაურია ცხოვრება...

– ხო, – დამეთანხმა, – საწყალი ქალი, აბა რა ჭკუაზე იქნება, ერთადერთი ვაჟი მიწაში ჩადო და ჰა...

– რატომ? ავარია? ავად იყო?....

– აფხაზეთი...

– გასაგებია...

– ასე მგონია, ვერც უნდა იყოს მთლა კარგად... ისეთი ცხოვრება მოვიდა... უკვე საღი ჭკუის ადამიანებსაც უჭირთ...

ცხელი ყავა მოვსვი, გემრიელი იყო

– თავხედობაში არ ჩამომართვათ და ლიმონის ნათალიც ხომ არ გაქვთ?

– ლიმონი არა, გაიყინე ხომ? C ვიტამინი მაქვს, მოგცე?

– არა, ლილი... გმადლობ, წავედი... კარგად

– ფრთხილად იარე... აქ საიდან რა გამოვარდება, კაცმა არ იცის...

უკვე კარგად იყო გათენებული. კიბის თავზე მდგომ ქალს ძაღლი უკვე ხელში ჰყავდა ჩაბლუჯული და გუბეში მოცურავე ქოლგის აღებას ცდილობდა, ერთი პირობა კი ვიფიქრე, მივეხმარები მეთქი, მაგრამ რატომღაც ვერ გავზედე. ახლალა შევნიშნე, რომ სქელლინზიანი სათვალე ეკეთა და სველი ძაღლი პირდაპირ გულისპირში ჰქონდა ჩასმული, გამაჟრჟოლა.... ამ სიცივეში... სველი ძაღლი... მეტისმეტია... ქალს მხრები და

ზურგი სულმთლად სველი ჰქონდა. როგორც იქნა, ქოლგას დასწვდა და ილლიის ქვეშ ისე ამოიჩარა ძაღლისთვის ხელი არ გაუშვია, ძაღლი მის მკერდთან განაბულიყო და თვალები მიეღულა. მომეჩვენა, რომ ქალმა მზერა გამისწორა და ოდნავ გამიღიმა, მეც გავუღიმე და ნაბიჯს ავუჩქარე, რატომღაც უკან გახედვის მეშინოდა. ამ ადგილს გვარიანად რომ გავცდი, მხოლოდ მაშინ გავაპარე მზერა. ქალი სველ გზას ახალგაზრდული შემართებით მიუყვებოდა ილლიაში ქოლგამოჩრილი და უკვე რიუკზაკით ზურგზე მოგდებული.

წვიმამ მოუხშირა, ალაგ ალაგ თოვლსაც გაურევდა ხოლმე, გარეთ ყოფნა მეტად არასასიამოვნო იყო. როგორც იქნა, სახლამდე მივედი და სადარბაზოს კარი შევაღე. წყალს აქაც შემოელწია, ლიფტთან მეზობელი დამეწია, გაღიზიანებული ჩანდა. მეზობელს ონკანი ღია დარჩენოდა და გვარიანად ჩამოერეცხა მისთვის ჰერი. უშვერი სიტყვებით აგინებდა და ლანძღავდა. მე შუშის თვალებით ვუყურებდი და ვცდილობდი, ეს სასიამოვნო საუბარი ყურადღების მიღმა დამეტოვებინა.

– ხომ იცი, ვისზეც ვლაპარაკობ? – მკითხა უკმაყოფილოდ, როცა ჩემი სახით თანამოსაუბრე ვერ აღმოაჩინა.

– არა! მხრები ავიჩეჩე მე

აი აქ კი განსაკუთრებულმა შემართებამ იფეთქა და ვიდრე ლიფტის კაბინ შირველი სართულიდან მე-8-მდე აირწეოდა, სულ სხაპა-სხუპით მიაგმო ამ ოჯახის 2 წევრის არცთუ სახარბიელო ბიოგრაფია, მეტი ვერ მოასწრო. მეზობელი კი დავტოვე გულნაკლული, მაგრამ ასე ლიფტის კარის გაღება არადროს გამხარებია. ისეთი „რაზგონი“ ჰქონდა აღებული, რომ ჩემთან თუ ჩემს გარეშე ინერციით კიდევ კარგახანს გააგრძელებდა ამ საბედისწერო მდარე ინფორმაციულ ლაბირინთში ხეტიალს.

სახლში თბილოდა. ჩაიდანი დავადგი და ამ იდუმალმა შიშინმა სულში შემომჭდარი სიცივე ცოტათი დააფრთხო.

ისევ თვალწინ დამიდგა დალიბრული თვალი და არეკლილი რუხი ცა... ასაკოვანი ქალი, ძაღლით ხელში... ლილი...

ტელეფონმა დარეკა, გამოვრთე, პასუხი არ გამიცია...

ტელევიზორი ჩავრთე, საზარელ ამბებს გადმოსცემდნენ, იყო ერთი ერთმანეთის შეურაცხყოფა და ლანძღვა-გინება. სიჩუმე ვარჩიე. გულს ვერაფერს ვუდებდი.

ფანჯრის მინებს თავპირი ჩამოსტიროდათ. გავყურებდი ჩემს ქალაქს რაღაცნაირად გაციებულ, გაცრეცილ ნისლში ჩაძირულს. ალაგ-ალაგ კრთებოდა ანთებული ლამფიონების შუქები... შშშშშშშშშშშშ, შშშშშშშშშშშშ ისმოდა მანქანების მოძრაობის ხმა და საოცარი სიმარტოვის და უცნაური უსაშველოობის გრძნობა მარცვალ-მარცვალ გუბდებოდა სულში.

ჩაიდანნი მისტვენდა, აშკარად ლამობდა ჩემს გამხნევენას, ყველაზე დიდი ჭიქა გამოვიღე, მუქი ჩაი დავისხი, თითქმის ნახევარი ლიმონი ჩავწურე და საწოლში შევძვერი. ვცდილობდი, რაღაც კარგზე მეფიქრა, მაგრამ კარგი ფიქრები რაღაც თავქუდმოგლეჯილნი და კისრისტეხით გარბოდნენ ჩემგან.

ისევ გაკრთა ლიბრიანი თვალი და სწორედ მან წამილო ბავშვობისკენ.

10 წლის ვარ. ბაკურიანში. ვოცნებობ, რომ მყავდეს ძაღლი. ჩემები, რა თქმა უნდა, წინააღმდეგნი არიან! ხოდა მეც გზას ვეძებ. ვცდილობ, მშობლების გული მოვიგო, რაღაცნაირად მათი გულის აჩუყება მოვახერხო. დედასი? ძნელია, აქ მყავს. აი, მამა კი სხვა საქმეა, თბილისშია და მუშაობს... ასე აჯობებს. ასე რომ მამას თბილისში წერილს ვწერ იმ იმედით, რომ ძალიან ვენატრები და უარს არ მეტყვის, გულს არ გამიტეხს. წერილი დაწერილია, ეპილოგად მუქარაშერეული გაფრთხილებაა: „თუ არ მიყიდით, დაბადების დღეზე ლეკვს მომიყვანენ და საჩუქარს გარეთ ხომ არ გავუმახებთ“... პასუხს ველოდები. მოდის. სასწრაფოდ ვხსნი კონვერტს და რა... „ძალიან გთხოვ, ჩათვალე რომ მე ვარ ძაღლი, თუ გინდა დავიყვებ, თუ გინდა ოთხ ფეხზე ვიხტუნებ, თუ გინდა კუდის ქიცინს მოვყვები“... რა გინდა, რომ ჰქნა... მეცინება... ისევ დამთბა...

წვიმის წვეთები ხალისივით წკაპუნობენ შუშის მინაზე... ვუსმენ ამ იდუმალ მელოდიას. ჩაი რახანია გაცივდა, ლიმონი იმედიანად ტივტივებს წყლის ზედაპირზე. უცნაური სიბნელეა გარეთ და ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ეს „უხილაობის“

შეგრძნება არასდროს დამტოვებს. რა კარგია საწოლი, როცა არ ხარ ავად, ნამდვილი თავშესაფარია, თბილი და საიმედო. ძილი თავის ულამაზეს ხელის მტევანს სახეზე შუბლიდან ნიკაპამდე ჩამომიცურებს და ყოველგვარი გამაღიანების გარეშე სადღაც შორეულ და გრძელ დერეფანში საკუთარი ნებით მივყვები, დერეფანში, რომლის ბოლოს მთვარესავით ანთია სამყურას ლიბრიანი თვალი.

წვიმიან ოქტომბერს ასევე ნესტიანი, ცივი და ალაგ-ალაგ ქარიანი ნოემბერი მოჰყვა. დეკემბერში წამოთოვა კიდეც. ხანდახან ისეთი გრძნობა მქონდა, რომ უსახურ ნაცრისფერ დერეფანს მივუყვებოდი, ზემოთ მწკრივად დაყოლებული ვიწრო ფანჯრებით, იქიდან სინათლე აღწევდა დერეფანში, მაინც სინათლე ერქვა, მაგრამ არც კიბის მიდგმის და არც გარეთ გახედვის არც ხალისი, არც სურვილი და აღარც ინტერესი აღარ მქონდა. სრულიად მაკმაყოფილებდა ჩემი ნიჟარა – ჩემი პატარა ბინა თავისი დიდმიწიანი ფანჯრებით, საიდანაც ხანდახან მაინც გამოჩნდებოდა ჩემი საყვარელი წითელსახურავიანი სახლები და მტკვრის კლაკნილი ზოლი...

დავდიოდი სამსახურში, ვხვდებოდი მეგობრებს, განსაკუთრებული სიამოვნებით ვატარებდი დროს ჩემი მშობლების მეგობრების წრეში და მათ მშვიდობიან კამათს ვაყურადებდი. თითქოს სულ ვლაპარაკობდი, მაგრამ ამავე დროს მეჩვენებოდა, რომ სულ ვდუმდი, ვდუმდი და ვფიქრობდი... არა მომავალზე, რაც სრული ბუნდოვანებით იყო მოცული ჩემთვის...

გზად ხანდახან... იშვიათად ლილის პატარა მაღაზიას ჩავუვლიდი ხოლმე, რამეს ვიყიდდი, გამოველაპარაკებოდი... ძაღლის და იმ უცნაური ქალის ამზავს ვკითხავდი. ყველაფერი ძველებურად იყო, მდორედ, მაგრამ ძველებურად, მაღლობა ღმერთს...

შეუმჩნევლად მოახლოვდა ახალი წელიც. ვიტრინებში გამოდგმულმა ნამძვისხეებმა და სათამაშოებმა მაინც გაახალისა ქალაქი. ბავშვები გულგრილად ვერ ჩაუვლიდნენ საზეიმოდ მორთულ მაღაზიებს და იყო ერთი კრიახი და ხვეწნა-მუდარა.

აქა-იქ მოთოვა კიდეც, ვაკის პარკის თავზე თეთრი ბილიკები გაჩნდა. ბავშვები დიდ თოვლზე და ციგებით სრიალზე ოცნებობდნენ.

მე ახალ წელს ყოველთვის მშობლებთან ვხვდებოდი, ამიტომ არც ნამვისხის მორთვით და არც ტკბილეულობის მომარაგებით თავი არ შემიწუხებია. ფანჯარაზე საახალწლო ეჭვნები ჩამოვაბი და ჩემი საწოლის წინ ჩემი მეგობრის პერგამენტის ქაღალდისა და ბატისტის ნაჭრისგან ხელთნაკეთი საოცარი ანგელოზი დავკიდე, ეს იყო და ეს... კანფეტების ყიდვა კი მაინც გადავწყვიტე. გზად ლილის მაღაზიასთან მომიწევდა გავლა და ყოველი შემთხვევისთვის შოკოლადის ფილაც გამოვაყოლე ხელს. ახალი წლის მოსვლა ფიქრით ყოველთვის შორეულ ბავშვობასა და ჩემს გამზრდელ ბებიასთან მიმაქროლებდა. ერთხელ მითხრა: „გამიხსენე ყოველ ახალ წელს და მე, სადაც არ უნდა ვიყო, გადმოგხედავ და გამეხარდებაო“. მე ის ყოველთვის მახსოვდა, მაგრამ ამ დღეს მასზე განსაკუთრებით ბევრს ვფიქრობდი. ასაკის მომატებასთან ერთად კი ბებია დაპირების შესრულების შესაძლებლობის უფრო და უფრო მჯეროდა.

მაღაზიიდან რომ გამოვედი, ჩემი ყურადღება 7-8 წლის გოგონამ მიიქცია. მაღალ კოლონებს შორის იდგა და სიცივისგან გაყინულ ფეხებს ერთმანეთთან ატყუპებდა. ზომაზე დიდი პალტო ეცვა, ეტყობა უფროსი დის გამონაცვალი, წითელი პომპონიანი ხელით ნაქსოვი ქუდი ეხურა და ხელთათმანები ეცვა. დიდხანს დგომისგან ცხვირპირი სულ აწითლებოდა. ხელში პატარა ხელისგულისოდენა ნამვისხე ეჭირა, ასეთი ჩემს ბავშვობაში მინახავს, ბებიაჩემთან... გვერდით კი ცარიელი კალათი ედო.

– ახალ წელს გილოცავ! – ვუთხარი და კანფეტები ცარიელ კალათში ჩავუყარე

გაკვირვებული და ეჭვნარევი მზერით შემომხედა.

– ბოლო მაქვს, იყიდით?

– რა თქმა უნდა, ვიყიდი, – გავუღიმე, – რა გქვია, – ვკითხე და ფული გავუწოდე, მივხვდი პასუხის გაცემა დიდად არ უნდოდა, მაგრამ ხათრი არ გამიტეხა...

– კრისტინა! – ფული ჯიბეში ჩაიკუჭა, ცარიელ კალათს ხელი დასტაცა და გაურკვეველი მიმართულებით გაიქცა...

გული დამწყდა, დარწმუნებული ვარ, ტყუილი მითხრა...
იქნებ, ჰქონდა კიდეც ამის მიზეზი...

თოვა დაიწყო.... ყინვა აღარ იგრძნობოდა. მშვიდად
მივაბიჯებდი და ფანტელების ტრიალით ვტკბებოდი.

ლილის ჯიხურთან შევდექი... არავინ ჩანდა... გამიკვირდა...
ხელი შევყავი და დავაბრახუნე.

ლილი მალევე გამოჩნდა, მხარზე შალი ეხურა და წვერით
თვალში ჩამდგარ ცრემლს იწმენდა.

ფილა დავუდე,

- ახალ წელს გილოცავ, ლილი, - ვთქვი ღიმილით. ლილის
ტირილი წასკდა.

- მოხდა რამე? - ვიკითხე შემკრთალმა

ლილიმ პირზე ხელი აიფარა და ბავშვივით აქვითინდა,

- რა მოხდა? მოკვდა ვინმე? - უკვე შიშით შევეკითხე.
ლილიმ თავი დამიქნია....

- ძალი...

- რომელი ძალი?

- სამყურა...

- როგორ მოკვდა..., - გული ჩამივარდა...

- ჯანდაბა და ოხრობა... რით ვერ გაძლენ, რით ვერ ამოივსეს
ჯიბეები, რას ერჩოდნენ ამ უბედურს, - მოთქვამდა ლილი და
ხელს იმ ადგილისკენ იშვერდა, სადაც ის უცნაური ასაკოვანი
ქალი მუშაობდა. შენობის ნაწილი ჩამოქცეულიყო. არაფერი
მესმოდა...

- ვერ ხედავ... შენობას ანგრევენ და სამორინეს თუ რაღაც
ჯანდაბას აშენებენ.... ეს საცოდავი გამოვარდა და
ბულდოზერმა თავი გაუხეთქა...

- და...

- და რა.... მე ვერ მივალ... დილიდან ასე გდია მიწაყრი-
ლთან... გაუბედურებული....

ჩანთა დავაგდე. თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი... მუშებს
მუშაობა დაესრულებინათ. ირგვლივ არავინ იყო. უზარმაზარი
ბულდოზერი მაღალ მიწაყრილთან დამნაშავესავით გაქვავებუ-
ლიყო.

ბულდოზერის ნიჩბის პირთან ეგდო სამყურას უსიცოცხლო

სხეული. გადამსკდარ თავზე სისხლი შემრობოდა და თეთრ „ყურსაც“ ტალახში ამოსვრილი სისხლის ლაქები აჩნდა.... სუნთქვა მიჭირდა, ცრემლები ხედვას მიშლიდნენ, ფეხებს ვერ ვდგამდი. მუხლებზე დავჯექი და ხელებით ხოხვით მივუახლოვდი მის გაშეშებულ სხეულს. ლიბრგადაკრული თვალიდან შიში და სიმშვიდე ერთდროულად შემომეყურებდა და ახლა მიწის გორიხის მუქ ზედაპირს ირეკლავდა. ფეხები უმწეოდ ჩამოჰყროდა, სველი ბეწვი კი გაყინვოდა და გაფშეკოდა. ათოვდა და თოვლი ხელშეუხები რჩებოდა....

ხელებით დავუწყე მიწას თხრა, ცივი მიწა ჩემი ცრემლებით თბებოდა და რბილდებოდა თითქოს. ანდა რა დიდი სამარხი სჭირდებოდა ამ ერთი ციდა არსებას. სამყურას გათოშილი სხეული მიწაში ჩავუშვი და სასწრაფოდ მივაყარე მიწა, თითქოს უძირო ტკივილს ვმარხავდი, ვასამარებდი, გავურბოდი, მაგრამ არსებობს მეტად მართებული გამონათქვამი: „ადამიანი საკუთარ თავს ვერსად გაექცევას“, ასეა! თუკი სულში ჭრილობა გაჩნდა, ის შეიძლება ბოლოსდაბოლოს ნაწიბურად იქცეს, მისი სრული განკურნება კი შეუძლებელია, თუ, რა თქმა უნდა, ადამიანს სული შუშის არა აქვს, რომელზეც ტკივილი თოვლის ფთილასავით დაცურავს,

ხელებიც, მუხლებიც და პალტოც ტალახში მქონდა ამოსვრილი, მიმოვიხედე, რაიმე ქალაღდის ნაგლეჯს ვეძებდი... არსად არაფერი ეგდო, ხელი ჯიბეში ჩავიყავი, რაღაცამ მიჩხვლიტა, ხელს პატარა ნაძვისხე ამოჰყვა ჯიბეში სასწაულებრივად ჩარჩენილ ბოლო შოკოლადის კანფეტთან ერთად. უკვე კარგად თოვდა. სამყურას, ალბათ, თბილოდა მიწის საფარქვეშ.

სამყურას პატარა ბორცვთან ჩავსვი ციციქნა ნაძვის ხე და კანფეტიც ძირში ამოვუდე. სამყურას ახლა თავისი ახალი წელი ჰქონდა, თავის პატარა საფლავთან, პატარა სასთუმალთან დარგული პატარა კვიპაროსით. თოვდა დიდი ფანტელებით. მიწის დიდ მიწაყრილთან ისეთი პატარა ჩანდა სამყურას გადათეთრებული კვიპაროსი და ერთი ციდა ბორცვი. მელიმეზობდა და მეტირებოდა. ჩვენ – ყველანი ერთად დავტიროდით ამ პატარა, ერთგული და სიყვარულით სავსე ვარსკვლავის ჩაქრობას...

მიყვარს არა... ის

ნაწილი 1

ზარი დაირეკა.... ბავშვები ხმაურით აიშალნენ და გიჟებივით გაცვივდნენ კარებისკენ...

– არიქა... არ გაგასწროთ არავინ.

– ნახვამდის მასწ... დაფა წავშალო?

– ოდიშილო, იქნებ, გაატარო გრიგოლია კარებში...

– კაი(თ) რაა ქეთინო მასწ, მაგას ეგეც ეყოფა, ერთი თავით რომ გაგვასწრო ყველას კლასში.

– შენ ვინ გეკითხება – წამოწიწმატდა გრიგოლია და კეფაში წაუთაქა კლასიდან გავარდნილ ოდიშილს...

– ხელი...

– ოჰ, რა შემაშინე...

– ხელი მეთქი...

– თორემ რაო... ვაიიიიი... გამისკდა გული...

– წამო, ბიჭო, გეყო... შენ მაგას მაინც ვერ მისწვდები... ჯერ მაინც... ფეხბურთი გვაქვს სათამაშო...

– მეტი რა იცით... – ამოიოხრა იამ და ღიღებაწყვეტილ აჩიკოსკენ ჩუმად გააპარა თვალი... საწყალი დედამისი, ამის ღიღების მიკერებით სულ დაჩხვლეთილი აქვს, ალბათ, თითები.

– რასაა რომ ბრძანებთ??? თვითონ აკერებს, – სიცილი აუტყდა მანანას...

– კიიიიიიიი... თვითონ რომ აკერებდეს, ასეთი ხალისით არც დაიწყებდა... თან ყოველ დღე...

– მართლია....

– ისე... ჩვენს შორის დარჩეს და... შენ, მგონი, ხალისით დაუკერებდი ღიღებს, არა? – მანანამ ალმაცერად გადახედა იას. იამ განმგმირავი მზერა ესროლა მანანას, რომელიც ვითომდა არაფერიო, ნახევრად ცარიელ ჩანთას აბზრიალებდა.

– რა?... არა ვარ მართალი.... აშკარაა...

– გაჩუმდი!...

– რა უნდა გავჩუმდე... კი არ ვყვირი... ხომ მიყვარს?

- მიყვარს, არა ის...
- რა ვიცი, კლასში რომ შემოდის, მას მერე სულ იატაკს ჩაჰყურებ ხოლმე... რომ დაარჭობ მზერას, თავს ვერ აგაწევინებს კაცი.
- რა სისულელეებს მიედ-მოედები... ლაპარაკში მარები ჩაერთა...შენ შენს საქმეებს მიხედე...
- ჩემსას? მიხედულია... ვაცხადებ. ოფიციალურად! მიყვარს! და ცხრა შვილი მეყოლება... პატარა რაზმადები. სახელებს ანბანის მიხედვით დავარქმევ: ანდრო, ბიძინა, გიორგი, დემეტრე, ელისაბედი, ვანო...
- არა ვარლამი სჯობს!!!
- არა, ვანო... ვანიჩქა... ცუდად ვარ.... ზეინაბი ან ზურაბი
- რაღაც, როგორც ვატყობ... მე-7 ბავშვთან დაკავშირებით გარღვევა გაქვს... ჯერ ვერ ჩამოყალიბებულხარ, გოგო გეყოლება თუ ბიჭი...
- ადგილების გადანაცვლება შემიძლია, მაგრამ პირველი სამი ნამდვილად ვაჟები უნდა იყვნენ.
- რატომ ვითომ? ვინ დაგავალა?
- მოკლედ, ეროვნული გვარდია ყალიბდება, სამშობლო შენი ოჯახის იმედადაა დარჩენილი. მამა თუა საქმის კურსში?
- მოიცა, კიდევ დამრჩა ორი ბავშვი... აცალეთ დაბადება.
- აბა ჰე...
- თუა ან თემური და ირაკლი.... ირაკლი აუცილებლად, იკა, იკაკო.
- და... შენ უვლი ყველას?
- მე ვაჩენ... უვლიან შოთიკოს გაუთხოვარი მამიდები.
- ო, ეიწყო ცხოვრება....
- რა გეშველება, ნეტაი არ აფრენდე ერთი... წამოწვიმა...
- იქნებ, შევსულიყავით და წვენი დაგველია, ვის გაქვთ ფული? ჯიბეები მოიქექეს.
- 3 ჭიქაზე გვეყოფა...
- მოიცა, მოიცა, - სიცილი აუტყდა იას, - ოჯახის მამა მოდის, მთლა მარჩენალი... მთავარი რაზმადე!
- აქამდე ყელმოღერებულ მრავალშვილიან დედას უცებ სიტყვა გაუწყდა და იას ამოეფარა.

– ბატონო შოთა! შო-თი-კო – მიმართა იამ..., – ხომ არ დაგვპატიუბდით წვენიზე?

შოთამ თავი ამაყად მოაბრუნა და გაიკრიჭა.

– სჩას... ფეხები ხომ არ დაგიტბუნოთ, ქალბატონო ია? ჩაი შექრით მოგართვათ თუ.... თაფლით?

– ამას, მგონია, მთლა მანანაში აერიე.... ვაი...

– ფეხები აწი სხვას უნდა დაუტბუნოთ, შოთა ბატონო... გაეცინა იას. მანანამ სახელოზე მოქაჩა.

– მაინც ვის?

– მდააააა... სიტუაცია გასაიასნებელია... ვატყობ...

– შოთას აჩიკო და მამუკა წამოეწივნენ. გოგოები წვენის დასალევად შევიდნენ, ბიჭებიც შეყვნენ, ჩუმად სიგარეტი იყიდეს და გამოსვლისთანავე გააბოლეს. გოგოებს მარტო ორი ჭიქის ფული აღმოაჩნდათ და სამ ჭიქაზე გადანაწილება დაიწყეს.

– ჩვენც გვინდა, – თავზე წამოადგნენ ბიჭები.

– ადექით და იყიდეთ.

– ესაა თქვენი მზრუნველობა? ქართველი ქალის დედური ინსტინქტი? სიკეთე და თავდადება? – შეიცხადა შოთამ.

– ახლა შენთვის დავდებ თავს, მეტი საქმე არ მაქვს, – შეეპასუხა ია.

– თავის დადება არ მითხოვია, წვენი გადმომისხი.

– კიდევ რა გინდა? ვერ ხედავ მარტო ორი ჭიქა გვაქვს სამ ადამიანზე?

– შენი ჭიქიდან დამალევინე, ჯანმრთელი ვარ სრულიად, ახლახან გავიკეთე ანალიზები – გაიცინა შოთამ... და იას ჭიქას დასწვდა.

– ჩემი ჭიქიდან დალიე, თუ გინდა, – ჭიქა გაუწოდა მანანამ.

– ა, კეთილი გოგო, ნამდვილი ქართველი მანდილოსანი, – იათი დავიწყებ...

იამ შემთხვევით ჭიქას ხელი გაუშვა და მთელი წვენი იატაკზე დაიღვარა. დამლაგებელი ქალი იატაკის ჯოხით გამოენტო და ყველანი გარეთ გამოყარა. წვენით ხელში მარტო მანანა იდგა და გაფართოებული თვალებით ადევნებდა თვალ-ყურს მიმდინარე მოვლენებს.

– რას დაყუდებულხარ? ან დალიე, ან გადი, ან გამოდი! – დაუცაცხანა დამლაგებელმა.

– ბავშვებს უნახავს, – გაეცინა იას, – 9 ბავშვის გამოკვება ადვილი ამბავი როდია.

ბიჭები სიცილ-ხარხარით გაუყვნენ გზას.

ია დაფიქრებული მოაბიჯებდა. მანანას რაღაც ხასიათი წაუხდა. უხმოდ აეკიდნენ მარეხს.

– რა გჭირთ? – სიცილი ვერ დამალა მარეხმა – დაიქცა წვენი და ჯანდაბას, ბიჭები კი რომ ველურები გვყავს, ამაშიც ახალი არაფერია... თუ მანანა, შვილების რაოდენობამ იმატა? რა ასოზე შეეჭრდით? იამ თითებზე გადაითვალა, კ-ზე. მაგრამ მანანა აღარ იყო ხასიათზე

– მიყვარს... ცეკვა-თამაში... თამაში... – ამღერდა მარეხი, – მანანა... „ვინ გიყვარს მანანა“? – გამოაჯავრა მარეხმა ფილმიდან „ჩემი ეზო“...

– მიყვარს არა ის... თქვა მანანამ და დაღმართზე დაეშვა... ია და მარეხი მშვიდად მიაბიჯებდნენ სველ მოკირწყლულ ქუჩაზე, ცდილობდნენ ფეხი არ დასხლტომოდათ და ბიჭებისთვის სახარხაროდ ახალი საბაზი არ მიეცათ.

ბიჭები არანაირ ყურადღებას არ აქცევდნენ და თავისთვის ჩუმ-ჩუმად ურტყამდნენ ნაფაზს. ქუჩის ბოლოს კახურქუდიანი მოხუცი კაცი ყოჩივარდებსა და იებს ყიდდა...



ნაწილი 2

უცებ ბიჭები შედგნენ, სიცილი შეწყვიტეს. თითებში გაჩრილი სიგარეტი მშვიდად ბოლავდა... ვიღაცას მოასვენებდნენ და შავებში ჩაცმული ხალხი მიუყვებოდა პროცესიას...

– უი, ამის ყურება არ შემიძლია! – თქვა მარეხმა და იასკენ მიბრუნდა.

– არც მე... რა საშინელებაა... თითქოს სიჩუმემ ერთი პირის დალებით ჩაყლაპა ყველაფერი ირგვლივ... ერთი ხელისმოსმით დაიცალა ყველა სასიხარულო ემოცია. შვების მომგვრელი ყოველი ბგერა დაიშრიტა და ჩაკვდა... ამ ყრუ სიჩუმეს ქალების მოთქმა და ფეხის ნაბიჯების მწყობრი ხმა არყევდა თითქოს...

– არ შემიძლია ამის მოსმენა, – ყურებზე ხელი აიფარა იამ.. მზარავს... ხანდახან ისე ახლოს მგონია სიკვდილი... ჩაიარეს? ბიჭებმა გოგოებს მოხედეს... მამუკამ ფეხით გაგლისა სიგარეტის ნაშჭვი. მამუკამ და შოთამ გზა გადაჭრეს.

– რა სჭირს ამას? – იკითხა აჩიკომ.

– არაფერი, ამ ხმებს ვერ გაუძლო... ხომ იცი ამის ამბავი?

– არა, არ ვიცი... აჩიკო იას მიუახლოვდა და ყურთან ჩასმახა...

– „გაზაფხული შემოსულა, ლეეენ“... მერე ხელებზე ხელი მოჰკიდა და ყურებიდან ჩამოაღებინა იამ დაბნეულობისგან ზურგი შეაქცია

– რა გინდა?

– მარტო სიარული მეზარება, ხომ არ გამაცილებდი... შენც ხომ იქით ცხოვრობ?

– კი, იქით... მერე, – იკითხა გაოგნულმა იამ და თავისი უზარმაზარი თავლისფერი თვალებით წამით აჩიკოს მზერას გაუსწორა...

– ხოდა... მეშინია მარტო სიარული... იქნებ, გაგეცილებინე. ამ მოულოდნელმა დიალოგმა სხარტი მარეხიც კი დააბნია... მერე აზრი მოიკრიბა:

– ხოოოოოო... არაა ცუდი იდეა... იქნებ... გაგეცილებინა აჩიკო... შენგან შორს არ ცხოვრობს... სადარბაზომდე მიიყვანე...

მანც... სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ხომ იცი... მე იმ... არანორმალურებს დავეწვევი და ცოტას გავერთობი.

– კაი... თქვა იამ და გზა გადაჭრა...

– მოიცა.., – თქვა აჩიკომ, – შენ რა გითხრეს.... აჩიკო გააცილეო... ეს რაღა გამოვიდა?

– გელოდები.

– აი ასე... ხელი ჩამვიდე და მე მორჩილად გამოგყვები...

– მორჩი...

ჩუმად მიდიოდნენ...

– მძიმეა შენი ჩანთა? – იკითხა აჩიკომ.

– არა.... რატომ მეკითხები? – ჰკითხა იამ.... გინდა წამოიღო...

– არაააააააააა... ჩემსასაც მოგცემ, თუ გინდა...

– არანორმალური ხარ... რა უნდა გელაპარაკო...

– კი... ვარ... მაგრამ გული მაქვს დიდი და კარგი...

– ვითომ?

– რა, შენ არ იცოდი?

– არა... არ მიფიქრია... და რატომ უნდა მცოდნოდა?

– მე მგონი, რომ შენ სწორედაც უნდა გცოდნობა...

– ვითომ რატომ? – გული გაუსკდა იას.

– რატომაც არა.... დაფიქრდი...

– რატომ უნდა დავფიქრდე?

– შენ ხომ ძალიან სენტემენტალური ხარ... თქვა აჩიკომ და ეს „სენტემენტალური“ რაღაც „შტერივით“ მოესმა იას. საყვედურით სავსე მზერა შეავლო აჩიკოს და წასვლა სცადა.

– მოიცა, – აჩიკომ იას მხრებზე ხელი დაადო, გააჩერა, – საწყენი არაფერი მითქვამს, არც მიფიქრია...

ჩანთა გამოართვა, მისი მარჯვენა ხელი აიღო და ფრთხილად დაიდო გულზე.

– დაითვალე!

იას ხელისგული აჩიკოს გულის ბიძგებს გრძნობდა და არ იცოდა, რა ექნა. იამ სუნთქვა შეწყვიტა.

– დაითვალე!

– გამიშვი... თქვა ჩუმად.

აჩიკოს იას ხელი მაგრად ჰქონდა ჩაბლუჯული...

- სადამდე იცი დათვლა? - იკითხა აჩიკომ.
- რა უნდა დავთვალო? გამიშვი...
- ძგერს?
- კი, მერე...
- არაფერი... ძგერს... ახლა... მოვა დრო და აღარ იძგერებს.
- გაჩუმდი! მორჩი ამ სისულელეებს...
- შენ რა... ტირი?
- არა!!!

- აბა ეს რა არის? იკითხა აჩიკომ და იას თვალზე მომდგარი ცრემლი თითებს შორის გაგლისა. მერე თითები ცხვირთან მიიტანა და გამარჯვებული სახით განაცხადა: შენს ცრემლებს იასამნის სურნელი ასდის... გაზაფხული შემოსულა მეთქი, - ხომ გითხარი.

- თვალში რაღაც ჩამივარდა...
- ორივეში?
- თავი დამანებე.
- კარგი, გეხუმრე... ხომ იცი, სულ მაიმუნობის ხასიათზე ვარ... გინდა ნაყინს გიყიდი? - სიცილი აუტყდა აჩიკოს? - ჩაჯდა და ქვევიდან ახედა იას.
- არა...
- ტკბილ ბამბას!
- არა!
- შოკოლადს!
- აკი წვენის ფული არ გქონდათ და ახლა....
- არც ახლა მაქვს.. ისე... გპირდები... გააქანე ახლა წარმოსახვა... ეს გოგოები ხომ სულ ოცნებაში ხართ, ხოდა წარმოიდგინე... ყავიანი ნაყინი... ქიშმიშებით... თუ თხილით.
- ვანილის, შოკოლადით...
- ეგ მთლად ადვილია.. ვაფლის გიყვარს თუ „სტაკანჩიკები“

იას იცინოდა და ცრემლები ღაჰა-ღუპით ჩამოსდიოდა.

- ჰა ახლა... რა გაღრიალებს ამხელა ქალს...
- შემეცოდა....
- ვინ?

– ის... მიცვალებული...
აჩიკო იდგა და ხარხარებდა
– იცნობდი?... თუ მე დამტირი წინასწარ?... ჯერ ადრე... ია...
ადრეა. შენ არ გაქვს წაკითხული ჯერომ გრილის ცნობილი
რომანი?
ია აიწურა:
– არა... ეგ ვინაა?
– კარგი, არ გამაგიჟო...ეს ხომ მსოფლიოში ცნობილი წიგნია,
ეგ როგორ?
– არა, – ადგილს ვერ პოულობდა ია, – თქვი ახლა რა ჰქვია?
– უმიზნოდ გაფრენილი ისარი... არა უშავს, საოცარი წიგნია
და იქ წერია: „დიდ თაფლისფერთვალეზიან გოგონებს არას-
დროს ეწვევათ სევდიანი ფიქრები და სიკვდილიც მათგან
ყოველთვის ძალიან შორს იქნება“ – ოოოოოოოო.
– ასე წერია?
– ზუსტად!
– მეც ხომ არ ვარ ამ რომანში მოხსენებული...
– აი ეგ შენთვის უნდა მეკითხა.... მაგრამ ძალიან გამიკვირ-
და, რომ ამ არაჩვეულებრივ ჩილეელ მწერალს არ იცნობ....
არაუშავს.... საოცარი აღწერა აქვს კოსმოსის... ისე... გინდა
ვარსკვლავებიან ცას გაჩვენებ?
– მაგას რა ჩვენება უნდა, უშენოდაც კარგად ვუყურებ ყოველ
დღე.
– აი აქ კი ცდები... სულ სხვაა, როცა ჩემთან ერთად ახედავ
ცას, – თქვა აჩიკომ და გაიცინა „ცაში ახედე...“ გახსოვს...
– რა გჭირს? – იკითხა იამ და ახლა უკვე მზერა გაუსწორა
აჩიკოს, – რაღაც სხვანაირი ხარ... ვერ გცნობ....
– მე მიქცევ-მოქცევასავით ვარ, აი მოასწარი, ვიდრე
მოვიქცეოდე... ჩქარა... – თქვა აჩიკომ და გაიქცა... უნებურად
აედევნა იაც.
რეკდნენ პატარა ეკლესიის ზარები, წამახვილებულ ზურ-
მუხტიფერ ეკლესიის გუმბათს თავი ამოეყო წითელ სახურა-
ვებს შორის.... ახტებოდნენ გაზონებს და მირბოდნენ, არა მიჰქ-
როდნენ ვიწრო ქუჩებში... ბოლოს ეკლესიის ეზოში შედგნენ...

ეკლესიის ეზოში ძველი ქვის ფილაქანი ეგო... აჩიკომ მხრებზე დაადო ხელი იას და ჩუმიად უთხრა:

– თვალეზი დახუჭე და შედი, მე აქ ვარ.

იას თვალეზი ისედაც დახუჭული ჰქონდა და სკოლის ჩანთის სახელური მაგრად ჩაებლუჯა ხელში. იამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

– აიხედე, – უთხრა აჩიკომ.

ეკლესიის თალი მუქი ლურჯი იყო და უამრავი ვარსკვლავი გაბნეულიყო.

– ღმერთო, – წამოსცდა იას... აქ არაერთხელ ვყოფილვარ ბებიასთან ერთად, მაგრამ...

– გითხარი, შენ კი არ დამიჯერე.

ისე უნდოდა იას ეთქვა, რომ სჯერა, როგორ არა, მაგრამ ვერაფერი სთქვა და თვალეზი ისეც ცრემლით აევსო...

– ეს ვინ ყოფილა, – ჩუმიად თქვა აჩიკომ, – შენში იასამნები შრიალებენ თუ წყალსადენია ჩაგუბებული...

ეკლესიაში ცოტა იყო ხალხი... მონაზვნები ჩუმიად დააბიჯებდნენ... სანთლების შუქი თამაშობდა ხატებზე... და რადანაირად გწყვეტდა მიწას...

„აქ დავიწერ ჯვარს“ გაუელვა ფიქრმა იას და უცებ შეკრთა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ხმამაღლა წამოსცდა, რომ აჩიკომ გაიგო მისი ფიქრი, უცებ მოხედა შეშინებულმა... აჩიკო იჯდა და არაბუნებრივად გახსნილი მზერით უყურებდა.

– ნუ მიყურებ!...

– მე???? შეენ??? – მხრები აიჩეჩა აჩიკომ, – შენ რა საყურებელი ხარ.

იას გაედინა და ახლა მადლიერების ცრემლებმა იწყეს დენა.

– აუუუუ, ეს ვის გადავეყარე, – ამოიოხრა აჩიკომ.

– აკი არ გიყურებო...

– არ გიყურებ, შენი ცრემლების წყალობით უკვე კოჭებამლე წყალში ვარ...

– კარგი....

ეკლესიიდან გამოვიდნენ და ქუჩას უხმოდ გაუყვნენ.

– შენ სად ცხოვრობ? – ჰკითხა აჩიკომ, თუმც ძალიან კარგად იცოდა, სადაც.

– აი... თითო გაიშვირა იამ... თაღის გვერდით დიდ ფანჯარას ხედავ?

– პირველ სართულზე?

– კი, პირველზე.

– და არ გეშინია?

– კი... დათვების, მაგრამ ვცხოვრობ...

– შენ არ გაინტერესებს მე სად ვცხოვრობ? – ჰკითხა აჩიკომ.

– სულაც არა! – თქვა იამ, თუმც მანაც შესანიშნავად იცოდა, სად ცხოვრობდა აჩიკო.

– რა გაეწყობა.... ისე... შევთანხმდით არა... მე დიდი გული მაქვს...

იამ მხრები აიჩეჩა:

– მე შენ არაფერში შევთანხმებივარ... ეს შენ თქვი... და მზერა აჩიკოს ჩამოწყვეტილ პერანგზე გადაიტანა.

– უჰ... მაპატიეთ... დღეს უჰალსტუხოდ ვარ, – თითებით გაისწორა გულისპირი აჩიკომ.

– რა მასხარა ხარ, – გაეცინა იას, – ნამდვილი მასხარა.

– შენ რა გითხრეს, სახლამდე მიაცილე აჩიკოო...

– რამენაირად გაიკვლევ გზას...

– კარგი... სხვა რა გზაა... გასაღები მაინც მოვამზადო... აჩიკომ ჯიბეში ხელი ჩაიყო და ჯიბიდან ყოჩივარდების კონა ამოაძვრინა.

– უი, – ვითომ გაოცდა, – ეს საიდან?

იას თვალები დაუმრგვალდა.

– რა უნდა ჩემს ჯიბეში იებს? – იკითხა აჩიკომ გაკვირვებით

– თუმც... ამ ბოლო დროს დასჩემდა ჩემს სასკოლო პიჯაკს, ყვავილებს ისხამს.... როცა მოიწყენს... ხან ყოჩივარდებს, ხან იებს, ხან ფურისულებს... ისე... მონაცვლეობით. ეს შენ გქონდეს... ახლა მე რა თავში ვიხლი... – თქვა და თავჩამოკიდებული ყოჩივარდების კონა ჩაუკუჭა იას გაცივებულ ხელისგულში, მერე ადგილიდან მოსწყდა და ქუჩა თვალისდახამხამებაში გადაჭრა.

ნაწილი 3

სახლში ბულონის სუნი იდგა და ბებია დაფაციფუცობდა სამზარეულოში.

- ია... შენ ხარ?
- კი, ბებო...
- დაგაგვიანდა...
- დამაგვიანდა...
- მოხდა რამე...
- არაფერი ისეთი.... ეკლესიაში ვიყავი?
- შენ? ეკლესიაში? მარტო? – ბებიამ წინსაფარზე ჩამოსვა სველი ხელი და სამზარეულოდან გამოვიდა.
- ბებო, ვინაა ჯერომ გრილი?
- ვინა?
- ჯერომ გრილი... ჩილეელი მწერალი... თან მსოფლიოში ცნობილი.
- კარგად გახსოვს გვარი და სახელი?
- კი!
- თან ჩილეელი, თან მსოფლიოში ცნობილი.... რაც არ ვიცი, არ ვიცი.
- წიგნის სათაურია: „უმიზნოდ გაფრენილი ისარი“.
- არ გამიგია.
- მოიცა... ინტერნეტში ვნახავ... იამ კომპიუტერი გახსნა და სიცილი აუტყდა...
- ეს მასხარა... ეგეთი რამ არ არსებობს...
- რა ხდება, ია?
- არაფერი.... იამ კომპიუტერი დახურა...
- არ მეტყვი, ვისთან ერთად იყავი ეკლესიაში?
- გეტყვი... ერთ მიუნჰაუზენთან ერთად.
- ბებია სკამზე ჩამოჯდა, იას გაფრენილ მზერას თვალი გააყოლა და ღიმილით ჰკითხა.
- ერთთან თუ ერთადერთთან?
- ია ისევ დუმდა და იღიმებოდა.
- რა ჰქვია მიუნჰაუზენს?
- ია... შენ გეუბნები... დაგიდგა „ჟამი სიყვარულის“
- კაი რა ბები, სიყვარული არა ის...
- ბებია ახლოს მივიდა და თავზე ხელი გადაუსვა...

– კი, ია, ბები... ასე იწყება... ასე... წადი ხელი დაიბანე... გშია, ალბათ...

იამ ახლავდა დახედა თავის მომუშტულ ხელს, საიდანაც „წამხრჩვალ“ ყოჩივარდებს თავები ჩამოეკიდათ. იამ პატარა ჯამში წყალი ჩაასხა და ყოჩივარდების თაიგული მთლიადად ჩააყურყუმელავა. მუქმა ვარდისფერმა მოყავისფრო თხელ ფეხებზე შემოსკუპებულმა თავებმა წყლის სარკეში იწყეს ნარნარი. უცებ იამ რაღაც თეთრს მოჰკრა თვალი... აჩიკოს პერანგის ღილი იყო, ჯიბიდან შემთხვევით ყოჩივარდების თაიგულს შეყოლილი. იამ ღილს ხელი დაავლო, ხელის გულზე მოიქცია, გაუღიმა და ჩუმად თქვა, ძალიან ჩუმად:

– მიყვარს. ძალიან მიყვარს!

მერე ოთახში შევარდა. ღილს ჩუმად აკოცა და ბალიშის ქვეშ შეაგორა.

– ია... მოდი, ბებო, გიცივდება ბულიონი.

– მოვდივარ. ახლავე.

– და მაინც არ მეტყვი, ვინაა ეს „კაცი“, შენი კლასელია?

– კი, ბებო...

– სახელი აქვს.

– აქვს... აჩიკო...

– არაა ცუდი და...

– რა და, ბებო... ესაა ბიჭი, რომლის ჯიბეც ყვავილებს ისხამს, ხან ყოჩივარდებს, ხან იებს, ხან ფურისულებს...

– დასაწყისითვის არაა ცუდი, – გაეცინა ბებიას... ეჰ... რამდენი იქნება ასეთი, ია... ჯერ სად ხარ...

– არა, ბები, ასეთი არასდროს არ იქნება...

– ტვინში თუ აქვს რამე...

– კი... ბევრი და დიიიიიიდი და ცხელი გული, რომელიც ძალიან მუსიკალურად ძგერს...

– ხოოოოო... გასაგებია...

იას არ ახსოვს, როდის დაემინა იმ ღამეს... მანანა შოთახე ფიქრობდა, შოთა იაზე, მარეხი ქიმიის ტესტზე, მამუკა... და ასე... დილით კი ფანჯრის შუშასა და გისოსებს შორის ფურისულების პატარა თაიგული დაუხვდა იას... წვიმის წვეთებით დამცვარული... ეწვიმა ღამით და, როგორც ჩანს, აჩიკოს ჯიბე იმ ღამით ფურისულების გამოსხმა გადაწყვიტა.

რაო, ძია ვანო?

- რაო, ძია ვანო, როგორ ხარ?
- კარგად, ლევან, ასე ადრე საიდან?
- ღამის ცვლაში ვიყავი და...
- ჰოოოოოო... ძნელ დროს მოგიწიათ...
- რა ვი... სამუშაო იყოს და... რას დავეძებ... რა, თქვენი დრო იყო უკეთესი... ომი... დაპატიმრება... დახვრეტა...
- ეგეც მართალია, მაგრამ მე მაინც ის დრო მერჩივნა... რა გითხრა...
- მოგეხმარო, ძია ვანო?
- არა ლევან... შორს ხომ არ მივდივარ... ნელა ჩავალ... არაფერი მომივა...
- არ მოგივა, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც... ფრთხილად და მშვიდობით იყავით...
- მშვიდობა მოგცეს ღმერთმა...
- სხვანაირი დალოცვა იცოდა ძია ვანომ, თითქოსდა გულის ფსკერიდან მოდიოდა ნათქვამი.
- ლევანმა თვალი გააყოლა. ძია ვანო ტყუპ-ტყუპად ადგამდა ფეხებს და ფრთხილად მიუყვებოდა ძველი ხის კიბის მოჩუქურთმებულ მოაჯირს. კიბე ჩაათავა და ლევანმაც გზა განაგრძო, აუყვა კიბეს. აივანზე მზია იდგა სარეცხით სავსე ტაშტით.
- მოხვედი... შედი და ახლავე გავაწყობ მაგიდას... მძიმე ღამე გქონდა?
- არა... ბევრი არაფერი მაგრამ მაინც... ჯერ მორჩი და მერე იყოს.
- კარგი, - მზიამ ტაშტი იატაკზე დადგა და თოკით ყელზე ჩამოკიდებული ხის სარკების ჩამოხსნას შეუდგა.
- დილის მზე ჩამოგორდა ეზოში და ძია ვანოს პატარა ჯიხურთან მიგორდა.
- ძია ვანოს ჯიხურის კარი უკვე გაეღო და ვიწრო ფანჯრიდან უმზერდა ჯიხურის წინ კატასავით მინაბულ დამრგვალებულ მხეს. ომისდროიდელი სიმღერების დაბალ ხმაზე კი მისი

ჩაქუჩის ხმა ზოგჯერ ჯარისკაცთა მწყობრი ნაბიჯივით ისმოდა.
მზიამ ფერად-ფერადი სარეცხით დახუნძლა თოკი.

- ბავშვები სკოლაში დღეს არ მიდიან? - იკითხა ლევანმა
- ლევან, დღეს შაბათია...
- ხოოოოოოო... სულ ამერია ტვინი... ძია ვანო შემხვდა... რაღაც უფრო უჭირს სიარული... სუნთქვითაც თითქოს მთლა კარგად ვერ სუნთქავს ქოშინებს... ცოდოა კაცი...
- მაგის ამბავი ხომ იცი... არაფერს გეტყვის... არავის შეწუხება არ უნდა... ის კი არა და... ნახევარ ეზოს ფულს არ ათმევს... ეგეთია... რითი უდგას სული, ნეტა...
- სიყვარულით... ისე არაფერი გვაქვს მისთვის გასაკეთებლად მისაცემი?
- ძირი ახლახან გამოვუცვალეთ შენს ფესაცმელს... რა ვიცი... ვნახავ... მაწონს ვაყენებ, - თქვა მზიამ და ცხელ რძეში ნეკი ჩაჰკრა, - უყვარს ვანოს, შევაყენებ და ჩავუტან.
- კარგი იქნება...
- ოთახიდან 2 წლის პატარა ნამძინარევი ფეხშიშველა გოგიტა გამობაჯბაჯდა და ახლადგამომცხვარ შაქარმოყრილ „ალადუმკებს“ ხელი წაატანა.
- გოგიტა, - დაუცაცხანა მზიამ.
- გოგიტამ „ალადუმკებს“ ხელი უშვა და შაქრიანი თითების ლოკვით მამას ამოეფარა.
- მე მივხედავ, შენ საუზმე მოამზადე, - თქვა ლევანმა და გოგიტა ხელში აიყვანა.
- გოგიტას მზის და ძილის სუნი ერთად ასდიოდა. ლევანმა ვერ მოითმინა და დაბრაწულ ლოყაზე უკმინა. გოგიტა წამით გაინაბა, მერე ოთხი კბილი გამოაჩინა და ხელიდან დასხლტომა სცადა, მაგრამ ამაოდ. ლევანს მაგრად ეჭირა.
- გოგიტას 6 წლის ანი მოჰყვა... კურდღლებიან გრძელ ფანელის ღამისპერანგზე მოყავისფრო კულულები უწესრიგოდ ეყარა, ცალი ფეხი დედას მაღალქუსლიან ფეხსაცმელში გაეყო და ძლივს მორიხინებდა.
- ანი, გეყო, - ერთ ფეხსაცმელს ხომ მოტეხე უკვე ქუსლი?

ანი სარკის წინ ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიღო და თავის გამოსახულებას სარკეში გაუღიმა.

– ლამაზი ვარ!

– ახლა გაგალამაზებ, არ მომიყვანო, აბა ჩქარა... წადი, ჩაიცვი და საწოლი დაალაგე...

ანიმ ცხვირი უკმაყოფილოდ აიბზუა

– მე ვის ვუთხარი? – შუბლი შეიკრა მზიამ

– ოოოოოოო, – თქვა ანიმ, მაგრამ დედას რომ შეხედა, ფეხსაცმელს ხელი დაავლო და ფეხების ტყაპუნით გაეცალა.

– გოგიტას საწოლიც არ დაგავიწყდეს, – დაადევნა მზიამ

– მე რატომ? – შეეპასუხა ანი.

– ანი... მოვიდე?

– არა... გაისმა და სახლში სიჩუმემ დაისადგურა.

ეზო გამოცოცხლდა, მთელ ეზოზე გადაჭიმული სარეცხის თოკები სარეცხთან ერთად დილის ნიაგზე ქანაობდნენ და თვალს ახალისებდნენ. ფანჯრები ღია იყო... სიცხე ზანტად და ნელი ნაბიჯებით მძიმედ შემოდიოდა ეზოში. იგრძნობოდა, რომ ცხელი დღე უნდა ყოფილიყო.

გაისმა ზანზალაკის ხმა. სანაგვე მანქანამ ქუჩაზე შემოუბვია და ნახევრადჩაცმული მეზობლები ნაგვის პარკებით რკინის კარიბჭესთან შეგროვდნენ.

რამდენიმე მეზობელს გრძელსახელურიანი ჯაგრისები მოემარჯვებინა და შლანგიდან მოვარდნილი ნაკადით და საპნიანი წყლით თავდაუზოგავად რეცხავდა ასფალტზე გაფენილ ჭრელაჭრულა ხალიჩებს.

ნაგვის მანქანამ ჩაიარა და მთელი სახლის ნაგავი გაიყოლა. მეზობლები სახლში ბრუნდებოდნენ და ერთმანეთს ესაუბრებოდნენ,

– ლეღვი, მაცვალიიიიიიიი... ჭიშკარში თავი შემოყო მოხუცმა კაცმა დიდი დაწნული კალათებით.

ანიმ აივანთან მიირბინა:

– რა არის ლეღვი?

– ხილია... ანი, სად გაიქეცი, საუზმე ჯერ არ დაგიმთავრებია...

– დავამთავრე... ეგ გოგიტასია.

– გოგიტას თავისი თავის თეფშზე უდევს...

– ... მთხოვა და მივეცი

– მე ვიცი, რომ შენ კეთილი და კარგი ხარ, მაგრამ ამ პურის დამთავრება მაინც შენ მოგიწევს.

– არ მინდა...

– მეც არ მინდა და დღეს არც თმას დაგიწნავ და საერთოდ ჭიამაიებსაც არ ნებავთ დღეს შენს თმებზე შემოსკუპება... აირჩიე.

ანიმ ღრმად ამოისუნთქა და სუფრას მიუჯდა.

მეზობელმა შემოიხედა,

– მზია, ნიორი ხომ არ გაქვს.

– უნდა მქონდეს, მოიცა... მარტო კბილები დამრჩენია, ასე წაიღებ?

მზიამ ყველა კბილი ამოკრიფა კალათიდან და ქეთინოს მუჭში ჩაუყარა...

– მერე შენ?

– ვიყიდი... ეგეც დიდი რამეა და არ იშოვება. – გაიცინა მზიამ.

– დიდი მადლობა... ლობიოს ვაკეთებ და... იქნებ, ძია ვანოსაც მოვუკითხო... მეცოდება რაღაც... დაბერდა ძალიან.

– ხო... დაბერდა... დაბერდა... ცოდოა... ქეთინო დერეფანს გაუყვა.

კარში თავი 16 წლის აწოწილმა გიორგიმ შემოყო. ლევანს გაეღიმა...

– რაო, გო, შენი ტელეფონი ისევ არ მუშაობს?

– ხო... ძია ლევან, საიდან მიხვდით?

– ძნელი მისახვედრია... ისევ მათემატიკის გამოცდა გაქვს ხო ჩასაბარებელი?

– დედამ გითხრათ?

– არა...

– აბა?

– გულთმისანი ვარ... – გაეცინა ლევანს... – მიდი, დარეკე... ლევანმა მზიას გადახედა და ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

აწოწილი გიორგი ტელეფონთან ზურგშექცევით იდგა...
რამდენჯერმე აკრიფა ნომერი და მერე გაღიმებულმა დადო...

– რაო, გიო.... არ გპასუხობენ? ჩაგვეშალა გამოცდები...

გიორგიმ თავი დახარა... ქოჩორი მოიქექა და ნაჩქარევად
თქვა:

– ხოოოოოო... რა ვიცი.. არასდროს არ იღებს ყურმილს...

– დარეკე, ნუ გერიდება... გასერიოზულდა ლევანი.

– არა... გმადლობ, სხა დროს იყოს...

– კარგი, როგორც გინდა...

გიორგიმ ანას ნაწნავზე მოქაჩა და კარი გაიხურა.

– დე.... უთხარი... მაწვალეებს, – გამოენთო ანი.

– შეყვარებულია, – გაეცინა ლევანს, – რომ რეკავს, იქიდან
გოგონას ხმა მესმის, ეს არ პასუხობს..

– კაი ასაკი აქვს, – გაეცინა მზიას.

– დე, გარეთ გამიშვებ? თიკო გამოვიდა და კლასს ხაზავს...

– თიკომ, ეტყობა, უკვე მოათავა გაკვეთილები.... შენ?

– მეც....

მზიამ წარბი ასწია:

– მართალს მეუბნები?

– მართალს...

– თორემ ხომ იცი... ზღაპრებმა გაპარვა იციან.

– კი... მართლა მზად მაქვს...

– წადი...

კიბეზე აწოწილმა გიორგიმ ჩამოირბინა.

– მეც მინდა ასკინკილის თამაში, – თქვა და ხტუნვით გაუყვა
თეთრი ცარცით გახაზულ უჯრებს.

თიკამ და ანიმ ერთმანეთს გადახედეს და სიცილი
აუვარდათ

– ეეეეეეეეე... შენ დიდი ხარ!

– მერე რა.... მე პატარა ვარ, უბრალო დავგრძელდი.

– დიდი ფეხები გაქვს, ვერ ხედავ უჯრაში ვერ ეტევი... თან
სალკა არ გაქვს.

– უჯრებს მე გავადიდებ... აი სალკა კი რაღა ჯანდაბაა?

- სალკა ბრტყელი ქვაა... არ იცი?
- უნდა ვიცოდე რო?
- ანიმ ჯიბიდან ქვა ამოაძვრინა და აწოწილ გიორგის დაანახა.
- რა, მაგისთანას მოძებნას რა უნდა...
- არა, არ გათამაშებთ, - ფეხი მიწას დაჰკრა თიკამ.
- ვითომ რატომო? - დაიმანჭა და გამოაჯავრა აწოწილმა გიორგიმ
- იმიტომაოოოო... გაგულისდა ანი... გადიიი ვა...
- არ გავალ....
- აივანს აწოწილი გიორგის ბეზია ქეთო მოადგა.
- გიორგი... დაანებე ბავშვებს თავი, აცალე თამაში... ნეტა როდის გაიზრდები და მოგემატება ჭკუა? - გაიცინა და თავი გადააქნია...
- არასდროს, - ასძახა გიორგიმ და ორი ფეხით კლასში ჩახტა.
- ოოოოოოოოოო... გადი... ჩვენი ჯერია - არ ცხრებოდა ანი, - რამდენი უნდა იხტუნო.
- რას მელაპარაკები?, - იხტიბარს არ იტეხდა ვითომ გიორგი, - დილიდან შენი ფეხების ტყაპატყუპი მოსვენებას არ მამლევეს.
- ეგრე ხო? - დონჯი შემოიყარა ანიმ, - შენ სჯობს შენს მათემატიკის ტესტებს მიხედო... იცოდე, დედას ვეტყვი, აღარ დაგარეკინოს,.... დედაააააააააააააა.
- გიორგი მიხვდა, რომ საუბარი მოულოდნელ და არასასურველ მიმართულებას იღებდა და ხელები ასწია...
- კაი, მივდივარ.... სალკა უნდა მოვძებნო.
- ანის ძახილზე მზიამ გადმოიხედა. გაეცინა და გიორგის ჩამოსძახა:
- გამოცდები როდის გეწყება?
- დეეე, უთხარი, გვიშლის! - ასძახა გაგულისებულმა ანიმ.
- მალეეეეეე.... შეეპასუხა გიორგი და დიდ ჭიშკარში გაუჩინარდა.
- ლევანი ძია ვანოს საწოლთან იჯდა.
- ხოოოო... ეტყობა, წასულია ჩემი საქმე, - თქვა ძია ვანომ.

– კაი, ძია ვანო, ცუდად ვინ არ ყოფილა.

– ყოფილა, ლევან... მაგრამ რაღაც ასეთი გულაჩუყებული არასდროს ვყოფილვარ... კარგახანია...

– გაივლის...

ძია ვანომ გაიღიმა.... გაუპარსავ ნიკაპზე ხელი მოისვა.

– ყოველთვის კეთილი იყავი ლევან.... ასეთი გყავს ოჯახიც... ღმერთმა გიშველოს... მე კი... რაღა მაქვს დასაკარგი... არც არაფერი...

– ეგ უკვე მე არა ვიცი... მაგრამ, რა ვქნა... იქნებ, გეცოცხლათ კიდევ? – ხუმრობა სცადა ლევანმა.

– კი, ლევან... თუ იმას უნდა... კი, – მაღლა თითი აიშვირა ძია ვანომ.... მაგრამ... – ხელი ჩაიქნია, – მე რომ აღარ მინდა...

– კი მაგრამ... აქამდე ყველაფერი წესრიგში იყო და ახლა რა შეიცვალა...

– ჩემს ასაკში რაღა უნდა შეცვლილიყო.... მაგრამ, თურმე იცვლება...

– და რა....

– ეჰ, ლევან... იცვლება... იქნებ... როდისმე გიამბო, თუმც ეს როდისმე შეიძლება არც აღარასდროს იყოს და... იცი, რატომ ვფიქრობ, რომ „იმან“ ჩემი წაყვანა გადაწყვიტა?

– მაინც რატომ? – იკითხა ლევანმა და ნათამაშევი მხიარულებით გადაიდო ფეხი ფეხზე.

– იმიტომ, რომ ამაზე არასდროს მილაპარაკია, ახლა კი საღერღელი მაქვს აშლილი. მღვდლის მე არ მწამს, თქმა კი რატომღაც მინდა...

ლევანი ყურადღებით მისჩერებოდა...

– რა ფრონტის ამბავია?

– ფრონტის... სევდიანად გაიღიმა ძია ვანომ...

– რა... ვინმე შემოგაკვდათ შემთხვევით? მეგობარმა გიღალატათ? ისე... ვერ წარმომიდგენია, რომ თქვენ ვისმესთვის სროლა შეგეძლოთ, თუნდაც მტერი ყოფილიყო...

– საკუთარი თავი შემომაკვდა თურმე, ახლა მივხვდი... ლევან... სროლით კი რაღაცას ვისვროდი... რა ვიცი, ახალგაზრდები ვიყავით... მალე კი დამჭრეს და... დიდხანს მომიწია

ჰოსპიტალში ყოფნა... მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი და ამ
ლოდინმა გადამარჩინა, ალბათ...

– ვისზე?

– იმაზე...

ლევანი გაირინდა...

კარი ქეთინომ შემოაღო...

– ნემსის დროააააააა...

– შემოდი... – ლევანი აივანზე გავიდა და სიგარეტს
მოუკიდა. მშვიდი საღამო იდგა. ცას ოხრად ეყარა
ვარსკვლავები... ქვემოთ მეზობლები ონკანის მახლობლად
ისხდნენ და ნარდს თამაშობდნენ, კამათლის გაგორების ხმას აქა-
იქ გავლილი მანქანის ხმა ახშობდა.

– როგორ არის? – ამოსძახეს ლევანს ქვევიდან.

ლევანმა გაშლილი ხელები გადაატრიალა „ისე... რაო“ და ცას
ახედა...

მთვარე არ ჩანდა... ნარიყალა იდგა ლამაზად განათებული...
მტკვარს ლამფიონების შუქები ზიგზაგებად გასდევდა, უყვარ-
და თბილისის ეს ნაწილი ლევანს განსაკუთრებით. მზიამ
პატარა ქვებით ბულიონი მოიტანა:

– იქნებ, ესამოვნოს..

– იქნებ, ვკითხავ...

ქეთინო მალე გამოვიდა. თავით ანიშნა – შედიო.

– როგორაა?

– რა გითხრა... იქნებ, გამოძვრეს... გული აქვს სუსტი. თან ამ
ასაკში... რა გითხრა, ვნახოთ...

ლევანი დაბრუნდა... ძია ვანო თვალდახუჭული იწვა.

– მზიამ ახლადგაკეთებული ბულიონი მოგიტანა, ძია ვანო,
იქნებ, გეჭამა, ჰა?

– ბულიონი? მოდი... ხვალ...

– წვენი მაინც... გჭირდება ახლა..

– მზიას როგორ ვუთხრა უარი.... კარგი, ცოტას მაინც,
მადლობა უთხარი, სამზარეულოში ნახე, „კრუჟკა“ უნდა იყოს
მეორე თაროზე,

ლევანი გავიდა, ძველი განჯინა გამოაღო და გაეღიმა...

არაჩვეულებრივი წესრიგიანობით იყო დაწყობილი ჯამები და თეფშები... კრიალებდა ყველაფერი. ძველი ალუმინის მუქი მწვანე „კრუჟკაც“ იქვე იდო. ლევანმა ცხელი ბულიონი ჩაუსხა და გაუტანა.

ძია ვანოს თავქვემ ხელი ამოუდო და ცოტა მოასმევინა.

– კაი ხელი აქვს მზიას.... ხელიც და გულიც... გაუფრთხილდი,

– თქვა ძია ვანომ

– ვუფრთხილდები... რაც შემძლია..

– მჯერა... მაგრამ... მაინც...

– რაო, ძია ვანო... რაღაცის თქმა გინდოდათ...

– მინდოდა და მინდა... თუ გაინტერესებს...

– მაინტერესებს...

– აი იმ კარადას ხომ ხედავ, გამოალე... ლევანი კარადასთან მივიდა.

– უჯრა გამოალე და ღრმად შეყავი ხელი, პატარა კოლოფი უნდა იდოს.

ლევანის ხელი რაღაც მყარს მოხვდა და გამოიღო.

– ეს?

– ეგაა... მომეცი...

ძია ვანომ კოლოფი გახსნა და დახურა... მერე ისევ გახსნა.. ლევანისთვის თვალის გასწორება გაუჭირდა.

შიგ ცისფერი ბაფთა იდო...

ლევანი მიხვდა, რომ ხელი არ უნდა მოეკიდა, სკამზე ჩამოჯდა და ძია ვანოს დაელოდა.

ძია ვანო ცოტა ხანს დუმდა...

– ხედავ?

– კი... ვხედავ... ბაფთაა არა...

– ბაფთაა... გიკვირს?...

– არა... უცნაურად შეიშმუშნა ლევანი... არ მიკვირს... მაგრამ ვისია...

ძია ვანომ სევდიანად გაიღიმა:

– ჩვენს უბანში ერთი არაჩვეულებრივი გოგო ცხოვრობდა. ლამაზი ბევრი მინახავს, მაგრამ სილამაზესთან ერთად საოცარი ხიბლი ჰქონდა და რომ დადიოდა, თითქოს ასხივებდა.

ბავშვობიდან ვხედავდი, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი, ერთ დღეს კი, თითქოს თავზე ჩამომექცა, როცა თვალი გავუსწორე.

ვიოლინოზე უკრავდა. სახლიდან მუსიკალური სკოლისკენ ჩაივლიდა და აივლიდა ხოლმე ჩვენი სახლის წინ... გრძელი შავი ნაწნავი ზურგზე სცემდა და დიდი ბაფთა ეკეთა ხოლმე. მჟღერი და გახსნილი სიცილი ჰქონდა. ერთხელ ჩვენთან ახლოს შეჩერდა, გარეთ მოხუცებული ქალი „სემიჩკას“ ჰყიდდა, იყიდა და როცა სკოლის წინსაფრის ჯიბეში იყრიდა, ხელიდან ვიოლინოს მისაბჯები პატარა ბალიში ჩამოუვარდა. იქვე ვიდექი, მივედი და მივაწოდე. შემომხედა და ასე გაცეცხული დავრჩი. თვალები ჰქონდა შავი და მბზვივარე, თითქოს მთელ თეთრონს ავსებდა. შემომცინა, მადლობა გადამიხადა, მერე ჯიბეში ხელი ჩაიყო და ერთი მუჟა „სემიჩკა“ ჩემს გახევებულ ხელისგულში ჩააჩხრიალა. რამდენ ხანს ვიდექი ასე, არ მახსოვს... მაგრამ მას მერე ქვეყანა თითქოს გადატრიალდა... მასზე ფიქრით იწყებოდა და მთავრდებოდა ყოველი დღე. ვიცოდი სად ცხოვრობდა. რამდენჯერ ავსულვარ მის ქუჩაზე და მისი დაკვრისთვის მომისმენია. არ უყვარდა მეცადინეობა და ხშირად მესმოდა, როგორც ეჩხუბებოდა დედა. მეცოდებოდა და თან მეცინებოდა. რამდენჯერ ვმჯარვარ მისი სახლის წინ ღამით, ვხედავდი, როდის აქრობდა შუქს როდის იძინებდა. ჩემები გვიანობამდე მუშაობდნენ და არავინ მაკონტროლებდა.

– გხედავდათ?

– შეიძლება, მხედავდა კიდეც, მაგრამ არ იმჩნევდა. ჩამიქროლებდა ხოლმე და გაიტაცებდა ჩემს გულს და მერე მის დაბრუნებას დიდხანს, დიდხანს ვუნდებოდი...

– მერე... არასდროს არაფერი გითქვამთ...

– არა... ვერც გავბედავდი... რას ამბობ... მისი არსებობით ვიყავი ბედნიერი, მისი წამიერი სიახლოვით და სიცილის გაგონებით, მე მიყვარდა და ეს იყო ჩემთვის ყველაფერი... მისგან არც არაფერს ველოდი.

– მერე...

– რა მერე... ლევან... არაფერი... გავიზარდეთ... ის სტუდენტი გახდა... ომი დაიწყო... მეც გამიწვიეს და წავედი...

- და მერე.... არასდროს...
- კი... გაელიმა ძია ვანოს... კი... 57 წლის მერე...
- ხუმრობ, ძია ვანო????
- არა, ლევან, არ ვხუმრობ...
- ძია ვანო.... და... იცანით? ეს ხომ წარმოუდგენელია... ის იყო? ეს როგორ? საიდან იცით?
- ვიცი, ლევან...
- საიდან...
- მზერით ვიცანი.... თვალები არ იცვლება. ლევანმა თავი გააქნია...
- წარმოუდგენელია...
- არაფერი არაა, ლევან, წარმოუდგენელი... იმანაც მიცნო... თვითონ მოვიდა... მე ახლაც ვერ გავხედავდი.. რომ მომიახლოვდა და შემომხედა, 21 წლის ბიჭად ვიგრძენი თავი, ისევ ის სხივი ჰქონდა, ის ბზინვარება, გაშეშებული ვიდექი... მეგონა, მეჩვენებოდა.
- მოვიდა და რა გითხრათ...
- ჩემი სახელიც ახსოვდა... მომიკითხა... ბავშვები ახლდა.... 3 შვილიშვილი.... ერთი ბებიას წააგავს ძალიან...
- თურმე სასწაულებიც ხდება ამქვეყნად...
- თურმე...
- მერე...
- არაფერი... სული შუქით ამევსო... პატარა ბიჭივით ავფორიაქდი...
- ხოდა... რაღაც სიკვდილის მოლოდინია, ძია ვანო...
- კი არ ველოდები... მოვიდა და აქვე დგას...
- რატომ ასე...
- ერთი კვირის წინ მის დასაფლავებაზე ვიყავი... ლევანს სუნთქვა შეეკრა... ხმა ყელში გაეჩხირა...
- ძია ვანო შორს იყურებოდა და ცისფერი ბაფთა ხელისგულით დაეფარა....
- რაღაცნაირად დამძიმდა და ჩამოწვა დუმილი... ლევანმა თავი რატომღაც ზედმეტად იგრძნო...
- ხო... ძია ვანო... დაილაღეთ...

– არა... ისე...
 – დაისვენეთ...
 – შენ მე ხელს არ მიშლი... არა... ცოტას ჩავთვლემ... ლევანი გადამბრუნებაში მიეხმარა.
 – გამადლობ, ლევან... არ მიჭირს... მე თვითონ.
 – მაინც... რა ვიცი... – ადგილს ვერ პოულობდა ლევანი... მალე შემოვალ... დაგხედავთ.
 – კარგი, ლევან, მიხედე შენებს... დიდი მადლობა ყველაფრისთვის... რომ მომისმინე...
 – რას ამბობთ... თქვენ დიდი მადლობა... რომ მანდეთ... ჩავდო?
 ბაფთაზე მიუთითა.
 – არა... უფრო იოლი იქნება... ეს ერთხელ ჩამოუსრიალდა თმიდან და... მას მერე სულ ჩემთანაა...

– 57 წელი... ფიქრობდა ლევანი და აივანს მიუყვებოდა... ნუთუ ასეთი რამე მართლა შეიძლება მოხდეს...

ეძინა ქალაქს. ლევანს რაღაც აქამდე უცნობი სევდა აეკვიატა, თითქოს ღამის იდუმალმა სიმშვიდემ მოიცალა სასაუბროდ.

თავისიანებთან შეიხედა, მზიას სავარძელში მოკუნტულს ჩასძინებოდა. მაგიდაზე ნახევრად სავსე ჩაის ჭიქა იდგა, ლევანს რატომღაც არ მოუნდა მზიას გაღვიძება, პლედი დაახურა, ლამფა ჩააქრო და კარი გამოიხურა.

მონაყოლმა ამბავმა რაღაც ააწრიალა.. ცდილობდა მია ვანო ახალგაზრდა წარმოედგინა... ნეტა, როგორი იყო... ან ის გოგონა? იქნებ, მასაც უყვარდა... ვინ იცის... მაგრამ ერთად ყოფნა უბრალოდ არ ეწერათ... მანძილი მაინც სხვაგვარად ინახავს და იფარავს ურთიერთობებს, „მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი“ – გაირბინა უცებ ნაცნობმა ფრაზამ. ნუთუ ასე რომ გიყვარდეს ეს „ხელშეუხებლობა“ და მანძილია ასეთი მნიშვნელოვანი? ვინ იცის... გაახსენდა დედას და მამას მოყოლილი ამბავი ვაჟთა და ქალთა სკოლებზე, როგორ აეყუდებოდნენ ბიჭები ქალთა სკოლის მახლობლად და როგორი უმზერო მზერით ჭვრეტდნენ სკოლიდან გამოფარფატებულ ფორმიან გოგონებს. როგორი

მოწიწება იყო მათ მიმართ, როგორი რიდი. მამა წარმოიდგინა – ქოჩრიანი, ულვაშით, გალიფე შარვლით... ლევანი იდგა და იღიმებოდა.

განა არ უყვარს მზია.... რა თქმა უნდა უყვარს... მაგრამ...

უცებ ნინო ამოტიტივდა... ნინო... რა გვარი იყო ნინო? ვერ გაიხსენა. ლევანი მეათე კლასში იყო, ნინო მეცხრეში. მაღალი, წვრილი მოხრილი ფეხები ჰქონდა. ფეხბურთს ბიჭებივით თამაშობდა. განსაკუთრებით კარში დარტყმა უყვარდა. ამ დროს გრძელ მოხრილ ცხვირზე ჩამოყრილ შავ ხვეულ თმას ქვევიდან სულს უბერავდა და რომ გამოქანდებოდა, თითქოს ჰაერიც რყევას იწყებდა. თმა სულ გაჩეჩილი ჰქონდა და ცხვირის კაუჭი ძალიან სასაცილოდ ჰქონდა გამოჩრილი. მოსწონდა ლევანს, საშინლად მოსწონდა. არ იცოდა ლევანმა, რა ერქვა ამ გრძნობას, მაგრამ ნინოს ხარხანს უამრავი გოგონას ხმაში არჩევდა და ეღიმებოდა.

ახლაც ეღიმებოდა ლევანს.

ერთხელ ტელეფონიც გაიგო. 2 კაპიკიანი სატელეფონო ჯიხურის ღრიჭოში ჩააგორა და ნომერი აკრიფა. მაინცდამაინც ნინოს დედას გადაეყარა, ნინო სახლში არ არისო... არცკი იცოდა რა უნდა ეთქვა. მაღლობაც კი არ უთქვამს, ისე დაკიდა ყურმილი გაოფლილი ხელისგულებით.

ისიც ნახა, როგორ მიეპარა ნინო თავის კლასელ ბიჭს და პირში ჩაგუბებული წყალი როგორ ჩაასხა პირდაპირ კისერში, მერე მიტრიალდა და გაიქცა... მირბოდა და რას მირბოდა, სიცილით კვდებოდა და წვრილ მოხრილ ფეხებს სულ კეფაზე ირტყამდა. ბიჭმაც დაიგუბა წყალი სკოლის შადრევნიდან და დაედევნა, „კაპიშონით“ დაითრია, შიგ ჩაუსხა წყალი და თავზე წამოახურა... ახლაც იცინოდა ნინო და თავის კაუჭა ცხვირზე და კუნაპეტ შავ თმაზე წყლის წვეთები არხეინად ეკიდა...

ლევანი იღიმებოდა.

მერე კი... ლევანს სკოლა უკვე დამთავრებული ჰქონდა... ორივეს ერთად მოჰკრა თვალი... სკოლის დამთავრების დღე უნდა ყოფილიყო – ნინოს თეთრი წინსაფარი, ბიჭს კი თეთრი მაისური წარწერებით ჰქონდა აჭრელებული... ისევ რაღაც კაპი-შონიანი მოსაცმელი ეცვა ნინოს... წინ მიდიოდა და ნაწერებს

დაჰყურებდა... ბიჭმა იების თაიგულები იყიდა მოხუცი კაცისგან, ჩუმიად მიუახლოვდა, კაპიშონში ჩაუყარა და თავზე წამოახურა ნინოს... ახლა კი აღარ იცინოდა ნინო, ცხარე ცრემლებით ტიროდა და ფეხქვეშ მოფენილ თაიგულებს ბიჭთან ერთად გამალებით კრეფდა... ცისფერი ფერი... ცისფერი ბაფთა...

აღარ იღიმებოდა ლევანი... გაახსენდა, რომ ის ბიჭი მალევე მოკლეს...

დიდი ხნის შემდეგ კი ქუჩაში წაგააწყდა ნინოს, ძლივს იცნო... ცხვირის ოპერაცია გაეკეთებინა... აღარც სკოლის ფორმა ეცვა... სხვანაირი იყო და გული დასწყდა. პატარა გოგონა მოჰყავდა, რომელსაც ნოტებიანი ჩანთა გადაედგო მხარზე და ჩამოყრილი თმიდან კობტა მოხრილი ცხვირი უჩანდა...

ლევანმა თითებზე სიმხურვალე იგრძნო. სიგარეტი ჩაფერვლილიყო.

ეზოს ეძინა, მარტო დეიდა ზინას დიდი ჩრდილი მოძრაობდა სამზარეულოში, ეტყობა, რაღაცას აცხობდა.

ლევანმა ძია ვანოსთან შეიხედა. მშვიდად ეძინა.

რატომღაც სახლისკენ გული არ მიუწევდა. ეზოში ჩასვლა გადაწყვიტა. ძველ ხის კიბეებს დროისგან რომ გვარიანად ჩაზნექილიყვნენ მძიმედ ჩაუყვა. ქვემოდან ამოხედა ეზოს. რახანია ასე აქ არ ყოფილა... მარტო... სიჩუმეში... ამ ყველაფრისთვის მოცლილი... ძველი მოარშიებული ხის აივნებიდან უმზერდა ლევანს თავისი ბავშვობა და ის თბილისი, რაც ასეთი ძვირფასი და ახლობელი იყო მისთვის. ქვის მაგიდაზე გადაშლილი ნარდის დაფა იდო და უწესრიგოდ ეყარა ქვეები და კამათლები.

ლევანმა გრილი კამათლები ხელით მოსინჯა და გააგორა. თითქოს ღამე შეადვიძა. ხმამ სიჩუმე გაკვეთა და... ჩაკვდა... დორ ჩარი დაჯდა.

ჩამოჯდა. ნაცნობი ხმა მისწვდა ყურს. წვეთავდა დიდი ონკანი.

უწყლობის დროს ამ ონკანთან ჩამორიგებული მოქოთქოთე ამბოხებული მეზობლები წარმოუდგა თვალწინ ახლა ლევანს... და სხვადასხვა ფერის ემალირებული ვედროების წყებაც დაინახა... გაელიძა...

ძველი ქალაქი თავისი სითბოთი და გულიანობით, გულწრფელობითა და უანგარობით სავსე ფეხაკრეფით ტოვებდა აწმყოს და წარსულის ბილიკებს თავდახრილი მიუყვებოდა...

მთვარე ლევანს თავზე წამოადგა... ისე დაჰყურებდა, როგორც ლაბორატორიის მრგვალი ნათურა... ისე ახლოს იყო... ისე ახლოს, თითქოს ხელს გაიწვდიდი და თვითონვე ჩამოგიგორდებოდა ხელისგულზე.

კარგი იყო... ძალიან კარგი...

ამ ძველმა, მშობლიურმა და თბილმა მოგონებებმა სადღაც გაიყოლა ლევანი და ვერცკი მიხვდა, როდის ჩაეძინა.

სიცივემ გამოაღვიძა... ძვალსა და რბილში გამჯდარმა რაღაც უცხო სიცივემ.

მთვარე გადაგორებულყო. დეიდა ზინასაც ჩაეკრო შუქი. მხოლოდ დიდი ონკანის დიდი წვეთების ტყაპანი ისმოდა, თითქოს წუთებს თვლიდა და დროის სვლას უწყობდა ნაბიჯს.

ლევანმა საათს დახედა. საცაა 4 გახდებოდა. ადგა და კიბეებს აუყვა. გულმა მაინც ძია ვანოს ოთახისკენ გაუწია.

სინათლე ენთო. ძია ვანო ისევე იწვა, როგორც დატოვა და ეძინა. ლევანი ახლოს მივიდა და ზურგთან საბნის ჩაკეცვა სცადა, მაგრამ, ვიდრე საბანს მოჰკიდებდა ხელს, როგორც ელვამ, ისე დაუარა უცნაურმა სიცივემ. ძია ვანოს ნიკაპთან ლაღად გაბანტული ცისფერი ბაფთა უძრავად იდო.

ლევანს თითქოს სუნთქვა გაეჭედა, სველმა სიცივემ შემოუსალტა გული, საფეთქლები დაემცვარა, ფეხები დაუმძიმდა, თითქოს იატაკს მიეჯაჭვა... ძლივძლივობით დაიხია უკან, ხელის ცეცებით მოძებნა სახელური და გარეთ გააღწია. თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ აღმოჩნდა იატაკზე. იჯდა და ბავშვივით ტიროდა.

უზოს მშვიდად ეძინა. ლევანს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს გულში ზარი ჩაუდგეს, რომელიც გამაყრუებლად რეკდა და უკვირდა, რომ ამ ხმაზე მეზობლები აივნებს არ მოაწყდნენ. მთვარემ ჩამოხედა ლევანს, თითქოს ადგომამში მიეხმარა და სახლის კარებამდე მიაცილა.

ლევანმა სახლში ძლივს შეაბიჯა და მძინარე მზია გააღვიძა.

ძია ვანოს დასაფლავებას გრილი დღე დაემთხვა. რომ გამოასვენეს, ბავშვებმა თამაში შეწყვიტეს და დედებს და ბებიებს ამოეფარნენ. პატარა ანის და თიკოს თავიანთი „სალკები“ პატარა მუჭებში ჰქონდათ ჩაბლუჯული და გაფართოებული თვალებით უმზერდნენ ამ უცნაური და შიშისმომგვრელი ყუთის მოძრაობას კიბეებზე ზევიდან ქვევით. საოცარი სიჩუმე იდგა ეზოში უცხო და უცნაური, მეზობლები უხმოდ იცრემლებოდნენ. ხანდახან ეს დუმილი მოთქმაზე მეტყველი და ბევრისმთქმელია.

პატარა სანდრომ თავისი ჭრელი ზურთი მიაგორა ძია ვანოს ჯიხურთან და განზე გადგა, ელენემ საუკეთესო თოჯინა მიუსვა გვერდით და რუდუნებით გაუსწორა არშიებიანი კაბა, ანიმ კი ნაწნავიდან ჭიამაია მოიხსნა და ჯიხურის სახელურს გამოაბა.

ბიჭებს ფრთხილად ჩამოჰქონდათ კუბო. ცოტა ხნით ეზოში დაასვენეს და მალე ხალხის ნაკადი დიდი ჭიმკრიდან ქალაქის მღვრიე ნაკადს შეერია.

„სალკამ“ ჰაერში გაიშხულია და თეთრი ცარცით დახაზული კლასის მე-5 უჯრაში დაეცა.

პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს ძია ვანო. იმ დღეს ამ მიწას კიდევ ერთი პატარა გორაკი შეემატა. ლევანი ერთხანს ბიჭებთან ერთად იდგა. გული მშვიდად ჰქონდა. ცისფერი ბაფთა ახლა უკვე ძია ვანოს უთბილეს და სიყვარულით სავსე გულთან სამუდამოდ გატრუნულიყო.

ცოტა წამოწვიმა... ბუნებამაც გამოიმეტა ცრემლი.

ბიჭებმა – დროაო და ნელ-ნელა დაიშალნენ.

ლევანი ცოტა ხნით დარჩა და იქვე მიწაზე ჩამოჯდა.

ქარმა ღრუბლები გადაყარა და საღამოს ჟანგისფერმა მზემ გამოანათა. საოცარი სიმშვიდე იყო. იქვე წვრილყვავილებიანი ტოტი ქარის დაბერვაზე კეკლუცად იწეწავდა თმას.

– რაო, ძია ვანო?... აბა შენ იცი... მშვიდობით... მოვალ ხოლმე... დაგხედავ...

– მშვიდობა მოგცეს ღმერთმა, – თითქოს გაიგონა ლევანმაც მაინც სხვანაირად დალოცვა იცოდა ძია ვანომ... გულის ძირიდან.

ჩანახატი (დღიურიდან ამოვარდნილი ფურცელი)

ვენაში სიგრილე იგრძნო, გაელიმა, უყვარდა ეს შეგრძნება. ახლა საცაა მიწას მოსწყდება და სადღაც გაფრინდება.

– ნუუ? თავს როგორ გრძნობთ?

ცერა თითი აუწია... მაინც ხუმრობდა.

ანესთეზიოლოგს გაელიმა.

დააბეს, ლეიკოპლასტიკები დააკრეს, ნესტოებში ჟანგბადის მიმწოდებელი გამჭვირვალე 2 პატარა მილი ჩაუმაგრეს.

ერთი კი გაუსხლტა ტვინში: „ეს ხომ შეიძლება ბოლო კადრი იყოს“... დაფიქრდა... დიდად აღარაფერი ენანებოდა, ფიქრით ძვირფას და საყვარელ ადამიანებს გადაუბრინა, თითქოს დასამშვიდობებლად, ფიქრში მაინც, მაგრამ ორ თავს გადაააწყდა... აი მათთან კი არ შეიძლებოდა, არაფრით შეიძლებოდა დამშვიდობება...

ირგვლივ ექიმები დაფუსფუსებდნენ.

თვალი ჭერისთვის მიეპყრო, ფიქრებიც თითქოს ჭერთან შექუჩულიყვნენ და სევდიანად წვეთავდნენ... ისე კაცმა რომ თქვას, არც არაფერზე არ ფიქრობდა... ეს უფრო მოლოდინი იყო...

თავზე მორიგი ექიმი წამოადგა, ახალგაზრდა, სიმპათიური. სულაც არ აინტერესებდა ოპერაციის დეტალები, რასაც ექიმი ასეთი საოცარი გულმოდგინებით და სერიოზულობით უამბობდა, მაგრამ მაინც ყურადღებიანი მზერა მიაპყრო პატივისცემის ნიშნად და ისევ არაფერზე განაგრძო ფიქრი. დრო კი წვეთავდა.

ერთმა ფრაზამ მაინც მოსჭრა ყური:

– ათასში ერთხელ ხდება, მაგრამ მაინც უნდა იცოდეთ, შეიძლება ნაწლავი გაიხვრიტოს და მაშინ სერიოზული ოპერაციული ჩარევა იქნება საჭირო.

შუბლზე ნაოჭი აუთამაშდა, თვალებიც ოდნავ დაენამა... ნადვილად აღარ იყო მზად ამ „სერიალისთვის“, არ უნდა! არ უნდა მოხდეს, მორჩა და გათავდა!

ექიმს გაულიმა და რაღაც უთხრა.

ექიმსაც გაელიმა:

– მომწონს თქვენი იომორი და ოპტიმიზმი! – მიუგო ექიმმა.

მასაც მოსწონდა თავისი იუმორი... ექიმმა კი რა იცოდა, რომ მისი ოპტიმიზმი ახლა ჭერში კონწიალობდა და თავის ჩამოსახრჩობად ემზადებოდა.

რამდენჯერ მივიდა მანამ სარკესთან... თვალეზთან ჩამოხე-რილ რბილ ბალიშებს ხელი ჩამოუსვა, ყელთან შემოჯარულ ნაოჭებს თვალი აარიდა და გაუღიმა, აი რა არ ჰქონდა შეცვლილი, ღიმილი.

– „ყველაფერი კარგად იქნება“, – თქვა.

– რომ არ იყოს?

„ბოშამ ხომ 89 წელი მიწინასწარმეტყველა“ – გასხლტა ფიქრი

– ვითომ?

– როგორ არ გრცხვენია ამ 60 წლის ქალს ასეთი შიში, მაშინ ბავშვებმა რაღა ჰქნან?

– მართალი ხარ... თავი ზემოთ.... ის ბოლომდე იდგა სცენაზე, ხომ გახსოვს, ის ბოლო წუთამდე ეხმარებოდა გაჭირვებულებს... შვილი რომ ჩამოუვიდა, წამოდგა საწოლიდან და საყვარელი ერბოკვერცხიც კი მოუშადა... არ დაწოლილა, ვენახში ნახეს..... ფიქრები აირ-დაირია

– არ შეიძლება იმაზე უფრო მეტად გემინოდეს, ვიდრე შეგიძლია...

– ესეც მართალია...

რა საოცარი რამაა მეხსიერება, როგორ უცებ შეუძლია შენი მოსროლა წლების მიღმა, თითქოს ყველაფერი გუშინ იყო... წუთი-სოფელი... ანდა რამდენი რამის ჩატევა მოასწრო ამ პაწაწკინტელა წუთში... რამდენ სასწაულს გადაეყარა, რამდენი ნეტარების და ბედნიერების წამი განიცადა... ახლაც რომ გრძნობს მის გემოს და ლაზათს...

ამაოდ ცდილობდა შეშინებული კურდღლისთვის გრძელ ყურებში ხელის ჩავლებას და მიყუჩებას. ხელში მოიგდებდა და მერე დამფრთხალი ჩიტი იწყებდა სულის დარბაზებში ფრთხილს და კედლებზე შეწყდომას.

რამდენი ძვირფასი ადამიანი იდგა იმ ჯებირს მიღმა.

ვერასდროს ახერხებდა ჩაძინების მომენტის ჩაჭერას, მაგრამ ახლა იცის... საცაა მოსწყდება მიწას... სიგრილეს რომ იგრძნობს ვენაში. ახლა გაღვიძების შიში აღარ ჰქონდა. პირველი ხომ არაა... თურმე ყველაფერს ეჩვევა ადამიანი.

ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს კატების გუნდი ერთსულლოვნად, მაგრამ ფრთხილად კაწრავს გულს ყოველი მხრიდან. ძალიან რცხვენია ამ შიშის გამო, ძალიან... თავს იმაგრებს და ღრმად სუნთქავს. ცდილობს თვალებიდან არ გაუშვას ღიმილის ბოლო ათინათი მაინც.

აი სიცივე იგრძნო ვენაში.

– როგორ ხარ? – ეკითხება ექიმი.

– კარგად... მივფრინავ

და აღარაფერი ახსოვს.

ხალხი მიდი-მოდის, ცხოვრება თავისი გზით მიედინება.

სიცოცხლის გემო იცის და ცხოვრობს სხვანაირად... სუუულ სხვანაირად.

ექიმის მოსაცდელში ზის, კრიჭა კი არა, სული აქვს შეკრული. მის გვერდით ყველა ტელეფონს ჩასჩერებია, ყველას სტრესის მოხსნის თავისი საშუალება აქვს ნაპოვნი. სირცხვილია, იცის, მაგრამ ლაპარაკი უჭირს.

ეძახიან.

ექიმი მშვიდად ზის და კომპიუტერის ღილაკს ნელ-ნელა ატარებს ზემოთ-ქვემოთ.

– წესრიგია, – ამბობს მშვიდად.

შეკრული სული არტახებს გლეჯს და თავისუფლდება. უხერხულია ამ ემოციას გზა მისცეს, ბავშვი ხომ არაა, მაგრამ სიცილის თავიც კი არ აქვს, მხოლოდ იღიმება.

ეკლესიაში მიდის და უფალს მადლობას სწირავს და კიდევ ერთ სანთელს დგამს – მადლიერებით სიკვდილის მიმართ, რომელიც გვერდზე გადგა.

თოვლი მომენატრა... (დღიურიდან ამოვარდნილი ფურცელი)

სხვა გემო აქვს თოვლს, სხვა სითეთრე, სხვა სუნი....
სუფუფულ სხვა.

მოგისმენიათ მისი ჩურჩული? ნაძვის ქვეშ მწოლარეს „ჩამოგბნევიათ“ სახეზე? წაყინულ ნესტოებში გიგრძენიათ მისი სურნელი???? ალბათ, სხვა ნეტარების წამიერი შეგრძნება მაინც შემოგელვებულა თქვენში და გაგლიძებიათ... ისიც სხვანაირად... თქვენი წილი ბედნიერებაც მიგიღიათ.

ხოდა... ისევ... თოვლის ჩურჩული რომ გაიგოთ, ძალიან ჩუმიად უნდა იყოთ, სმენა დაძაბოთ და ყურები დაიგრძელოთ... რას ამბობს, ამის გაგება ძალიან ძნელია, მაგრამ ამ მონოლოგს საოცარი სიმშვიდე შემოაქვს სულში, მომაბეზრებელ ყოველდღიურობას, მიწიერს გარიდეებს და რაღაცნაირად რეალურ ცხოვრებაში ზღაპრის არსებობის რწმენას გიმტკიცებს.

დაინახეთ? როგორ წვებიან ღამით ლურჯი უზარმაზარი ჩრდილები თოვლზე და ღამის მიმცხრალ და იდუმალ შუქზე რა საოცარი ბზვინვარება გაუდის?

მომენატრა.... უკანალიც რომ სველი გაქვს, ბათინკების წვერები და მაინც რომ ჯიუტად ზიხარ თოვლში და ოცნებანარევ ფიქრს თუ ფიქრმორეულ ოცნებას რომ აგრძელებ... აი თვალი დახუჭეთ... და წარმოიდგინეთ.... შემაღლებულზე, თოვლიან ფერდობზე მარტო ზიხართ და ქვემოთ ღამის ცისფერ შუქში განათებული სახლებით სავსე დაბლობი იშლება, ეს შუქიც სხვაა და ამ სახლებში მოგიზგიზე სინათლეებიც...

ისე... დიოგენმა კაი რამ მონახა... კასრი.... რა აწუხებდა, არ ვიცი და ეს ეგერეთ წოდებული „კასრი“ დიდ ცთუნებად, ფუფუნებად და ფასეულ შენაძენად მიმაჩნია დღეს... კარგი თავშესაფარია. საკუთარი ერთოთახიანი ბინა. ტყუილად როდი დადიოდა მარტო სანთლით ხელში დღისით მზისით და „ადამიანს ეძებდა“....არ ვიცი, იპოვა თუ არა, რაღაც მეექვსეა, თორემ ღრმა მოხუცებულობაში სუნთქვის შეჩერებით თავს,

ალბათ, არ მოიკლავდა, თუმც, ვინ იცის... მაგრამ თავისთავად ეს „განაცხადი“ უკვე იმ დროსაც ადამიანების ნაკლებობის ამკარა დასტურია.

ხშირად მივიჭრია, რომ მარტოობაზე და სიბრმავეზე საშინელება არაფერია და საოცარ პატივისცემას იწვევს თვალდავსებული ადამიანი აქტიურად ცხოვრებას რომ აგრძელებს... სიმარტოვე კი გარკვეული „დოზით“ საჭიროც უნდა იყოს, მაგრამ საშინელებაა, როცა არავინ გირეკავს, კარს არ შემოგიღებს და სალამოს 6 საათის შემდეგაც სახლში მარტო რჩები, განსაკუთრებით, თუ რამე გაწუხებს... მე „ადამიანის“ შესახებ მოგახსენებთ, თორემ ზოგი გინდ ყოფილა და გინდა არა. რადენი ვიცი, „თავისიანების“ გარემოცვაში რომ მარტოა... ეს ყველაზე მწველი და ველური სიმარტოვე უნდა იყოს მაინც, ასე მგონია.... მაშინ კი ადამიანი „ძიებას“ იწყებს და შეიძლება უფსკრულშიც გადაიჩეხოს ან სრულიად დასაშვებია, მის წინაშე კლდიდან უწმინდესმა შადრევანმა ამოხეთქოს...ეს უფლის ნებაა... ვის როგორ გაუმართლებს.

ამჯერად კი ისევ თოვლიან პეიზაჟს გავყურებ. თითქმის ფანჯრის დარაბებამდეა ამოსული თოვლი... ისევ დაიწყო თოვა, ზანტად მოდის, თითქოს ძილიდან ვერ გამორკვეულა, ფთილებად.... ოთახში გრილა...სახლის დიასახლისი ჯუბით და შალის უხეში ძაფით ნაქსოვი წინდებით, ილლიაში ნაფოტებამოჩრილი შემოდის და ფეხს შემას უკეთებს. ფეჩიც ცოცხლდება და გუგუნს იწყებს.

– შენ რატომ არ წახვედი? – მეკითხება

მხრებს ვიჩეჩავ...

– რა ვი... ასე მომინდა.... მალე მოვლენ...

– ხო... დიდი თოვლი მოვა... გზა შეიძლება ჩაიკეტოს... – ამბობს და გადის.... მალე კი ჩაის ტილოში გახვეული რაღაც შემოაქვს და მაგიდაზე შლის... შეშა მხიარულად ტკაცუნობს და მის სურნელს ახლადგამომცხვარი ნაზუქების სურნელი ერევა.

ღრმად ვისუნთქავ ამ ტვინისდამაბნეველ არომატს.

დიასახლისი იღიმება:

– კარგია? ღმერთმა შეგარგოთ....

– უსაშველოდ კარგი... გმადლობ....

ბედნიერება იზმორება გულში და რამდენიმე ბრუნს აკეთებს.

თეთრეულსაც თითქოს შეკეთებული შეშის სურნელი ასდის. საწოლში ვძვრები და უზარმაზარ ბუმბულის ბალიშზე თავს ვდებ. ნეტავ, რამდენი სიზმარი აქვს ნანახი? რამდენის ნაოცნებარ-ნაფიქრალის საიდუმლოს ინახავს.... ტანსაცმლიანად მივძვრები საწოლში და უცემ სითბოს ვგრძნობ. დიასახლისს ცხელწყლიანი ბოთლიც ჩაუდია ფეხებთან. რა გინდა მეტი ბედნიერებისთვის...

ფანჯარაში ვხედავ... ბინდი ფეხაკრეფით მოიპარება და ნისლის საფარველს ჯიუტად ეჯაჯგურება...

თოვს...

მალე მოვლენ, ალბათ, და ატყდება თხილამურების ბათინკების ბრაგა-ბრუგი და ხმაური. მერე ჟოლოიანი ჩაის, თეთრი ზლის კომფოტიანი არყის სმა და დატრიალდება მოგონებათა თუ მომავალ გეგმათა კორიანტელი... მანამ კი დავიძინებ... ვიდრე ამ ხმაურმა ცეცხლის ტკაცა-ტკუცი არ ჩააქრო და ნაზუქების სურნელი არ გაანელა.

ძილი თავის ლაბირინთში მიმაქანებს და უკან მომსდევს დიასახლისის ხმა: „დიდი თოვლი მოვა, შეიძლება გზები ჩაიკეტოს“.... უკვე სიზმრიდან ვიღიმები

„რა ბედნიერებაა... მაგას რა სჯობია.... ნეტავი ჩაიკეტოს“..

თარგმანები

ანა ახმატოვა

* * *

მსურს წლის ყველაზე შავბნელ დღეებსაც
სხივმა ჩამოხსნას მძიმე საფარი,
შენი ტუჩები ისე ნაზია,
ვერ მიპოვნია სიტყვა სადარი.
გთხოვ, შენს ლურჯ თვალებს ნუ მომაგებებ,
ფერი რომ დაჰკრავს იაზე მუქი,
თორემ იცოდე, გადამიყოლებს
საბედისწეროდ ამ მზერის შუქი!
უადგილოა სიტყვა ყოველი,
ტოტები თრთვილის ირგებენ სამოსს,
და კაკანათი გაუჭიმია
ვიღაცას აქვე... მდინარის ახლოს

* * *

Самые темные дни в году
Светлыми стать должны.
Я для сравнения слов не найду
- Так твои губы нежны.
Только глаза подымать не смей,
Жизнь мою храня.
Первых фиалок они светлей,
А смертельные для меня.
Вот поняла, что не надо слов,
Оснеженные ветки легки...
Сети уже разостлал птицелов
На берегу реки.

* * *

სულს ამომართმევ ხმელი ბალახის თხელი ღეროთი,
სიმწარის გემო რომ დაჰყვება და ოდნავ გამღვრევს,
მე შენს სატანჯველს ჩემი მუდართით არ შევეწევი,
სულის სიმშვიდეს ეს მოლოდინი ვერაფერს ავნებს!
როცა მორჩები... მითხარი მაინც სევდად არა ღირს,
ჩემი სული ხომ აქ აღარ არის, სხვაგან ბინადრობს...
გზას გავუყვები, შორს სიარული როდი მომიწევს,
რომ ჩემი მზერა ბავშვების ხალას თამაშს მივანდო.
მსუყე ყვითელი ხურტკმლის მარცვლები აყრია ბუჩქებს,
და აგურები დაუწყვიათ გალავნის ახლოს,
ვინა ხარ? ძმა თუ საყვარელი, ვერ გამიგია.
არ მახსენდება, და თვითონ მიკვირს, რომ აღარც მახსოვს.
რა საოცარი სინათლეა, მიუსაფარი
ადგილი თითქოს მოღლილ სხეულის შვებად ქცეულა,
ალმაცერ მზერას გამვლელები ამაყოლებენ,
იტყვიან, „მართლაც გუშინდელს აქეთ დაქვრივებულა“.

* * *

Как соломинкой, пьёшь мою душу.
Знаю, вкус её горек и хмелен.
Но я пытку мольбой не нарушу.
О, покой мой многонеделен.

Когда кончишь, скажи. Не печально,
Что души моей нет на свете.
Я пойду дорогой недалней
Посмотреть, как играют дети.

На кустах зацветает крыжовник,
И везут кирпичи за оградой.
Кто ты: брат мой или любовник,
Я не помню, и помнить не надо.

Как светло здесь и как бесприютно,
Отдыхает усталое тело...
А прохожие думают смутно:
Верно, только вчера овдовела.

განშორება

სალამოს ბინდი იბუდებს ირგვლივ,
თავქვე ეშვება ბილიკი ვიწრო,
გუშინ ჯერ კიდევ მიჯნური გერქვა,
მთხოვდი: გახსოვდე, არ დამივიწყო!
ახლა აქ მხოლოდ ქარები ძრწიან,
ისმის მწყემსების გადაძახილი,
სუფთა წყაროსთან ჩუმად შფოთავენ
კედრები, თითქმის ცამდე აწვდილი

РАЗЛУКА

Вечерний и наклонный
Передо мною путь.
Вчера ещё, влюблённый,
Молил: «Не позабудь».
А нынче только ветры
Да крики пастухов,
Взволнованные кедры
У чистых родников.

* * *

საღამო ყვითელ შუქად ჩამდნარა,
შვებას მგვრის თითქოს აპრილის სუსხი,
რამდენი წელი გასულა თურმე,
მაგრამ შენს ნახვას ხალისით ვუცდი.
მოდი ახლოს და დამიჯექ გვერდით,
მზერა მხიარულ ნაპერწკლად გექცეს,
აი, ის ძველი ლურჯი რვეული,
ბავშვობის დროს რომ ვიწერდი ლექსებს.
გთხოვ, მაპატიე, თუ სევდა მღრღნიდა,
მზის სხივსაც ზოგჯერ ზურგს რომ ვაქცევდი
და იმისთვისაც ყველა მოსულში,
შენ რომ გეძებდი და გამსგავსებდი.

* * *

Широк и желт вечерний свет,
Нежна апрельская прохлада.
Ты опоздал на много лет,
Но все-таки тебе я рада.

Сюда ко мне поближе сядь,
Гляди весёлыми глазами:
Вот эта синяя тетрадь —
С моими детскими стихами.

Прости, что я жила скорбя
И солнцу радовалась мало.
Прости, прости, что за тебя
Я слишком многих принимала.

ისიც არ ვიცი, გემებო უნდა?
იქნებ, სულეთის შეხსენ კარები?
ეგებ საღამოს ნაცრისფერ ბინდში
უნდა ჩამოვკრა გლოვის ზარები?
დილის ლოცვასაც აღვავლენ შენთვის,
უძილო ღამის ცეცხლში ვენტები,
ღვივის სილურჯე ჩემი თვალების
ფრთათეთრი გუნდი ჩემი ლექსების,
შენ გახდი ჩემთვის რაღაც... სხვაგვარი,
მაგრამ გამტანჯე ყველაზე მეტად,
მასზეც, ვინც ტრფობის ალში მახვევდა.
მივიწყებისთვის ვინც გამიმეტა.

Я не знаю, ты жив или умер, –
На земле тебя можно искать
Или только в вечерней думе
По усопшем светло горевать.

Все тебе: и молитва дневная,
И бессонницы млеющий жар,
И стихов моих белая стая,
И очей моих синий пожар.

Мне никто сокровенней не был,
Так меня никто не томил,
Даже тот, кто на муку предал,
Даже тот, кто ласкал и забыл.

ნუთუ ცხოვრების კალაპოტმა მხარი იცვალა.
მგონი, დასასრულს მიეახლა ჩემი თამაში,
სად გაქრა ცივი ღამეები თეთრი ზამთრებით?
დილის ექვსზე რომ თავს ჩავრგავდი ძილის კალთაში...
სულ სხვა სიმშვიდე გაწოლილა ახლა ჩემს ირგვლივ,
და საცხოვრებლად შევხიზნივარ ველურ ნაპირებს,
ნუთუ დადუმდა ჩემი ბაგე, გულის ძირიდან
ერთ სიტყვის თქმასაც, საალერსოს აღარ აპირებს.
ვერც კი ვიჯერებ, სასწაული კარს მოგვდგომა,
მაღალ ბალახში ხალასი მწვანე ჩაირბენს დილას,
ხელისგულებით მზე გაარღვევს ღრუბლების სალტეს
და თბილი ტალღა გლუვ და გრილ ნაპირს ალოკავს ფრთხილად.
ბედნიერებით გათანგული, თავს რეტდასხმული
ასეთ სიმშვიდეს ველტვოდი ოდეს, თრთოლვით გულისა,
ეს გარინდება ისადგურებს, ასე მეგონა
სიცოცხლის ბოლოს, მოლოდინში აღსასრულისა.

Судьба ли так моя переменялась,
Иль вправду кончена игра?
Где зимы те, когда я спать ложилась
В шестом часу утра?
По-новому, спокойно и сурово,
Живу на диком берегу.
Ни праздного, ни ласкового слова
Уже промолвить не могу.
Не верится, что скоро будут святки.
Степь трогательно зелена.
Сияет солнце. Лижет берег гладкий
Как будто теплая волна.
Когда от счастья томной и усталой
Бывала я, то о такой тиши
С невыразимым трепетом мечтала,
И вот таким себе я представляла
Посмертное блуждание души.

* * *

იქ ჩამი ლანდი შემორჩა თითქოს
და იმ ოთახში დაიდო ბინა,
სად კედლებს ბაცი ლურჯი ფერი აქვს,
იქ დაივანა და მოიწყინა.
მოიწყინა და სათუთად კოცნის
ფრთხილი ამბორით ხატს მინანქრისას,
და ქალაქიდან მოწეულ სტუმრებს
მორჩილად უცდის შუალამისას.
სახლშიც ვერაა მთლა კარგად საქმე,
ცეცხლი სიბნელეს ვერ მოერია,
სიძე ცლის ღვინით პირსაცვს სასმისს
პატარძლის სახე სევდისფერია...
იქნებ, მიზეზი სულ სხვა რამეა,
სხვა რამის გამო სვამენ და დუმან..
მიტომ რომ თხელი კედლის გადაღმა
ვესაუბრები ჩემს ღამის სტუმარს.

* * *

Там тень моя осталась и тоскует,
Все в той же синей комнате живет,
Гостей из города за полночь ждет
И образок эмалевый целует.
И в доме не совсем благополучно:
Огонь зажгут, а все-таки темно...
Не оттого ль хозяйке новой скучно,
Не оттого ль хозяин пьет вино
И слышит, как за тонкою стеною
Пришедший гость беседует со мною?

* * *

ზოგი ალერსით დაბინდულ მზერას უჩუმრად ეტრფის,
ზოგი განთიადს ეგებება სავსე თასებით,
მე კი მთელ ღამეს თეთრად ვათენებ, რადგანაც ამ დროს
ჩემს გაუხედნავ და უძლებ სინდისს ვებაასები.
მივმართავ ასე: „შენ კარგად უწყი, ჩემი ტვირთი ხარ,
მძიმე, გარკვევით, ვითომ არ იცი, რამდენი წელი...
დრომ უკვე ჩემთვის კარგახანია აზრი დაკარგა,
აღარც სივრცეა ჩემთვის ამქვეყნად რაიმეს მოქმელი.”
კვლავ საღამოა და ქარვისფერი იძინებს ზეცა,
ავბედით პარკში ნელი ჭენებით გადარბის ცხენი,
ცის ღრმა თალიდან ნება-ნება იშლება ქარი,
ბედნიერების და სიხარულის ლაღად მომლხენი
მრავლისმჭვრეტელი თავს დამდგომია რქიანი მოწმე,
და გამალებით სადღაც მითითებს, გავყვე ეგების,
სადაც გზა უტყვად მიუყვება დაბინდულ ბილიკს
და შავბნელ წყალში ირევიან თეთრი გედები.

* * *

Одни глядятся в ласковые взоры,
Другие пьют до солнечных лучей,
А я всю ночь веду переговоры
С неукротимой совестью своей.
Я говорю: «Твое несу я бремя
Тяжелое, ты знаешь, сколько лет».
Но для нее не существует время,
И для нее пространства в мире нет.
И снова черный масленичный вечер,
Зловещий парк, неспешный бег коня.
И полный счастья и веселья ветер,
С небесных круч слетевший на меня.
Но зоркий надо мною и двурогий
Стоит свидетель. О! туда, туда,
Туда по Подкапризовой Дороге,
Где лебеди и мертвая вода.

დამშვიდობებას ჩვენ ვერ ვახერხებთ,
ჩუმად დავყვებით ერთურთს მხარდამხარ,
ბინდი ნელ-ნელა ჰაერში წვება,
ჩუმად მოგყვები, შენ ფიქრს გაღმა ხარ.
ტაძრის შევაღებთ უჩუმრად კარებს,
იქ ნათლობაა, ჩუმი გალობა,
უმზერო მზერით გავდივართ გარეთ,
ამგვარი შეგვრჩა უფლის წყალობა
ან ჩამოვსხდებით დატკეპნილ თოვლზე,
სასაფლაოზე მოვყვებით ოხვრას,
შენ ჯოხით ხაზავ თოვლზე პალატებს
სულეთში ჩვენთვის განკუთვნილს რომ ჰკავს.

Мы не умеем прощаться, –
Всё бродим плечо к плечу.
Уже начинает смеркаться,
Ты задумчив, а я молчу.
В церковь войдем, увидим
Отпеванье, крестины, брак,
Не взглянув друг на друга, выйдем..
Отчего всё у нас не так?
Или сядем на снег примятый
На кладбище, легко вздохнем,
И ты палкой чертишь палаты,
Где мы будем всегда вдвоем.

ველტვი ვარდებთან გარინდებას ერთადერთ ბაღში
ირგვლივ რომ არტყავს გალავანი, რაღაც სხვაგვარი,
აქ სტატუები ყმაწვილქალად მიცნობდნენ მაშინ,
როდესაც ნევა ჯერ კიდევ იყო მათი საფარი.
მეფურად მდგომი ცაცხვების ჩრდილში, მდუმარებაში
თითქოს ჩამესმის ძველი ანძების მძიმე ჭრიალი,
გედი მიაპობს წყლის ზედაპირს, თითქოს დროს სერავს,
და ორეულის ანარეკლის დაგავს ტრფიალი.
უკუნე მილით სძინავთ მეგობრებს და სძინავთ მტრებსაც,
ჩემს ირგვლივ მიწას დასდებია სისავსე ნაცრის,
აჩრდილთ მსვლელობას არ უჩანს ბოლო, მიაბიჯებენ
გრანიტის მძიმე ამფორიდან კარამდე ტაძრის.
იქ თეთრ ღამეებს ათენდებათ მალულ ჩურჩულში,
ვიღაცის ფაქიზ სიყვარულზე შფოთი არ წყდება,
ბზინავს ყოველი გიშრისა და სადაფის შუქით,
ნათებით, რომლის საიდუმლოს ვერვინ ჩასწვდება.

Я к розам хочу, в тот единственный сад,
Где лучшая в мире стоит из оград,

Где статуи помнят меня молодой,
А я их под невскою помню водой.

В душистой тиши между царственных лип
Мне мачт корабельных мерещится скрип.

И лебедь, как прежде, плывет сквозь века,
Любуясь красой своего двойника.

И замертво спят сотни тысяч шагов
Врагов и друзей, друзей и врагов.

А шествию теней не видно конца
От вазы гранитной до двери дворца.

Там шепчутся белые ночи мои
О чьей-то высокой и тайной любви.

И все перламутром и яшмой горит,
Но света источник таинственно скрыт.

მარინა ცვეტაევა

შეცდომა

ფანტელს, ჰაერში მონარნარეს, ანცად ფრთაგაშლილს,
ძირს რომ ეშვება ვარსკვლავივით სრიალ-სრიალით,
ხელს თუ შეახებ, შენს ხელისგულზე ცრემლად იქცევა,
ვეღარ გახდები მისი ფარფატის თანაზიარი...
მედუზას სხეულს, გამჭვირვალეს, თვალს რომ მოგტაცებს,
მავანს შემთხვევით ხელის შევლება თუ მოუნდება,
როგორც ტუსადი, გაკოჭილი პატიმარივით,
გაიცრიცება და უდაოდ დაილუპება.
ნუ შეეცდები ლამაზი პეპლის მუჭში მომწყვდევას,
და ნუღარც ლამობ სიცოცხლის აზრი მასში დაღანდო,
ეს სილამაზე თვალს და ხელს შუა ჩაგეწრიტება
და ხელისგულზე უცნაურ ფერფლად კრძალვით დაგათოვს.
დაე, იფრინონ პეპლებმა და თოვლის ფიფქებმა,
დე, ინებივრონ მედუზებმა წყლის ლურჯ უბეში,
რადგან ოცნებას ვერ შესწვდები ხელის ცეცებით,
რადგან ოცნებას ვერ მოიმწყვდევ ხელისგულეებში.
განა აზრი აქვს სევდას ჩაკირულს სთხოვო იფეთქოს,
კვლავ ამოდულდეს და აღტყინების მოვარდეს ტალღად?
იქნებ და მართლაც ეს სიყვარული შეცდომა იყო,
მაგრამ უმისოდ, სიცოცხლე, ჩემო, სიცოცხლეს არ ჰგავს.

ОШИБКА

Когда снежинку, что легко летает,
Как звездочка упавшая скользя,
Берешь рукой – она слезинкой тает,
И возратить воздушность ей нельзя.
Когда пленясь прозрачностью медузы,
Ее коснемся мы капризом рук,
Она, как пленник, заключенный в узы,
Вдруг побледнеет и погибнет вдруг.
Когда хотим мы в мотыльках-скитальцах
Видать не грезу, а земную быль –
Где их наряд? От них на наших пальцах
Одна зарей раскрашенная пыль!
Оставь полет снежинкам с мотыльками
И не губи медузу на песках!
Нельзя мечту свою хватать руками,
Нельзя мечту свою держать в руках!
Нельзя тому, что было грустью зыбкой,
Сказать: «Будь страсть! Горя безумствуй, рдей!»
Твоя любовь была такой ошибкой, –
Но без любви мы гибнем. Чародей!

* * *

ჩემ დიდ ქალაქში დამდგარა ღამე,
ვიხურავ კარებს მძინარე სახლის...
ხალხი ვერ ხვდება, ცოლი ვარ? შვილი?
მე მხოლოდ ღამის მივყვები ძახილს.
ივლისის ქარი ფეხდაფეხ მომსდევს,
ჩუმი მუსიკა ფანჯრიდან მესმის,
განთიადამდე იქროლებს ქარი,
გულის თხელ კედლებს იოლად შეხსნის.
შავი ჭადრები, შუქი სარკმელში,
ხელში ფერი და ზარი სამრეკლოს...
ნაბიჯი უტყვი, ჩრდილი არ ჩემი,
მოულოდნელად გზას რომ დაეგო.
სინათლე ოქროს მარცვლების მსგავსი
და გემო ღამის მთვლემარე ფოთლის
ჩემი ხატება, ჯაჭვდაწყვეტილი,
გახსოვდეთ, მხოლოდ სიზმარში მოდის.

* * *

В огромном городе моем – ночь.
Из дома сонного иду – прочь
И люди думают: жена, дочь, –
А я запомнила одно: ночь.

Июльский ветер мне метет – путь,
И где-то музыка в окне – чуть.
Ах, нынче ветру до зари – дуть
Сквозь стенки тонкие груди – в грудь.

Есть черный тополь, и в окне – свет,
И звон на башне, и в руке – цвет,
И шаг вот этот – никому – вслед,
И тень вот эта, а меня – нет.

Огни - как нити золотых бус,
Ночного листика во рту – вкус.
Освободите от дневных уз,
Друзья, поймите, что я вам – снюсь.

* * *

თქვენ უცაბედად გვერდს რომ ჩაუვლით
ჩემს ეშხს უცნაურს, ერთობ სადაოს...
ნეტავ, იცოდეთ ჩემს გულში ცეცხლი
როგორ ღვიოდა, მაგრამ ამაოდ.
და რა გმირული სულისკვეთებით
მაკრთობდა ჩქამიც, ჩრდილიც გამსხლტარი.
ტყუილუბრალოდ იფეთქა დენტმა,
გულის სანაცვლოდ დარჩა ნაცარი,
ღამით მიჰქროდნენ მატარებლები
და ძილს ვაგზლისკენ ერეკებოდნენ.
სხვები კი ადრე, ვისაც ვახსოვდი,
უკვე ვერც მცნობდნენ, უცხოდ მხვდებოდნენ.
ჩემი სიტყვები იყო პირბასრი,
და პაპიროსის კრთებოდნენ კვამლში,
რამდენი დარდი, უძირო სევდა,
ზვავად ჩამოწვა ჩემს ქერა თავში.

* * *

Вы, идущие мимо меня
К не моим и сомнительным чарам, –
Если б знали вы, сколько огня,
Сколько жизни, растроченной даром,

И какой героический пыл
На случайную тень и на шорох...
И как сердце мне испепелил
Этот даром истраченный порох.

О, летящие в ночь поезда,
Уносящие сон на вокзале...
Впрочем, знаю я, что и тогда
Не узнали бы вы – если б знали –

Почему мои речи резки
В вечном дыме моей папиросы, –
Сколько темной и грозной тоски
В голове моей светловолосой.

მარია პეტროვიხი

გთხოვ, შესახვედრად გამიხმე სადმე,
დრო ამ ასწლეულს ჩამარცვლავს ვიდრე,
უსიყვარულოდ ვერ შევძლებ სუნთქვას,
გამიხსენე და მომიხმე კიდევ!
სად გული ძახილს ეხმიანება,
სადმე სამხრეთის მყუდრო ქალაქში,
სად ზღვა შვიდფერი სილურჯით ღელავს,
ქარს გორაკებთან უყვარს თამაში...
ის იდუმალი შეხვედრა გახსოვს?
გზის განაპირას... ჩვენ ორნი ერთად
სად სახლებს შორის, ვიწრო ქუჩებში
არარუსული აქცენტი ჟღერდა..
ყოვლად უსახურ, ნაცრისფერ გზაზე,
რკინა და შუშა ნაგვის საყრელთან,
შუქს გამოსცემდა ალმასისებურს
თითქოს ოცნების სუნთქვას ამხელდა,
გახსოვს იმ ცის ქვეშ ჩუმი ამბორი?
გზა ხრამის პირას გარბოდა მკვირცხლად,
და არსებობა შენი ჰაერად
და ჩემი ყოფის საზრისად იქცა!
წლები ბზრიალით აიშლებიან,
და სადმე ჩიხში ბროწეულისა,
დედამიწაზე შევეფარები
იდუმალ სითბოს შენი სულისა.
და ვიდრე გვესმის და სული გვიდგას,
ვიდრე ვსუნთქავთ და ერთმანეთს ვხედავთ,
ცრემლდამდულრული გემუდარები:
მომეცი ნება შეხვედრის შენთან!
სადაც ისურვებ, თუნდ ერთი წამით
ყვითელ გრიგალში, ხალხის მორევში
მე სუნთქვა მიჭირს, მუდარით გიხმობ

ვით ხსნას ერთადერთს, სიმარტოვეში!
ვიდრე სიკვდილი ხელში საბელით,
შემეგებება გრგვინვით ზარების...
გთხოვ, შესახვედრად მომიხმე შენთან
ღრმა სილურჯეში შენი თვალების!

* * *

Назначь мне свиданье
на этом свете.
Назначь мне свиданье
в двадцатом столетье.
Мне трудно дышать без твоей любви.
Вспомни меня, оглянись, позови!
Назначь мне свиданье
в том городе южном,
Где ветры гоняли
по взгорьям окружным,
Где море пленяло
волной семицветной,
Где сердце не знало
любви безответной.
Ты вспомни о первом свидании тайном,
Когда мы бродили вдвоём по окраинам,
Меж домиков тесных,
по улочкам узким,
Где нам отвечали с акцентом нерусским.
Пейзажи и впрямь были бедны и жалки,
Но вспомни, что даже на мусорной свалке
Жестянки и склянки
сверканьем алмазным,
Казалось, мечтали о чём-то прекрасном.
Тропинка всё выше кружила над бездной...
Ты помнишь ли тот поцелуй

поднебесный?..
Числа я не знаю,
но с этого дня
Ты светом и воздухом стал для меня.
Пусть годы умчатся в круженье обратном
И встретимся мы в переулке Гранатном...
Назначь мне свиданье у нас на земле,
В твоём потаённом сердечном тепле.
Друг другу навстречу
по-прежнему выйдем,
Пока ещё слышим,
Пока ещё видим,
Пока ещё дышим,
И я сквозь рыданья
Тебя заклинаю:
назначь мне свиданье!
Назначь мне свиданье,
хотя б на мгновенье,
На площади людной,
под бурей осенней,
Мне трудно дышать, я молю о спасенье...
Хотя бы в последний мой смертный час
Назначь мне свиданье у синих глаз.

* * *

სხვენზე აძვერი შენ თვითონ მარტო,
სიჩუმე სუფევს აქ, მტვრადქცეული,
და ბინდი კრთება აბლაბუდებში,
ჩამარხული და მიტოვებული.
მზით გადამწვარი სახურავების
მხურვალეობა მკლავს და ვით ჰამაკი,
ტკბილად მაქანებს, ღამურა ყვინთავს
და ძველმანებში კრთება ღარნაკი.
გატეხილია, მერე რა... თუკი
თვალს ვერ ვაცილებ, ცქერით ვერ ვძლები,
ნახევრადშიშველ მოქნილ სხეულებს
ყურძნის აყრია მსხვილი მტევნები.
შემდეგ? სიბნელე ჩასაფრებული,
ძრწოლით რომ ყველა კუნჭულს ავსებდა
და ის... რაღაცა... რა ერქვა... მზერით
ყველგან ჯიუტად თან რომ დაგვსდევდა?
კედელზე თითქოს რაღაც მოძრაობს
ახლოს მისვლასაც ვეღარ ვითავებ
მგონი, ისკუპა, მე კი შორსა ვარ
და ამ სირბილში მუხლებს ვიტყავებ.
ტყეც კარგად მახსოვს, ჯაგნარი ხევში,
თანამზრახველნი ჩემი ანცობის
მაგრამ შენ მაინც სულ სხვა ხარ, სხვენო,
სულ სხვა მოწმე ხარ, ჩემი ბავშვობის.

* * *

А на чердак – попытайся один!
Здесь тишина всеобъемлющей пыли,
Сумрак, осевший среди паутин,
Там, где когда-то его позабыли.
От раскаленных горячечных крыш
Сладко и тошно душе до отказа.
Спит на стропилах летучая мышь,
Дремлет средь хлама садовая ваза.
Ваза разбита: но вижу на ней,
Не отводя восхищенного взгляда, –
Шествие полуодетых людей
С тяжкими гроздьями винограда.
Дальше – слежавшаяся темнота,
Ужасы, что накопились годами,
Дрема, и та, без названия, – та,
Что отовсюду следила за нами.
Нет, я туда подойти не смогу.
Кто-то оттуда крадется по стенке,
Прыгнул!.. Но я далеко, – я бегу,
Падаю и расшибаю коленки...
Помню и лес, и заросший овраг, –
Было куда изумлению деться.
Все – незабвенно, но ты, чердак,
Самый любимый свидетель детства.

იოსებ ბროდსკი

წერილი კედელს

მიხედე ჩემს ჩრდილს, მენდე, ვერაფერს ვეღარ აგიხსნი,
განგებამ ახლა ასე ისურვა... გთხოვ, მაპატიო,
შენს მიღმა შფოთის მორევი თითქოს ბზრიალს ანელებს
შენ აქ დარჩები, მე კი ჩემს გზაზე უნდა გავწიო...
გემშვიდობები, გზად გავუყვები ბუჩქებს თავდახრილს,
ძილს მისცემიან შენობები, მთვარის იმედად,
მე საუკუნოდ შევინახავ ამ ღამის ხსოვნას,
ზურგსუკან რაღაც უნდა გვებადოს... ნუ გეწყინება.
მიხედე ჩემს ჩრდილს და ამ ნაწერებს ნულარ გადაშლი,
არ დავბრუნდები, სიკვდილთან შეყრა აქ არ ეგების,
შენც არ მომიხმობ! და თუკი ვინმე შევებას გამოგთხოვს,
ვიცი, რომ შენი წრფელი ღიმილით შეეგებები.
ადამიანი, თითქოს სფეროა, სული კი – ძაფი...
სინამდვილეში თვალს არ გაშორებს პირმშო უცნობი,
თუ ხელს გაუშვებ, უმაღლ ჰაერში დაეკიდება,
თავბრუს დაგახვევს თითქოს ბავშვური ანცი ურჩობით,
შენ შემომყურებ, მე თავდაყირა ვეშვები ქვემოთ,
აზრი ათასი, სევდა, სიბნელე, ცრემლი იელვებს,
წუთების ღვარით გათანგული კედლის საათი
ტალღებს მიაპობს ნავში ჩამკვდარი სიცარიელე.
და ოქროს მთვარე აგურის ციხის თავზე შემდგარი,
თავისუფლებას მარტოობის ვუხმობ კედელთან,
ყრუ სიჩუმეში ნაბიჯების როყიო ყეფა
სულს ვეღარ ვითქვამ, თითქოსდა სუნთქვა, მიწყდა, შენელდა
სრულ სიბნელეში მივმართავ კედელს, მინდა გავენდო:
„ბიჭუნას განდობ, იქნებ, როგორმე მაინც გახედნო!“
არ მსურს სიკვდილი, ჩემი გონება მას ვერ ჩასწვდება,
გულს ნუ დამიფრთხობ, წყვდიადს უძიროს ვერ შევეხლები
არ მსურს სიკვდილი, იქნებ, უგნური გავჩნდი ამქვეყნად.
შავბნელ უკუნეთს, ვიცი, ვერასდროს ვერ შევეყრები!

მხოლოდ სიცოცხლე, მხოლოდ სიცოცხლე! შენი სიგრილე ჩემს მხარზე წვება, მშვიდად ვადუმებ აშლილ იმედებს მხოლოდ სიცოცხლე, სხვა ყველაფერმა დაკარგა აზრი.. არ მსურს სკვდილი, ჩემს თავს სამსხვერპლოდ ვერ გავიმეტებ! მაშ, დამიძახე, ჰა... რაღას უცდი, შენ ხომ გჩვევია, ყვირილიც... ლანძღვაც... უხვად დამაყრი შიშის ბორკილებს, თორემ მე თვითონ გულის ძირიდან ამოვიღმუვლებ, ცარიელ სივრცეს შევერები, ცად ვიბოგინებ. შენ მართალი ხარ... რაღაც ზურგსუკან უნდა გვებადოს და რა კარგია, რომ ყველაფერი წყვილია ჩარჩა, არც ვიღაც უცხო... ლურჯი შლეიფის მხარზე ფრიალით აღარც სული და არც სხეული აღარსად არ ჩანს. და ჩემი ჩრდილი, მზით გამთბარი, ფეხზე იწევა აგურით ნაგებ სადა კედელზე უხმოდ ირწევა... სევდა განგვიდგა თუ მომავლის ბილიკებს ირჩევს რუსი ხალხია, თუ სიყვარულს ქადაგებთ რიხით რა სჯობს, თუ მაინც გამონახავთ რაღაც საერთოს, დასჯა სიკვდილით, ასე მგონია, არაფრად გიღირთ, შენს მიღმა ციხე, ჩემს ზურგსუკან ჩემი ჩრდილია, ღამე გასულა, დღე მოაბიჯების თეთრი სიახლით, მიღზე მიმცოცავს რიჟრაჟის სხივი ღია ყვითელი, გთხოვ, ჩემი ჩრდილი სადმე ჩამალო, შენს გრილ წიაღში.

ПИСЬМА К СТЕНЕ

Сохрани мою тень. Не могу объяснить. Извини.
Это нужно теперь. Сохрани мою тень, сохрани.
За твоею спиной умолкает в кустах беготня.
Мне пора уходить. Ты останешься после меня.
До свиданья, стена. Я пошел. Пусть приснятся кусты.
Вдоль уснувших больниц. Освещенный луной. Как и ты.
Постараюсь навек сохранить этот вечер в груди.
Не сердись на меня. Нужно что-то иметь позади.

Сохрани мою тень. Эту надпись не нужно стирать.
Все равно я сюда никогда не приду умирать,
Все равно ты меня никогда не попросишь: вернись.
Если кто-то прижмется к тебе, дорогая стена, улыбнись.
Человек – это шар, а душа – это нить, говоришь.
В самом деле глядит на тебя неизвестный малыш.
Отпустить – говоришь – вознестись над зеленой листвой.
Ты глядишь на меня, как я падаю вниз головой.
Разнобой и тоска, темнота и слеза на глазах,
изобилье минут вдалеке на больничных часах.
Проплывает буксир. Пустота у него за кормой.
Золотая луна высоко над кирпичной тюрьмой.
Посвящаю свободе одиночество возле стены.
Завещаю стене стук шагов посреди тишины.
Обращаюсь к стене, в темноте напряженно дыша:
завещаю тебе навсегда обуздать малыша.
Не хочу умирать. Мне не выдержать смерти уму.
Не пугай малыша. Я боюсь погружаться во тьму.
Не хочу уходить, не хочу умирать, я дурак,
не хочу, не хочу погружаться в сознание во мрак.
Только жить, только жить, подпирая твой холод плечом.
Ни себе, ни другим, ни любви, никому, ни при чем.
Только жить, только жить и на все наплевать, забывать.
Не хочу умирать. Не могу я себя убивать.
Так окрихни меня. Мастерница кричать и ругать.
Так окрихни меня. Так легко малыша напугать.
Так окрихни меня. Не то сам я сейчас закричу:
Эй, малыш! – и тотчас по пространствам пустым полечу.
Ты права: нужно что-то иметь за спиной.
Хорошо, что теперь остаются во мраке за мной
не безгласный агент с голубиным плащом на плече,
не душа и не плоть – только тень на твоём кирпиче.
Изолятор тоски – или просто движение вперед.
Надзиратель любви – или просто мой русский народ.

Хорошо, что нашлась та, что может и вас породнить.
Хорошо, что всегда все равно вам, кого вам казнить.
За тобою тюрьма. А за мною – лишь тень на тебе.
Хорошо, что ползет ярко-желтый рассвет по трубе.
Хорошо, что кончается ночь. Приближается день.
Сохрани мою тень.

* * *

რა არის შემდეგ? რა და ზამთარი...
მე ვიდრე ვწერდი, კედლებს გამთბარი
სული აართვა სიგრილემ თითქოს..
ძველი ონკანიც შარშანდელივით
ხელის შევლებას და შევლას ითხოვს.
და ისიც ვიცი, ამასთანავე
ფანჯრის ჩარჩოებს ბამბით გმანავენ,
მაშ, ამკარაა, ჩავჯდები სახლში
და ცას მოჭედოდას მივაპყრობ მზერას
და ოქტომბრის თვის გრილი ნიავი
სარკმლიდან ფრთხილად დაიწყებს დენას.
ზამთრის პირს რაღაც იცვლება ყველგან,
ჩვენს გონებაშიც რაღაცა ხდება,
და ეკლესიის ბაღის გადაღმა
სახურავების გავეყურებ წყებას...
მზით ფერგადაცლილს, გამოხუნებულს
და ვგრძნობ ფორიაქს, ღელვას უნებურს,
იმ მოლოდინის გამო, რაც ახლავს
ცით ჩამობარდნილ ფანტელთა ტალღას

* * *

Что далее. А далее – зима.
Пока пишу, остывшие дома
на кухнях заворачивают кран,
прокладывают вату между рам,
теперь ты домосед и звездочет,
октябрьский воздух в форточку течет,
к зиме, к зиме все движется в умах,
и я гляжу, как за церковным садом
железо крыш на выцветших домах
волнуется, готовясь к снегопадам.

Иосиф Бродский

Отрывок из поэмы «Шествие».

ალექსანდრე ბლოკი

წლები გავიდა, მაგრამ შენ ისევ ისეთად დარჩი,
სულ ოდნავ მკაცრი, კდემამოსილი, სინათლით სავსე,
რა მოხდა... თმები შეგითხელდა და სულ ესაა
და ალაგ-ალაგ თმას ვერცხლისფერი სირმები გასდევს.
მეც წიგნის გროვას ვადგავარ თავზე... ხმელი, მაღალი,
მხრებში მოხრილი, აწ ბერიკაცად ქცეული უკვე,
და ერთი აზრი მოსვენებას მიკარგავს დღესაც –
შენს მშვიდ ხატებას, როცა მაღალი ალერსით ვუმზერ.
წლები გავიდა, მაგრამ ჩვენ თითქოს არცკი შევცვლილვართ,
ისევე ვსუნთქავთ, ისევე ვცხოვრობთ, როგორაც უწინ,
ხანდახან ავშლით მოგონებების ფრთამალ იალქნებს,
და თვალს შევავლებთ ბაც ფერფლს დაპენტილს მაღალი ურნის.
ჩვენი სულები, სხივჩამდგარნი, ლაჟვარს ელტვიან
და, რაც დრო გადის, მით უფრო მძაფრი ტკივილით ვხვდები
როგორი შვების მომგვრელი და თბილი ყოფილა
ძველი სურნელი უკვე ჩავლილი ცხოვრების წლების.

Прошли года, но ты – всё та же:
Строга, прекрасна и ясна;
Лишь волосы немного глаже,
И в них сверкает седина.

А я – склонён над грудой книжной,
Высокий, сгорбленный старик, –
С одною думой непостижной
Смотрю на твой спокойный лик.

Да. Нас года не изменили.
Живём и дышим, как тогда,
И, вспоминая, сохранили
Те баснословные года...

Их светлый пепел – в длинной урне.
Наш светлый дух – в лазурной мгле.
И всё чудесней, всё лазурней –
Дышать прошедшим на земле.

სერგეი ესენინი

საღამომ თურმე მოირთხა ფეხი,
ჰინჰარს მძივებად აუსხამს ცვარი,
გზის გასაყარზე ერთურთს შემოვრჩით
მე და ტირიფი, მწუხარედ მდგარი.

მთვარის ნათელი, მკრთალი და ლალი
ჩვენს სახურავზე გადაწოლილა,
ჩემს ყურთასმენას ბულბულის სტვენა
სწვდება ფაქიზად, არცთუ შორიდან.

ვით ბუხრის სითბო, ზამთრის საღამოს,
მღვენთავს სიამით, შვებით ვილევი,
არყის ხეები ჩამდგარან მწკრივში
ვით კელაპტრები, ჩამოქნილები.

და შორიახლოს, მდინარის მიღმა,
ჩასძინებია დარაჯს და ამ დროს
მისი კონდახის ჩუმი კაკუნი
ღამის სიშვიდეს აფრთხოვს და აკრთოვს.

Вот уж вечер. Роса
Блестит на крапиве.
Я стою у дороги,
Прислонившись к иве.

От луны свет большой
Прямо на нашу крышу.
Где-то песнь соловья
Вдалеке я слышу.

Хорошо и тепло,
Как зимой у печки.
И березы стоят,
Как большие свечки.

И вдали за рекой,
Видно, за опушкой,
Сонный сторож стучит
Мертвой колотушкой.

* * *

დღე დაქანცული ღამისკენ იწევს,
მღვრიე ტალღის ხმაც მინელდა თითქოს,
მზე ჩაესვენა და დედამიწა
ფიქრიან მთვარის მიენდო სითბოს.

გაშლილა ველი და ნაკადულის
მშვიდი ჩურჩულის სმენად ქცეულა,
და ტყე შავბნელი თვლემს და ნეტარებს,
ბულბული უსტვენს სადღაც ეულად.

სიმღერის ჰანგზე მდინარე ნაპირს
აღერსით ეკვრის, ტრფობით ვერ ძღება
და ნაპირები ანცი ჩურჩულით
ტოკავენ წყლის პირს აშლილ ლერწმებად.

* * *

Усталый день склонился к ночи,
Затихла шумная волна,
Погасло солнце, и над миром
Плывет задумчиво луна.

Долина тихая внимает
Журчанью мирного ручья.
И темный лес, склоняся, дремлет
Под звуки песен соловья.

Внимая песням, с берегами,
Ласкаясь, шепчется река.
И тихо слышится над нею
Веселый шелест тростника

ბელა ახმადულინა

(ზღაპარი წვიმის შესახებ)

სისხამ დილიდან მომაგნო წვიმამ
– შემეშვი! ხელებს ვიქნევდი ჩხუბით,
უკან იხევდა, მაგრამ არაფრით
აღარ მტოვებდა არც ერთი წუთით.
ცხელოდა, ღმერთო, გულის წასვლამდე
არვის დასდევდა წვიმა ამგვარად
ბავშვები ხტოდნენ ჩემს ირგვლივ მკვირცხლად
თითქოს სარწყავი ვიყავ მანქანა.
კაფეში შესვლით ჭკუა ვიხმარე,
მაგიდის მიღმა მივყურდი წყნარად,
წვიმა ფანჯარას ობლად აეკრო
ჩემთან მოხვედრა შუშიდან სცადა,
გამოვედი და სილაც ვიწვნიე,
მან სველი ხელი ლოყაზე დამკრა,
მაგრამ ტუჩებთან მოულოდნლად
პატარა ლეკვის სურნელი ამყვა.
რა სასაცილო ვიყავი, ალბათ,
ყელს ხილაბანდი სველი შემორჩა,
და გაოცებით უმზერდა ყველა
წვიმას, ჩემს მხარზე კოხტად შემომხტარს.
გახარებული ჩემი სისუსტით
წვიმა ჩემს ჩურჩულს ყურთან არ წყვეტდა
და გარეთ სიცხის მიუხედავად
სისველისაგან ტანში მამტვრევდა.
მიმიპატიჟეს ერთ სახლში სტუმრად
დიდი პატივი უნდა მრგებოდა.
სად დიდი ჭადი, ვით სავსე მთვარე,
ყვითელ პარკეტზე ირეკლებოდა.
მე თავს ვიმტვრევდი, რადგან წვიმისგან
თავი ვერაფრით ვერ დამედწია,
დაასველებდა ხალიჩებს ყველგან,
ამას მთლად გარეთ ყოფნა მერჩია.

ვცადე, ამეხსნა სიკეთის აზრი,
თითქოს სულ ყველგან დავსვი წერტილი,
წვიმა კი იდგა შემომყურებდა
როგორც ობოლი და განდეგილი.
გული მომიკვდა, ჯანდაბას შენს თავს!
ეს რა უაზრო გავები შარში,
ეს გავიფიქრე და წვიმა მყისვე
ჩემს წინ გადახტა და ჩადგა კარში.
რა გითხრათ, ვითომ ვიყავი ღირსი?
სახლის პატრონმა მიმიღო კრძალვით
და ზუსტად 6-ზე, როგორც მელოდნენ,
კარზე შემკრთალმა დავრეკე ზარი.
წვიმა ჩემს უკან ატუზულიყო
და გულსაკლავად სუნთქავდა ახლა,
ფეხის ნაბიჯებს დუმილი მოჰყვა
და მე გამოვტყედი, რომ წვიმა მახლდა!
თუ ნებას მომცემთ, აქვე დარჩება,
სველია ვიცი, თქვენ თვითონ ნახეთ...
„მართლა“ – მომიგო გაოცებულმა
და მივხვდი, როგორ ეცვლება სახე.
გამოგიტყდებით, მხიბლავდა მეტად
ჰაეროვნება ამ უცხო სახლის,
არსად გაჰკრავდით არაფერს იდაყვს,
არ გეშინოდათ თითების დაჭრის,
და აბრეშუმის ფრთხილი შრიალი
სმენას ატკობდა, შარფების ღელვა...
და კარადაში მიძინებული
ბროლის სასმისთა იდუმალეზა.
შვიდი საათი შესრულდა. შუშის
კუბოში მწოლი... და ფერი ვარდის
მე გონს მოვედი, რიტუალი და
სპექტაკლის ბოლო, დახურვა ფარდის.
დიასახლისი ცდილობდა მეტად,
რომ დროსთან ერთად ფეხდაფეხ ევლო,

მაგრამ ვერაფრით თოკავდა გრძნობებს
 და ცდა რჩებოდა მთლად უსარგებლოდ.
 – როგორ ბრძანდებით, მკითხა ქედმაღლად,
 მადლობა ვუთხარ, ბრაზით ფარულით,
 გრძნობა შემექმნა, თითქოს ტალახში
 ვიყავ ყელამდე ამოგანგლული,
 ანდა მინდოდა, სრული სიმშვიდით
 თავი დამეკრა და ასე მეთქვა:
 „ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ
 და დღეს მახარებს შეხვედრა თქვენთან.“
 „მინდა დაგტუქსოთ, – მომიგო უმალ,
 მათგებს თქვენი გამბედაობა,
 ამ სიშორეზე, თან ამ ამინდში
 როგორ შესძელით ჩვენთან ჩამოსვლა?“
 და უცნაური მოხდა ამბავი
 წამოიშალნენ ყველანი ერთად,
 ერთხმად შესძახეს: “სულმთლად სველია!
 დაუყოვნებლივ მიუშვით ცეცხლთან!”
 წინათ მუსიკას ააჟღერებდნენ
 და დაფდაფების ცემას ასტებდნენ,
 და წყევლა-კრულვით დიდ მოედანზე
 ბრიალა ცეცხლში შემძახებდნენ.
 ყველაფრისათვის – წვიმისთვის, მანამ
 რაც იყო მერე, მე პასუხს ვაგებ,
 ორი ნახშირის მუქი თვალისთვის
 და სიტყვებისთვის, რაც დასცდა ბაგეს.
 სალამი შენდა, ცეცხლო ბრიალავ,
 შენს ფერად ალებს ჩემს მკლავებს ვუწვდი,
 და ეს ალერსი მახელებს, წვიმავ,
 და შენს ნოტიო მწველ ამბორს ვუცდი.
 სახლის პატრონმა წარბი აზიდა:
 „უცნაურად ჟღერს თქვენი მსჯელობა...
 თუმცა... ვინ იცის, ახალ თაობას
 თან სდევს თავისი მომხიბვლელობაც.“

„ყურს ნუ დამიგდებთ, მგონია, ვბოდავ
 და ვფიქრობ, ბრალი მიუძღვის წვიმას,
 მთელი დღე მსდია, როგორც დემონმა
 გონების აშლას ვაბრალებ იმას.”
 მოულოდნელად მოვკარი თვალი
 სარკმელთან ჩუმად ტიროდა წვიმა,
 და მისი კვალი, ობოლი ცრემლი
 ჩემს ორთავ თავლში გაგორდა ფრთხილად.
 ერთმა სტუმარმა ჭიქა ასწია,
 და ქედმაღლობის მტყორცნა ისარი,
 ამპარტავანი ტონით იკითხა:
 „მართლა ქმარი გყავთ ასე მდიდარი?”
 „გულწრფელად გითხრათ, არ ვიცი, რა თქვა
 მაგრამ თქვენ სხვებთან მაინც არ გამთქვათ!
 ვგონებ ასეა, თუმც უნდა გითხრათ
 გულის გადახსნა სულ მქონდა ფიქრად,
 რომ ჯადოქრობის ძალა შთავებერე,
 და არად უღირს ჩემს ქმარს მას მერე
 ნებისმიერი საგნის გარდაქმნა,
 გინდათ ცხოველად, თუნდაც ბალახად
 და, თუკი გჯერათ და თუ მზადა ხართ
 იქნებ, ბეჭედი მიბოძოთ თქვენი...”
 მაგრამ სტუმარი, ბუნებრივია,
 არ აპირებდა ბეჭდის მოცემას
 მზერა მარიდა და მყისიერად
 ფრთები შეაჭრა აშლილ ოცნებას.
 „ჰო... კიდევ ერთი, სიკვდილი, ალბათ,
 მომისწრებს სადმე ღობის მახლობლად.”
 (რა სისულელეებს ვჩინახავდი, ღმერთო)
 ეს წვიმა იყო... ჩემში სახლობდა.
 ოჰ, წვიმავ, მალე მოვიცლი შენთვის!
 ახლა სხვა სტუმარს გაუჩნდა კითხვა
 „უფალი თავის რჩეულებს ირჩევს
 რა გზით და როგორ? ეგება, მითხრათ?”

„უფალი მოდის თავისი ფეხით
აღერსით სავსე და მხიარულად,
წააგავს მეტად მოხუც პროფესორს
და შუბლზე მბრუნს აცხებს ფარულად,
მერე კი აღმა და წაღმა ფრენა
კანგადამსკდარი მკერდით, მკლავებით,
საავადმყოფოს თეთრი ზეწრები,
გადაყვლეფილი მუხლისთავეები...”
ამ დროს სტუმართა გულის საამოდ
რალაც ხდებოდა ოთახის კართან,
და უცებ, როგორც თეთრი მაქმანი,
ბავშვთა ღრუბელი შემოფარფატდა.
დიასახლისი, მივხვდი, ხარობდა.
და მე ვიგრძენი სინდისის ქენჯნა,
რადგან ვტყუოდი, ჩემს ცუდ საქციელს
ახსნა არ ჰქონდა, არ უნდა მექნა!
ბავშვი კი იყო ხორცშესხმა მისი,
და ჩამოქნილი ფაქიზად მეტად,
დედა კლდესავით მყარი და მტკიცე,
და აზიდული შეუვალ სვეტად!
წვიმა მირჩევდა ბოდის მოხდას,
და მეც ვტიროდი მხურვალე ცრემლით,
და პატიებას შევთხოვდი გულით.
ყოვლად გულწრფელად, საკუთარ ნებით.
აქ ბავშვთა უცბად გამოჩნდა გუნდი,
და გამოცხადდა ნომრის დაწყება,
ვაშლის ხისაგან ხომ გახსოვთ ვაშლი
თითქმის არასდროს შორს არ ვარდება!
ბავშვების ჟღურტულს ყური მივუგდე,
ღალატი აზრად არ მომდიოდა,
სახლი კი იყო ზედმეტად მყუდრო
ბუხრის წყალობით კარგად თბილოდა,
ზურგთან სიცივის ვიგრძენი სუნთქვა,
ორი მახვილი ფრთების წახნაგის,

და კანმა მგონი ახორკვლა იწყო,
დამაწყებინა თითქოს ცახცახი.
დიასახლისი დასწვდა თხელ სასმისს
და კონიაკით შეავსო ჩემთვის,
ვხედავ, შეგცივდათ ახლოს მოიწით
ბუხართან, უცებ გაგათობთ ცეცხლი.
დიასახლისმა იკივლა უცებ.
ზურგი ყინულმა გადამისერა,
ქათქათა ჭერი უცებ აჭრელდა,
დიდი ლაქებით, ფორთოხლისფერად.
და ჩამოინგრა გრუხუნით ჭერი,
წვიმა დაასკდა ქარვისფერ პარკეტს,
არ მოელოდა არავინ ირგვლივ,
ასეთ თავდასხმას, ნიაღვარს ასეთს...
დასდევდნენ ცოცხით, ჯაგრისით, ჩვრებით
ის კი სულ ყველას თავგზას ურევდა,
და მიძინებულ ბროლის სასმისებს
შხეფებს ესროდა, ახმაურებდა...
წვიმა იბრძოდა, იწევდა ჩემსკენ,
ვერ ერეოდნენ მის ნაკადს უძლევს
კაცები შარვლის ტოტებს იწევდნენ
და ბაკა-ბუკი გაჰქონდა ქუსლებს,
წვიმა ხალისით ცეკვავდა, ხტოდა
და უძვრებოდა ყველას ხელიდან,
მის დასაჭერად გამოდევნებულთ
მანც დაუძვრა, გამოერიდა.
მაგრამ ცოტა ხნით, ვაი, რომ ბადის
ყულფებმა ნელა დაიწყეს შეკვრა,
და მალე წვიმის ანცი ხმაური
ტაშტებში ჩაკლეს ვეება ჩვრებმა...
და უმოწყალოდ წურავდნენ, წმენდნენ
და ფეხსალაგში ასხამდნენ ზიზღით,
ხმის ჩახლეჩამდე ვყვიროდი: „წვიმა,
მხოლოდ ჩემია, ნუ ბილწავთ სისხლით!”
„შენ პასუხს აგებ, კარგად გახსოვდეს!”
ჩაისისინა სახლის პატრონმა.

სიცილი წამსკდა: „ვაგებ ნამდვილად,
თქვენ არ იდარდოთ, კარგად მახსოვხართ!
გთხოვთ, გზა მომეცით, ნეტა თუ იცით,
პიროვნება ხართ, ერთობ უღირსი!“
ჩემს დანახვაზე ხალხი კრთებოდა,
მხვდებოდნენ მზერით რალაცნაირით,
ჩუმიად ვამბობდი: დამტოვეთ მარტო!
არაფერია... ესეც გაივლის...
სულგამოხრული მაშინლა მივხვდი,
ერთგულმა წვიმამ მომაგნო აქაც!
შემშრალ ასფალტზე ნაზად ვკოცნიდი
წყლის ციციქნა წვეთის შეუმშრალ ლაქას.

* * *

ყველაფერი ჯერ წინა გაქვს,
სიჭაბუკე შენია...
მეკითხები: „კართან ვინ დგას“?
შენთან მომირბენია.
ეს მე ვარ და დაუჩქარე,
გთხოვ, გამიღე კარები,
ეს რას ვხედავ –
რა ბებრულად ჩამოგყრია მკლავები...
მოგინახე მეგობარი,
ტოტი ფოთოლს არხევდა,
დაბერება გადავწყვიტე
ჩემთან შეუთანხმებლად?
მე ამისთვის არ მოვსულვარ,
არ ვერჩოდი არავის,
იქნებ, მიხვდე, შენს წინაშე
ეს მე ვდგავარ, არა – ის!
სიჩუმეში და ბინდბუნდში
იქვე, აშლილ საწოლთან
ფორთოხლისფრად დახატული
უცებ ვილაც გამოჩნდა.

მე დავხატე ბალით, ირგვლივ
გადაშლილი ბალახით.
შეშფოთებულს რომ გეკითხა:
„მყავს მე სადმე ნანახი“?
მკაცრად გეტყვი – „ეს ხომ მე ვარ“!
დაგადუმებ ამით თუ,
ეს კაცუნა, შემართული,
სასაცილო, თავითურთ.
ვითამაშოთ, მოდი ცოტა.
გახსენებაც არ მინდა
იმ სიბერის, შენთან შეყრით
ტკივილი რომ აღმიძრა.
ისმინე და დამმორჩილდი,
მსურს ჭაბუკად გხედავდე,
მინდა ტირილს და სიხარულს
ძველებურად ვხედავდე.

* * *

О, еще с тобой случится
всё — и молодость твоя.
Когда спросишь: «Кто стучится?»
Я отвечу: «Это я!»
Это я! Ах, поскорее
выслушай и отвори.
Стихнули и постарели
плечи бедные твои.
Я нашла тебе собрата –
листик с веточки одной.
Как же ты стареть собрался,
не советуясь со мной!
Ах, да вовсе не за этим
я пришла сюда одна.
Это я – ты не заметил.

Это я, а не она.
Над примятою постелью,
в сумраке и тишине,
я оранжевой пастелью
рисовала на стене.
Рисовала сад с травой,
человечка с головой,
чтобы ты спросил с тревогой:
«Это кто еще такой?»
Я отвечу тебе строго:
«Это я, не спорь со мной.
Это я – смешной и стройный
человечек с головой».
Поиграем в эту шалость
и расплачемся над ней.
Позабудем мою жалость,
жалость к старости твоей.
Чтоб ты слушал и смирялся,
становился молодой,
чтобы плакал и смеялся
человечек с головой.

ომარ ხაიამი

* * *

ნუ შეუშფოთებ სხვას სულს სიავით,
ნურც შენ დაგთუთქავს სიბრაზის ალი,
ჩვენ ხომ სტუმრად ვართ ქვეყნად მოსული,
თუ რამ არ მოგწონს, დახუჭე თვალი!
უხმე გონებას და გაიღიმე,
გრძნობა არიდე ფიქრთა დინებას
სიტყვა, ნატყორცნი შენგან აუგად,
კვლავ შენ მოგძებნის, აუცილებლად!
სიტყვას საქებრად ნუ დაინანებ,
სიკეთით სათქმელს ნურსად წაუხვალ!
სჯობს, რომ ცხოვრება აქციო შვებად
და სიყვარულის დღესასწაულად
მოდით, ვიცხოვროთ მშვიდად, თანხმობით...
არ შევუბღალთ ერთურთს ღირსება,
თორემ სიცოცხლე საცაა... ჰერიიი
და თითებს შორის ჩაგვეწრიტება.

* * *

Не зли других, и сам не злись,
Мы ж гости в этом
Бренном мире,
И если что не так, смирись.
Будь поумнее, улыбнись,
Холодной думай головой.
Ведь в жизни все закономерно,
Зло, излученное тобой, к
Тебе вернется непременно...
Давайте восклицать,
Друг другом восхищаться.
Высоких слов
Не стоит опасаться.

Давайте говорить
Друг другу комплименты,
Ведь это все любви
Прекрасные моменты...
Давайте жить, во всем
Друг другу
Потакая, – тем более, что
Жизнь короткая такая!...

ვერონიკა ტუმნოვა

* * *

სახლში ბინდი დგას და რაღაც შფოთი.
საფეხურებსაც ჭრიალი გააქვთ,
აქა-იქ ხავსი ჩამოჯდარა მჭიდროდ,
დარაბებს მიღმა რიჟრაჟის ცაა.
გარეთ ჭილყვავთა ისმის გნიასი,
და ტოტს აუსხამს წვეთები ბროლის,
ო, რა მამლარი მწვანე აქვს ბალახს,
ჭექა-ქუხილიც გუგუნებს შორით..
სარკმელთან ვდგავარ, ბედნიერების
ცრემლი მისველებს მძინარე სახეს,
და ვგრძნობ, რომ შენს მხარს, გრილსა და მყუდროს
ჩემს გახურებულ სველ ლოყას ვახებ.
შენ კი შორსა ხარ, სულ სხვა ქალაქში,
შენს მკერდზე სხვისი ხელი ისვენებს,
და ეს ბაღიც და ეს განთიადიც
დილით რომ ვუსმენ წვიმის სიმღერებს,
მე მოვიგონე, ეგების... ვინძლო...
შენი ყოფნა რომ ჩემს გვერდით ვიგრძნო.

* * *

Все в доме пасмурно и ветхо,
скрипят ступени, мох в пазах...
А за окном – рассвет
и ветка
в аквамариновых слезах.
А за окном
кричат вороны,
и страшно яркая трава,
и погромыхиванье грома,
как будто валятся дрова.
Смотрю в окно,
от счастья плача,
и, полусонная еще,
щекою чувствую горячей
твое прохладное плечо...
Но ты в другом, далеком доме
и даже в городе другом.
Чужие властные ладони
лежат на сердце дорогом.
...А это все – и час рассвета,
и сад, поющий под дождём, –
я просто выдумала это,
чтобы побыть
с тобой вдвоём.

ვლადიმერ ნაბოკოვი შემოდგომა

ვით იმ შორეულ ძველ დროს მადლიანს,
სასწაულის და სევდის, კეთილის,
წყალში ეკიდა, ტყე შემოდგომის,
გამეჩხრებული და ალექილი.
ყოვლად უბრალო, ვით ღვთის წყალობა,
თან გამჭვირვალე, შარას რომ სდევდა,
ეს შემოდგომა მექცა ნუგეშად
და უქროცურვილ უძირო სევდად.
ობობას ქსელის სირმების ბზვინვა,
ხმელი ფოთლების წყლისპირს თარეში,
მეც ზეცის გუმბათს ხმელ ტოტებს მიღმა
ამოვყურებდი ჩუმი ალერსით.
ჩიტების გუნდი სერავდა სივრცეს,
იკარგებოდნენ ზეცის ემბაზში,
ვით აცა-ბაცა ნაწერი ბავშვის.
ძველი ფურცლების მდუმარებაში.

ОСЕНЬ

И снова, как в милые годы
тоски, чистоты и чудес,
глядится в безвольные воды
румяный редеющий лес.

Простая, как Божье прощенье,
прозрачная ширится даль.
Ах, осень, мое упоенье,
моя золотая печаль!

Свежо, и блестят паутины...
Шурша, вдоль реки прохожу,
сквозь ветви и гроздь рябины
на тихое небо гляжу.

И свод голубеет широкий,
и стаи кочующих птиц –
что робкие детские строки
в пустыне старинных страниц.

ანდრეი დემენტიევი

* * *

როგორ უაზროდ ვცხოვრობთ ხანდახან,
თითქოს სიკვდილის დავუსხლტით აფრას,
მიმოიხედეთ, ზაფხულიც გადის,
ვიღაცის მზე კი ახლახან ჩაქრა...
ნუ დაინანებთ სითბოს და ზრუნვას,
განა ამქვეყნად მოვსულვართ დიდხანს?
რა დაუნდობლად მოუკლავს გული
დაუფიქრებლად გატყორცნილ სიტყვას!

* * *

Мы порою живём так нелепо,
Будто вечность в запасе у нас.
Оглянитесь – кончается лето,
Чей-то вечер навеки угас.
Берегите здоровье друг друга.
У природы мы – малая часть.
Вы кому-то ответили грубо –
Чью-то жизнь сократили сейчас.

ვადიმ მურატხანოვი

* * *

შორს წვეთებისგან დაცემის დროს რომ სკდებიან ჩუმად,
და იფრქვევიან პაწაწკინტელა შუშის შხეფებად,
ვგრძნობ, თითქოს შენშიც იდუმალი იბუდეებს რაღაც,
შენს მიხვრა-მოხვრას ჩემთვის უცნობი ტალღა ედება.
წვიმის ხმას ვუსმენ და ახლა ვხვდები, რომ მხოლოდ შენთან
მსურს მოვუსმინო, როგორ წკრიალებს წვიმის დაირა,

რადგან ასეა... რაც არ უნდა თქვა... ეს იმას ნიშნავს,
რომ ჩვენ ერთად ვართ... მაინც ერთად ვართ... რაღაცნაირად.

* * *

Вдали от капель, что наперебой
подробно разлетаются на жести,
ты где-нибудь становишься другой,
все дальше, непонятней в каждом жесте.
Но слушать дождь мне хочется с тобой.
И, значит, мы наполовину вместе.

იური კაზირინი

* * *

უფალი ზოგჯერ დაივანებს ვაშლში მატლივით,
მას ვერ შესწვდები გამომშრალი და რუხი მზერით,
ეს მწკლარტე გემო რომ შეიგრძნო, გჭირდება მხოლოდ
ხასხასა მწვანე, დამტკბარი ლურჯი ან ოქროსფერი.
რომ ქარს მიანდო, გაატანო მაღლა... ღრუბლებთან,
რომ ანგელოზებს შვება მოჰგვაროს და აღტაცება,
სად ძილ-ღვიძილში პატარა ბიჭად გჩვევია ფრენა,
მიყურადება, ვიღაცის გულის, ნამძვს რომ აწყდება.

* * *

Бог иногда ночует в яблоке. Червячком.
Этого не увидишь серым сухим зрачком.
Только зелёным, сладким, синим и золотым,
чтобы в живую мякоть взял его горький дым –
и поносил по ветру, в дырах и в облаках,
где, обнимая яблоко, ангелы скажут: «Ах!»
Где ты ещё летаешь мальчиком в полусне,
слыша, как чьё-то сердце дятлом стучит в сосне.

ბორის რიჟი

* * *

არ მიმატოვო...შუაღამისას,
ვარსკვლავი ღამით ცას რომ დარაჯობს,
როდესაც სახლში შფოთი მიცხრება,
და სიმშვიდეა, როგორც არასდროს,
არაფრის გამო, ისე... უბრალოდ,
რა გითხრა... თითქოს აღარც კი ვიცი,
დამტოვე მაშინ, როცა მომცელავს,
ტკივილი თითქმის გაუსაძლისი.
სიცარიელე გამოხრავს ზეცას,
ტყე ღამის ბნელში მიმზერს ავბედად,
შიში ამიტანს ძილის წინ მაშინ,
თვალის დახუჭვას ველარ გავბედავ,
და შავფრთიანი ყრუ ანგელოზი
ღვინოში ჩუმად გახსნის საწამლავს,
ჩემი ცხოვრების დავთრს აშლის და
ჯვარს თეთრ ტილოში სადმე... ჩამალავს.
შენ შორიახლოს დადექი იქვე,
ვით ხე ალუბლის... ჯვარი გწერია...
შემომავებე შორიდან ხელი...
და შემომცინე, როგორც გჩვევია.

БОРИС РЫЖИЙ

* * *

Не покидай меня, когда
горит полночная звезда,
когда на улице и в доме
всё хорошо, как никогда.
Ни для чего и низачем,
а просто так и между тем
оставь меня, когда мне больно,
уйди, оставь меня совсем.
Пусть опустеют небеса.
Пусть станут чёрными леса.
пусть перед сном предельно страшно
мне будет закрывать глаза.
Пусть ангел смерти, как в кино,
то яду подольёт в вино,
то жизнь мою перетасует
и крести бросит на сукно.
А ты останься в стороне –
белей черёмухой в окне
и, не дотягиваясь, смейся,
протягивая руку мне.

დავიდ სამოილოვი

* * *

მოდი, წავიდეთ ისევ ქალაქში
სადაც ვიყავით ერთად ოდესღაც,
წლები დავტოვით სადმე... სადგურზე,
ვითომ ტარება ბარგის მოგვბეზრდა.
წლები როგორღაც შეინახება
ჩვენს „შენახვაზე“ ფიქრიც არა ღირს,
თუმც უცებ სევდა შემოგვეყრება,
და ტანში გამჭოლ ყინულს დაგვაყრის
თითქოს დადუღდა ეს შემოდგომაც
და ცამ უძირომ ჩაილაყვარდა,
კვამლი, ღრუბელი და თვით ჩიტიც კი
ზანტად მიცურავს ზეცის გადაღმა.
თოვლს წამოუშენს საცაა, ვიცი...
ჩაიშრიალეს ხმელმა ფოთლებმა,
და ქარვისფერი სივრცე უძირო
სულში შემოდის დაუყოვნებლად.
ყოველი, რაც კი იყო აშლილი
და აწეწილი ფიქრი... სულ ყველა...
თითქოსდა ყინვამ თავისი ენით
ვით მერცხლის ბუდე, შეკრა მზრუნველად.
თვით ნოემბერიც ჩამოდგა უკვე,
სინათლის ღვართ და გაყურებით,
ქალაქში თითქოს არავინ დადის,
უკაცრიელი ჩანან ქუჩები.
ზეცის ღრმა თალი გვეხურა, მის ქვეშ
ჭილყვავთ ბუდეთა მღლიდა სიმრავლე
და გვერდს ვუვლიდი, როგორც უცხოებს,
მდუმარედ ჩავლილ ადამიანებს.
ო, როგორ გვიან მივხვდი, თუ რატომ
მოვედი ქვეყნად, ვარსებობ რისთვის...
რატომ გრუხუნებს გული, ხმამაღლა
სისხლს აბორგებულს ძარღვებში ისვრის...
თურმე ამაოდ ვაცხრობდი ვნებებს,
ვახშობდი სულის წრიალს და ბორგვას
ვერსად წაუხვალ მოვარდნილ ნამქერს,
თურმე არ ღირდა თავის დაზოგვა.

«ДАВАЙ ПОЕДЕМ В ГОРОД».

Давай поедem в город,
Где мы с тобой бывали.
Года, как чемоданы,
Оставим на вокзале.
Года пускай хранятся,
А нам храниться поздно.
Нам будет чуть печально,
Но бодро и морозно.
Уже дозрела осень
До синего налива.
Дым, облако и птица
Летят неторопливо.
Ждут снега, листопады
Недавно отшуршали.
Огромно и просторно
В осеннем полушарье.
И все, что было зыбко,
Растрепанно и розно,
Мороз скрепил слюною,
Как ласточкины гнезда.
И вот ноябрь на свете,
Огромный, просветленный.
И кажется, что город
Стоит ненаселенный,-
Так много сверху неба,
Садов и гнезд вороньих,
Что и не замечаешь
Людей, как посторонних...
О, как я поздно понял,
Зачем я существую,
Зачем гоняет сердце
По жилам кровь живую,
И что, порой, напрасно
Давал страстям улечься,
И что нельзя беречься,
И что нельзя беречься...

* * *

რა გზას ვეწიო, რომ ყოველდღიურ საქმეს გავექცე?
ბავშვების წუწუნს და გავერიდო ხშირ გაციებას?
ერთი იმედი გულში ციალებს, მინდა ვუმზირო,
მზე ხეებს შორის რა დიდებულად ჩაედინება...
რა გზას დავადგე? როგორ გავექცე სახლში ატეხილ
ნათესაობის უაზრო კიჟინს, კამათს მომქანცველს,
გულს მიხალისებს იმაზე ფიქრი, რომ მზე ცის თაღზე
დიდხანს შერჩება და უფრო მეტ ხანს ცურვას მოასწრებს!
საით წავიდე? ან რომელ ბილიკს დავადგე ნეტავ?
იქნებ, ბედს დავყვე, როგორც სჩვევია, მატაროს ისე...
მართლა არ ვიცი, მაგრამ ნუგეშად ვიტოვებ დაისს,
რომელიც ფერებს მომაგებებს და სულს გამივსებს.

* * *

Куда мне деваться
от этих забот ежедневных,
От детских хотений и частых простуд?
Одно утешенье, что где-то в деревьях
Закатные зори растут.
Куда мне деваться
от ссор и от дома в разоре,
От дружеских встреч и претензий родни?
Одно утешенье, что позже вечерние зори
Пылают в деревьях
и дольше становятся дни.
Куда мне уйти?
И какие найти мне решенья?
Не лучше ль идти,
не противясь, куда поведёт?
Не знаю. Не знаю. Одно утешенье,
Что шире зари разворот.

* * *

მათ არ ელიან, მოდიან თვითონ,
საკუთარ ნებით ირჩევენ სკამებს,
ჩამოსხდებიან მშვიდი სილადით
და თან უხერხულ შეკითხვებს სვამენ!
და სველ ღამეში, ბურუსის კვამლში
გოგო-ბიჭები სადღაც ქრებიან
და დედის ხელით შეკერილ პალტოს
ზომაზე მეტად ფართო მხრები აქვს!
და სახლი უცებ ცარიელდება,
მყუდრო სავარძელს რა სჭირს... არ ვიცი...
უცნაურია... მოულოდნელად
სინდისის ქენჯნას მძაფრად განვიციდი!
და ჩემი სიბრძნეც დადინჯებული,
ჩანს უადგილოდ, მთლად უსახურად,
მარადისობა ხომ სიყვარულის
და სიყმაწვილის რჩება მსახურად!
ვით მოცურავე, ჯებირს ვარღვევ და
მათ მოსამებნად ღამეს ვაწყდები,
მე კარგად ვუწყი ფასი ყველაფრის -
გამარჯვებების და დამარცხების!
მოდით და თქვენი ნიჭიერებით
გვითხარით აზრი ნათლად, მკაფიოდ,
რომ არად გიღირთ დიდების სხივი,
მზად ხართ ძველ წესებს ზურგი აქციოთ!
გამოგვარიდეთ ნაცრისფერ აწმყოს,
რაც უწინ იყო, თანდათან გაცვდა,
დაე, იდინოს ცრემლების წვიმამ
აღფრთოვანების რომ მოაქვს განცდას!

* * *

Их не ждут. Они приходят сами.
И рассаживаются без спроса.
Негодующими голосами
Задают неловкие вопросы.
И уходят в ночь, туман и сырость
Странные девчонки и мальчишки,
Кутаясь в дешёвые пальтишки,
Маменьками шитые навыворот.
В доме вдруг становится пустынно,
И в уютном кресле неудобно.
И чего-то вдруг смертельно стыдно,
Угрызенью совести подобно.
И язвительная умудрённость
Вдруг становится бедна и брэнна.
И завидны юность и влюблённость,
И былая святость неизменна.
Как пловец, расталкиваю ставни
И кидаюсь в ночь за ними следом,
Потому что знаю цену давним
Нашим пораженьям и победам...
Приходите, юные таланты!
Говорите нам светло и ясно!
Что вам – славы пёстрые заплаты!
Что вам – низких истин постоянство!
Сберегите нас от серой прозы,
От всего, что сбило и затёрло.
И пускай бесстрашно льются слёзы
Умиления, зависти, восторга.

ედუარდ ასადოვი

* * *

სიყვარულს როდი სჩვევია გაყრა?
სიახლოვეს და შეხვედრას ელტვის,
ბედნიერების სიცილით სავსეს,
არ აქვს მიზეზი შფოთის და ღელვის...
„რას ამბობთ“ – მეტყვის მავანი, ალბათ,
სიყვარულს ახლავს კამათიც, წყენაც,
ხშირად ეჭვიც ღრღნის გაუსაძლისი,
მერე დათმობა და... აღმაფრენა.
მოდით დაგვიქრდეთ, ვიმსჯელოთ საღად,
შვებას ხანდახან შეამღვრევს შფოთი
და ეს უძირო გრძნობების ტალღა,
ვით ცხელი ლავა, მოღელავს, მოდის...
გადაგივლის და ქვეშ მოგიყოლებს,
თვით რომ არ ელი, დაგიშვებს თავქვე!
და როგორ ფიქრობთ, ნუთუ სწორია,
ამ შეგრძნებას რომ სიყვარულს ვარქმევთ?
სიყვარულის დროს არ წვავენ ხიდებს,
არც განშორება ითვლება რამედ,
გულს თუკი უყვარს, ცხრა მთის გადაღმაც
არას დაგიდევთ არც დღეს, არც ღამეს...
გულისტკივილიც ყუჩდება თითქოს,
და ხელისმოსმით უკვალოდ ქრება...
ნამდვილ სიყვარულს წინ თუნდაც ცამდე
აწვდილი ზღუდეც ვერ აღუდგება.

* * *

У любви не бывает разлук,
У любви есть одни только встречи,
До смешного счастливые речи
И ни лжи, ни тем более мук.
«Как же так! – скажут мне. –

Где любовь,
Там всегда и обиды, и споры
Бесконечные ревности, ссоры,
Примиренья и ревности вновь!»
Но давайте подумает здраво:
Там – то счастье, то – лесть, то – месть.
Бесконечных эмоций лава,
Только есть ли уверенность, право,
В том, что это любовь и есть?!
При любви ведь не жгут корабли,
И разлука в любви не считается,
Даже если сердца друг от друга вдали,
Встреча все-таки продолжается!
Ну так скажем же вновь и вновь:
При любви все обиды мнимы,
Ибо там, где живет любовь,
Все преграды преодолимы!

* * *

შუალამეა და ვარსკვლავებმა დახუნძლეს ზეცა,
თითქოს ათრთოლდა სახურავებზე სილურჯე ზეცის,
ყური მიუგდო მთვარემ ღიმილით ძილის ფორიაქს,
ღამის ბაღებში ჩამოღვარა ნათება ვერცხლის.
საათმა თურმე ჩამოჰკრა თორმეტს, რა დრო გასულა....
არ გძინავს, ვიცი, და ისიც ვიცი, რაღაც გადარდებს,
შენს ხშირ წამწამებს დღეს ერთად შეყრა არ უწერია,
იმასაც ვხვდები, ძილი გაგიკრთა განთიადამდე.
ბაგეს მოსწყდება საალერსოდ უეცრად სიტყვა.
ზოგჯერ, ვით ზღარბი, გამოისხამ ეკლებს, ბასრპირას,
და ასე ზოგჯერ გაავებით, ხან ტკბილი სიტყვით,
ხან დამიყვავებ, ხან კი უნდობლად დამსჯი, გამწირავ.
ნეტავ ვინ იყო დამნაშავე, ვინ რა შესცოდა
იქნებ, როგორმე ხვალისთვის ვცადოთ ამის გარკვევა,
ამ ნაზ თვალებში, საოცარია, როგორ ახერხებ

თან სათნოების და თან სიკერპის ერთად ჩატევას?
არც მე გახლავარ ახლა... წმინდანი, გამოვტყდე უნდა,
აქამდე, ალბათ, ცხოვრების გზაზე შემშლია ბევრი
მაგრამ, ძვირფასო, ნეტავ იცოდე შენს ახლოს ყოფნას
როგორ ვნატრულობ, როგორ ვესწრაფვი მთელი არსებით,
ნეტავ, რომელი დათმობს სიურჩეს, ალბათ, არ გძინავს,
გულისთქმას როდი აყურადებ, ებრძვი, თავილობ,
და განთიადი რომ დადგება, როგორც გჩვევია,
გამიკერპდები, სიცივით მომზრავ, ვით მარმარილო.
რა გაეწყობა, ასე გსურს? კარგი, მე დაგნებდები,
ბედნიერების შევუდგები დამრეც ბილიკებს,
მინდა გისურვო მშვიდობის ღამე, ძილი ნებისა...
ხვალ კი, მერწმუნე, რაღაცნაირად შემოგირიგებ.

* * *

Полночь небо звёздами расшила,
Синий свет над крышами дрожит...
Месяц – наше доброе светило
Над садами топает уныло,
Видно, сны людские сторожит.

Бьёт двенадцать. Поздняя пора.
Только знаю, что тебе не спится,
И свои пушистые ресницы
Ты сомкнуть не можешь до утра.

На губах то ласковое слово,
То слова колючие, как ёж,
Где-то там, то нежно, то сурово,
То любя, то возмущаясь снова,
Ты со мной дискуссии ведёшь.

Кто в размолвке виноват у нас?
Разве можно завтра разобраться,
Да к тому ж хоть в чём-нибудь признаться
При упрямстве милых этих глаз?!

Да и сам я тоже не святой.
И за мной нелепого немало.
Светлая моя, когда б ты знала,
Как я рвусь сейчас к тебе душой.

Кто же первым подойдёт из нас?
Вот сейчас ты сердцем не владеешь,
Ты лежишь и не смыкаешь глаз,
Но едва придёт рассветный час,
Ты, как мрамор, вновь закаменеешь,

Ничего. Я первым подойду.
Перед счастьем надо ли гордиться?!
Спи спокойно. Завтра я найду
Славный способ снова помириться!

* * *

ო, რამდენია, ვისთანაც ღამის გათევას ელტვი,
მაგრამ რიჟრაჟის შეგებება ერთთან გწადა,
დილას ღიმილით დაცილდები, ხელსაც დაუქნევ,
საღამოს გულის ბაგა-ბუგით მიგიხარია.
ო, რამდენია, ვისთანაც მთელი ცხოვრებ გადის,
ფინჯანი ყავა, საუბრები, ცხარე კამათი,
ჭირსა და ლხინში მის გვერდით დგომა მთელი არსებით,
შეებულების დროს ერთად ზღვისპირას ანცად ნავარდი.
მაგრამ, ვინ იცის, ეგება, მიხვდეთ ადრე თუ გვიან,
რომ ამ ნაზ გრძნობას სიყვარული სულაც არ ჰქვია.
ო, რა ცოტაა, ვისთანაც ერთად ოცნებით ტკბებით,
ღრუბლების დავლურს თვალს ადევნებთ წიაღში ზეცის,
და მხოლოდ ერთი აწრიალებს შენს სულის სიმებს,
ბედნიერებით პირსავსე ხარ, არც გინდა მეტი...
და როცა ზეცა ფანტელებად დაშვებას იწყებს
ხელუხლებ თოვლზე შენ სიყვარულის ამოჰკვეთ სიტყვებს.
ო, რა ცოტაა, ვისთანაც დუმილს მიაჰყრობ სმენას,
უსიტყვოდ იგრძნობ, ანდა უმზეროდ მყისვე მიხვდები,

და წლიდან წლამდე უმურველად გაიღებ, რაც გაქვს,
ტკივილის დროსაც ნეტარებით გაირინდები.
ცხოვრების ჩარხი თვითნებურად ტრიალებს, ბრუნავს,
ხვდებიან ერთურთს, შორდებიან, არც გრძნობენ ტკივილს...
რადგანაც ბევრთან ისურვებდით ღამის გათევას,
და მხოლოდ ერთთან შეხვდებოდით ნათებას დილის.
ო, რამდენია, ვისთანაც ღამის გათევას ელტვი
გაღვიძებას კი იმ მხოლოდ ერთთან ოცნებობ, ალბათ,
ბედისწერა კი თითისტარივით ტრიალებს, ბრუნავს,
ფრთხილად გვიცურებს მრგვალ მაგიდაზე დამხოვილ ლამბაქს
მივრბი-მოვრბივართ, საქმე გვაქვს სადღაც, სულ არ გვცალია
გაგება გინდათ, მაშინ შედექით, დაძაბეთ სმენა!
ვერ დაინახავთ, ვერსად მიაკვლევთ სულის საყუდელს,
გადარბენის დროს სხეულს თუ მოჰკრავთ დაქანცულ მზერას
ვირჩევთ გონებით? თუ ვირჩევთ გულით? ვინ იცის ნეტავ...
ღიმილს ღიმილი რომ შევაგებოთ, რატომღა ვცბებით?
გულს ვუხსნით მხოლოდ იმ გამორჩეულს, რომლის გვერდითაც
დილით ვიღვიძებთ უძირო შვებით და ნეტარებით.
ო, რამდენია, ვისთან საუბარს ხალისით ვიწყებთ,
დუმილის დროს კი აგიტაცებთ ნეტარი თრთოლვა,
როცა იმედი უხილავ ძაფად შენს და ჩემს შორის
გასხლტება უცებ, ვით აღსარება და თანაგრძნობა.
ო, რამდენია, ვისთანაც წუხილს გაიზიარებ.
და შეკითხვების დაგატყვევებს ყრუ არტახები,
ო, რა ცოტაა ხალხი, რომელშიც შენს თავს შეიცნობ,
ვით ანარეკლი სუფთა სარკეში აისახები.
ო, რამდენია, ვისთანაც, ალბათ, დუმილი გიჯობს,
რომ უნებურად სიტყვა არ დაგცდეთ მწუხარებისა,
ვის გაუმჟღავნებ გულში ჩაკირულ სანუკვარ სათქმელს,
საკუთარ თავთან ამოთქმაც კი რომ არ ეღირსა?
სულიერ ძალებს ვისგან მოვუხმობ, ვინ გამამხნევეს?
თვალეზდახუჭულს მეგზურებას ვინღა გამიწევს?
ვის მოვუწოდებ დამაშვრალი უბედურება,
როს სახლის ზღურბლზე მედიდურად გადმოაბიჯებს?

ო, რა ცოტაა, ვისთანაც სული ხალისობს, ლაღობს
სიხარულ-ტკივილს ერთად დავუხვდით, გემო გავუგეთ,
აღბათ, მათ გამო ამ უმართავ და მყიფე სამყაროს
გულის ძირამდე ღრმა სიყვარულით კარი გავუღეთ.

* * *

Как много тех, с кем можно лечь в постель,
Как мало тех, с кем хочется проснуться...
И утром, расставаясь улыбнуться,
И помахать рукой, и улыбнуться,
И целый день, волнуясь, ждать вестей.
Как много тех, с кем можно просто жить,
Пить утром кофе, говорить и спорить...
С кем можно ездить отдыхать на море,
И, как положено – и в радости, и в горе
Быть рядом... Но при этом не любить...
Как мало тех, с кем хочется мечтать!
Смотреть, как облака роятся в небе,
Писать слова любви на первом снеге,
И думать лишь об этом человеке...
И счастья большего не знать и не желать.
Как мало тех, с кем можно помолчать,
Кто понимает с полуслова, с полувзгляда,
Кому не жалко год за годом отдавать,
И за кого ты сможешь, как награду,
Любую боль, любую казнь принять...
Вот так и вьётся эта канитель –
Легко встречаются, без боли расстаются...
Все потому, что много тех, с кем можно лечь в постель.
Все потому, что мало тех, с кем хочется проснуться.
Как много тех, с кем можно лечь в постель...
Как мало тех, с кем хочется проснуться...
И жизнь плетёт нас, словно канитель...
Сдвигая, будто при гадании на блюде.

Мы мечемся: – работа... быт... дела...
Кто хочет слышать- всё же должен слушать...
А на бегу – заметишь лишь тела...
Остановитесь... чтоб увидеть душу.
Мы выбираем сердцем – по уму...
Порой боимся на улыбку – улыбнуться,
Но душу открываем лишь тому,
С которым и захочется проснуться..
Как много тех, с кем можно говорить.
Как мало тех, с кем трепетно молчание.
Когда надежды тоненькая нить
Меж нами, как простое понимание.
Как много тех, с кем можно горевать,
Вопросами подогреть сомнения.
Как мало тех, с кем можно узнавать
Себя, как нашей жизни отражение.
Как много тех, с кем лучше бы молчать,
Кому не проболтаться бы в печали.
Как мало тех, кому мы доверять
Могли бы то, что от себя скрывали.
С кем силы мы душевные найдем,
Кому душой и сердцем слепо верим.
Кого мы непременно позовем,
Когда беда откроет наши двери.
Как мало их, с кем можно – не мудря.
С кем мы печаль и радость пригубили.
Возможно, только им благодаря
Мы этот мир изменчивый любили.

ვლადიმერ პოლეტაევი

* * *

ზეცა მიწიდან იწყება თურმე,
უკანასკნელი ჩურჩულით ზღაპრის,
ნაკვერჩხლის ცეცხლით, ბაიის შუქით
ოქროსფერ მზერას როს შემოგაყრის.

როგორც ფურცლები, შრიალს ატეხენ
ხმელი ფოთლები... ზეიმი ფერთა,
და ფოთოლცვენაც მომდგარა კართან
საცაა მის ქვეშ დავდგებით ერთად.

სიცხე სულს გვიკრავს დაუზოგავად,
დამწვარ ყვრიმალებს ასდის აღმური,
შეკრული ზეცა აშლის საღერღელს
მილებს დახეთქავს წვიმის ხმაური.

წარღვნა წაგვლეკავს გარიჟრაჟიდან
შემოდგომას რონ სჩვევია, ისე
წვეთებით მწარედ იტირებს შუშა
და მიწას ზეცა დასწვდება მყისვე.

* * *

Небо начинается с земли,
с лепета последнего былинки,
с огонька случайного вдали,
с желтых Якиманок и Ордынок.

Как страницы, листья шелестят.
Где-то рядом, где-то очень рядом,
слышишь, подступает листопад,
мы с тобой стоим под листопадом.

Задыхающаяся жара
торопливо обжигает щёки,
дождь зарядит с самого утра,
глухо забормочут водостоки.

Дождь зарядит с самого утра.
Эта осень на дожди щедра.
Капли расплывутся на стекле
небо возвращается к земле.

ლ. რუბალსკაია

რიგი ბედნიერებისთვის

ბედნიერების ჩასანაცვლებლად
მალლიდან თითქოს გვეძლევა ჩვევა,
ასე ამბობდა დიდი პოეტი,
და მისი მჯერა წარბშეუხრელად.
მცირე შენიშვნა მექნება მხოლოდ,
ერთი რამ მინდა ჩემგან დავძინო,
უბედურებას რომ გავუმკლავდეთ
სწორედ ეს ჩვევა არის საჭირო.
თურმე ეჩვევი ყველაფერს ქვეყნად,
იისფერ კვამლში დანთქმულ გაზაფხულს.
ჟანგისფერ ყლორტებს, წვიმის გუბეებს,
ღალატს ახლობლის სასტიკს, არნახულს.
მონაცვლეობას შავის და თეთრის,
როცა არვინ გყავს სიტყვის გამცემი,
გსურს, მაგრამ ვერვის გაუწყობ სუფრას,
დაგთენებია ღამე რამდენი...
დილით იღვიძებ, გტანჯავს წელკავი,
და მეგობარმაც ზურგი გაქცია,
ზოგს გაუმართლა... ისე.. უბრალოდ...
დაიმსახურა? არ მიმაჩნია.
იქნებ, ხანდახან დარეკონ მაინც,
ყველას საქმე აქვს... განა არ ვიცი,
სასწორს და სარკეს თვალს რომ შევავლებ,
შედეგი მკლავს და მწარედ განვიცდი.
საათი ლოდვით მიჰყვება საათს,
ანდა დღეები თითქოს მიჰქრებიან,
ამ სიცივესაც არ უჩანს ბოლო,
რა გაეწყობა... რა შემიძლია?
და მაინც მინდა, მივენდო პოეტს,
ბნელს მუდამ მოსდევს სხივის ციალი.
რომ მარტოობა არად ჩავაგდო,

თავისუფლებას შევხვდე ტრფიალით.
სჯობს კინოთეატრს ვესტუმრო ისევ,
ლამაზი კაბა მოვირგო ტანზე,
ბოლოსდაბოლოს მთავარი ქვეყნად
არის სურვილი – რაღაცის გვწამდეს!
ღამე ხომ მხოლოდ გზაა დილისკენ,
სულ ცოტაც... ცოტაც... საკუთარ ნებით
ბევრის მნახველი, ავის და კარგის,
ბედნიერების გრძელ რიგში ვდგებით.
მეც შევეჩვიე უკვე ყველაფერს
სიტყვებს ჰაერში არასდროს ვფანტავ,
ვინ არის ბოლო? მეც ვდგები რიგში
ბედნიერების მოვსულვარ კართან!

Л. Рубальская

ОЧЕРЕДЬ ЗА СЧАСТЬЕМ

Привычка свыше нам дана,
Замена счастью она –
Писал поэт в одной из глав,
А он велик и, значит, прав.
Но я хочу его поправить.
И от себя чуть-чуть добавить.
Я думаю, привычка может
Заменой быть несчастью тоже.
Привыкнуть можно ко всему –
К весне в сиреновом дыму,
К осенним ржавым клёнам, к луже,
К тому, что тот, кто был так нужен,
Жестоко предал вас в финале,
В начале тёмной полосы.
К тому, что не с кем слова молвить,

Что стало некому готовить,
И по ночам совсем не спится,
А утром ломит поясницу.
Кто другом был, вдруг стал не другом,
Хоть и везуч не по заслугам
И мог звонить почаще кто-то,
Но ведь у всех свои заботы.
Весы и зеркало не льстят,
Часы ползут, а дни летят.
И затянулись холода,
И никого. И никогда.
Но всё же верю я поэту,
А значит, тьма – начало света,
Про одиночество забыть,
Свою свободу полюбить.
Сходить в кино. Наряд примерить,
И главное – во что-то верить.
А ночь – она к утру дорога,
Осталось ждать совсем недолго.
Привыкнув к бедам и напастям,
Встаём мы в очередь за счастьем.
И я привыкла ко всему
И не бросаюсь зря словами,
За счастьем очередь займу,
Кто тут последний? Я за вами.